ლელო

№231 (12 301)

1 ოქტომბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

# ნაბიჯი უკან, სამი ნაბიჯი წინ







პრეზიდენტები - სარკოზი და სააკაშვილი ტრიბუნაზე

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

**30 სექტემბერი. მარსელი. D**

**საფრანგეთი–საქართველო 64:7**

საფ: (15-9) პუატრენო (კლერი 73), რუჟერი, მარტი (სკრელა 58), ჟოზიონი, დომინისი, ბოსი, მინიონი (ელისალდი 19); (1-8) მილუ (პუ 73), ბრუნო (შარჟევსკი 58), პუ (მასი 58), ნალე, თიონი (პელუ 54), ბეტსენი (მარტენი 64), ნიონგა, ბონერი - *9ლ (პუატრენო, ნიონგა, ბოსი, დომინისი 2, ბრუნო, ნალე, მარტენი, ბონერი); 5გ,3ს (ბოსი)*

საქ: (15-9) ბარკალაია (ელოშვილი 54), ურჯუკაშვილი, გიგაური სბ 75, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე (ელიზბარაშვილი 54), კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე 31); (1-8) მაგრაქველიძე სბ 29 (შველიძე 49), ა. გიორგაძე, ზირაქაშვილი (კოპალიანი 60), დიდებულიძე (დათუნაშვილი 41), მჭედლიშვილი, ი. მაისურაძე (ზ. მაისურაძე 49), ურუშაძე (შველიძე 33-39), ჩხაიძე - ლ *(ზ.მაისურაძე), გ (ურჯუკაშვილი)*

მსაჯი: ალან ლუისი (ირლ)

| საფრანგ. | სტატ. | საქართველო |
|---|---|---|
| 7/1 | შერკინება | 6/0 |
| 14/2 | დერეფანი | 8/5 |
| 3 | თერნოვერი | 5 |
| 75/78 | ბოჭვა | 67/89 |
| 0 | ხაზის სუფთად გაჭრა | 0 |
| 54% | ბურთი | 46% |
| 60% | ტერიტორია | 40% |
| 8:24 | მეტოქის 22-ში | 2:16 |
| 3 (3) | შეცდომა (ხელით თამაშში) | 7 (4) |
| 22 (12/10/0) | 10 ნომერი ფეხით (მოედ./კიდ./შეც.) | 24 (13/8/3) |
| 9 | ჯარიმა | 13 |

უფროსნორად, პირიქით: სამი წინ და ერთი უკან, ჯამში კი ორი ნაბიჯი წინ! ისიც მხოლოდ პირველ სამ თამაშთან შედარებისას ჩავთვლება საფრანგეთთან გუშინ ნანვნევი მარცხი უკანდახევად. თორემ, წინა მსოფლიო თასთან შედარებით...

სწორედ ეს საკითხი უნდა გაერკვია საფრანგეთის მსოფლიო თასს - ოთხ წელიწადში თვისობრივად თუ დავწინაურდით? ოთხწლიან შუალედში - 2003-2007 წლებში ეს კითხვა უპასუხოდ რჩებოდა. იყო რამდენიმე ძალიან კარგი თამაში, რომელიც თითქოს დადებით პასუხს იძლეოდა, მაგრამ იყო ჩავარდნებიც.

რა თქმა უნდა, ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ - საქართველოს ნაკრები თვისობრივად სხვა გუნდია! ორ ნაბიჯსაც თავი დავანებოთ - ის ალალად იმსახურებს ერთი საფეხურით, IRB-ს მეორე დონეზე დაწინაურებას, რაც უპირველესად გაზრდილ ბიუჯეტსა და ყოველგვარ მატერიალურ სიკეთეს ითვალისწინებს.

ხოლო საფრანგეთთან წაგება - შეგვიძლია თუნდაც ინგლისთან ოთხი წლის წინანდელ წაგებას (6:84) შევადაროთ და პროგრესს აქაც დავინახავთ - თან შეგვიძლია გავითვალისწინოთ გუშინდელი თამაშის წინაპირობები: ოთხდღიანი ინტერვალი, დაღლილობა, ტრავმები და ზეამოცანის არქონა. ჩვენ არავისთვის აღარაფერი აღარ გვქონდა დასამტკიცებელი - ამ მსოფლიო თასზე, რა თქმა უნდა.



რემი მარტენის ლელო. ზემოდან - ბიძინა სამხარაძე

და ეს წაგება, მე თუ მკითხავთ, კარგია ციდან მიწაზე დასაშვებადაც. კი, ჩვენ თითქმის გადავატრიალეთ მსოფლიო რაგბი ირლანდიასთან კინაღამ გამარჯვებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დღეისამასიქით ირლანდიის რანგის მეტოქეს ყოველთვის, ყველა თამაშში, ასეთ წინააღმდეგობას გავუწევთ - გუშინდელივით ჩავარდნები გვექნება! არადა, უკვე გაისმოდა ასეთები - ოთხ წელიწადში ირლანდიას გადავუვლით, ზოგიერთები კი უკვე ზელანდიას ეტოლებოდნენ უახლოეს მომავალში.

აუცილებელია რეალური ორიენტირის დასახვა - თუნდაც იმ ზედა, მეორე დონეზე მყარად ფეხის მოკიდება, რაც ნიშნავს - რუმინეთის, თუნდაც კანადისა და ამ რანგის გუნდების სისტემატურად დამარცხებას და... ვთქვათ, იტალიასთან მოგებას. ჯერჯერობით ერთ მოგებას მაინც.

მოკლედ, სწორება არა რუმინეთზე, როგორც ოთხი წლის წინ იყო, არამედ - იტალიაზე!

დღეს კი ასე დავასრულოთ - დიდი მადლობა ამ ოთხი თამაშისთვის!

**ნიკოლოზ აბაშიძე**



ირაკლი გიორგაძე ჟულიენ ბონერის წინააღმდეგ

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



**დინამო-ბათუმი**

**7:0**

18.09. თბილისი. ეროვნული
200 მაყურებელი

1:0 ხუციშვილი (4. სპასოევიჩის პასით), 2:0 ხმალაძე (11. ხუციშვილის პასით), 3:0 სპასოევიჩი (12), 4:0 კობახიძე (44. სპასოევიჩის პასით), 5:0 აკირემი (59. შ. კაშიას პასით), 6:0 კობახიძე (66. ოდიკაძის პასით), 7:0 აკირემი (67. ფეიქრიშვილის პასით)

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში (70. ფირცხალავა) - ხმალაძე (55. ოდიკაძე), დილმელაშვილი, კობახიძე - სპასოევიჩი (61. ფეიქრიშვილი), ხუციშვილი, აკირემი

*სათადარიგოები:* გრიშიკაშვილი, თომაშვილი, გ. კაშია, გ. მერებაშვილი

ბათუმი: თოთლაძე - ლ. მახარაძე, თედორაძე, გალოგრე, დემურაძე (46. მაკარიანი) - ზ. ჭელიძე, კუნჭულია (46. ოქრუაშვილი), ცანავა, დარჩიძე - ბეჟანიძე, გ. მოდებაძე (63. ტულუში)

*სათადარიგო:* მამინაშვილი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**4.** 1:0 - სპასოევიჩის გადაცემით ხუციშვილმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში.

**11.** 2:0 - კობახიძე-ხუციშვილი-ხმალაძის სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა.

**12.** 3:0 - სპასოევიჩმა საშუალო მანძილიდან ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

**44.** 4:0 - ილიამ კობახიძეს გაატანინა.

**51.** ოვონომ ჯერ მასთან პირისპირ გასულ მოდებაძეს აჯობა, შემდეგ კი ბეჟანიძის დარტყმაც აილო.

**59.** 5:0 - შოთა კაშიას ფლანგურ ჩაწოდებას აკირემიმ თავი დაუხვედრა.

**66.** 6:0 - კობახიძემ ოდიკაძის პასი მიიღო და საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტად დაარტყა.

**67.** 7:0 - ფეიქრიშვილის ჩაწოდება აკირემის ზუსტი თავურით დასრულდა.

**73.** ფეიქრიშვილის გოლისას მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა, არადა, დარტყმის მომენტში კარში "ბათუმის" მცველი იდგა.

**89.** ტულუში ოვონოსთან ერთი ერთზე გავიდა და არაზუსტად დაარტყა.

# ნავარჯიშება გლდანამდე



აკირემის პირველი გოლი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ხ**ვალ, "დინამო" თასზე შინ ითამაშებს "ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ, შაბათს კი სეზონის პირველ ზეპრინციპულ მატჩს ჩაატარებს გლდანში, "ამერთან". ასეთი მნიშვნელოვანი დაპირისპირებების წინ, სუსტ მეტოქესთან გავარჯიშება "დინამოსთვის" ნამდვილი მისწრება იყო. **დუშან უჰრინის** გუნდმა წინა ტურში "ამერის" მიერ დამყარებული ამ ჩემპიონატის რეკორდი გაიმეორა და მეორე 7:0 დააფიქსირა. იყო მომდევნო გოლების დრო და შანსიც, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა...

"ბათუმს" კი სასწაული თუ იხსნის. როგორც იცით, პირველ ლიგას ავტომატურად ეთიშება უმაღლესის სამი უარესი გუნდი და ძნელი სათქმელია, რა რესურსებით შეძლებს აჭარული კლუბი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებას.

მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **ამირან გოგიტიძის** წასვლის შემდეგ, "ბათუმი" გაცილებით უსუსურად გამოიყურებოდა და თუ წინა ტურებში მინიმალურად მარცხდებოდა, შაბათს პირველივე წუთიდან დაყარა ფარ-ხმალი. აშკარა იყო, რომ თამაში "პირველ გოლამდე" მიმდინარეობდა და ხუციშვილის ბურთის შემდეგ, დინამოელებმა მეტოქეს დიდი რისხვა დაატეხეს თავს. სტუმრები მათთვის იოტისოდენა წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ ახერხებდნენ. უჰრინის ფეხბურთელებს ნაირგვარი გოლების გატანა ალბათ, ეროვნულ სტადიონზე უფრო იოლად და ძალდაუტანებლად გამოსდიოდათ, ვიდრე საკუთარ დილმის ბაზაზე ორმხრივი თამაშისას.

"ბათუმის" პრობლემებზე კი თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, თბილისში **ალექსანდრე კანტიძემ** და **იოსებ ნასუაშვილმა** 14 ფეხბურთელზე მეტი რომ ვერ იახლეს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თუ უახლოეს პერიოდში კლუბში სიტუაცია რადიკალურად არ გამოსწორდა, უმაღლესი ლიგა მისი ერთ-ერთი ყველაზე სახელიანი წევრის გარეშე დარჩება.

"დინამოსთვის" კი მთავარი ბრძოლები მალე დაიწყება. კალენდარი იმგვარადაა შედგენილი, რომ დედაქალაქელთა ერთპიროვნული ლიდერობა მოსალოდნელი იყო, "დინამოს" ამბიციების მართებულობა და რეალური ძალა კი პირველი წრის დასკვნით ნაწილში უფრო კარგად გამოჩნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 7 | 7 | 0 | 0 | 22-2 | 21 |
| 2. ზესტაფონი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-3 | 19 |
| 3. ბორჯომი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-4 | 14 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 5. ამერი | 7 | 4 | 0 | 3 | 14-8 | 12 |
| 6. მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 8-6 | 12 |
| 7. მესხეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-8 | 11 |
| 8. ოლიმპი | 7 | 3 | 1 | 3 | 5-6 | 10 |
| 9. სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 10. სპარტაკი | 7 | 2 | 2 | 3 | 3-7 | 8 |
| 11. ლოკომოტივი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-12 | 6 |
| 12. დილა | 7 | 1 | 0 | 6 | 5-12 | 3 |
| 13. მერანი | 7 | 1 | 0 | 6 | 2-17 | 3 |
| 14. ბათუმი | 7 | 0 | 1 | 6 | 2-14 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 5 |
| აკირემი (დინამო) | 5 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 4 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 4 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 4 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 3 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 3 |
| ძარღავა (სიონი) | 3 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 3 |
| შ. გრიგალაშვილი (ბორჯომი) | 3 |
| ჭელია (მგლები) | 3 |

**მომდევნო ტური**

| | |
|---|---|
| **5 ოქტომბერი. პარასკევი** | |
| 16:00 | მესხეთი-მერანი |
| **6 ოქტომბერი. შაბათი** | |
| 16:00 | მგლები-ბათუმი |
| 16:00 | დილა-ოლიმპი |
| 16:00 | ამერი-დინამო |
| **7 ოქტომბერი. კვირა** | |
| 16:00 | ზესტაფონი-ბორჯომი |
| 16:00 | ვიტ ჯორჯია-სპარტაკი |
| 16:00 | ლოკომოტივი-სიონი |

U 17. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი

# ცანკერმა ორიდან ორი წააგო

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბულგარეთში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაასრულა - მასპინძელ თანატოლებს ბოლო მატჩში 5:2 მოუგო, ოთხგუნდიან ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა. პირველ ორ მატჩში ჩვენებურები ჯერ ხორვატიასთან დამარცხდნენ 0:4, მერე კი უნგრეთთან - 0:1.

ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრების ასეთი წარუმატებლობა ჩვეულებრივი ამბავი არ უნდა იყოს . ჯერ ერთი, ამ ასაკში ქართველ და ევროპელ ფეხბურთელებს შორის დიდი განსხვავება არ არის, რადგან ეს სპეციფიური პერიოდია, თინეიჯერი სპორტსმენი ბოლომდე ჩამოყალიბებეული არ არის და არც თუ მცირეა შანსი, ნაკლებადგანვითარებულმა ქვეყნის ნაკრებმა მასზე უკეთესი საფეხბურთო მეურნეობის მქონე ქვეყნის გუნდს რომ მოუგოს. მეორე - საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები რამდენჯერმა გასულა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ამისთვის უცხოელი მწვრთნელი არ დასჭირვებია...

ბულგარელები ორი ბურთით დაწინაურდნენ და **ჰერბერტ ცანკერის** შეგიდებმა ანგარიში პირველივე ტაიმში გაქვითეს. გოლები **ირაკლი შეყილაძემ** და **ნიკა ძალამიძემ** გაიტანეს. მეორე ტაიმში კი იმავე ძალამიძემ, **პაჭკორიამ** და **გუგუჩიამ** გამოიჩინეს თავი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი იუწყება,რომ ჩვენებს კიდევ ჰქონიათ რამდენიმე საგოლე შანსი.

ცანკერს კი უთქვამს, ამ გუნდში ოთხი 1992 წელს დაბადებული ისეთი ჩინებული ფეხბურთელია, მომდევნო შესარჩევში ნაკრებისთვის დიდი ძალა იქნებაო.

წლეულს საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები კიდევ ორ მატჩს გამართავს - რუსეთს და პორტუგალიას ამხანაგურად გაეჯიბრება.

ქართველ ჭაბუკებს წინა შესარჩევშიც ცანკერი ხელმძღვანელობდა და მაშინაც ხელმოცარულნი დარჩნენ.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# შთამბეჭდავი და ულმობელი

**ოლიმპი-ლოკომოტივი**

**1:0**

29.09. რუსთავი. ფოლადი
1000 მაყურებელი

1:0 რ. ჯიქია (61, პენალტით)

ოლიმპი: მერლანი-მგელაძე, ორბელაძე, აკუასაგა-სებისკვერაძე (60. კოშკაძე), ნავალოვსკი, ქებაძე, დევდარიანი, კორსანტია (14. გ. იაშვილი)-დვალიშვილი (58. მასუნგა), რ. ჯიქია.

*სათადარიგოები:* კობახიძე, პაჭკორია, ყრუაშვილი, ჩივაძე.

ლოკომოტივი: გვარამაძე-ა. კობიაშვილი, ლალაძე, დ. ფოფხაძე, ქუხილავა-გულორდავა (74. დ. ჩაგელიშვილი), ბარბაქაძე, მალიჩავა, ალავერდაშვილი (65. იმედაძე)-ყენია, მიქაძე (61. ბობოხიძე).

*სათადარიგოები:* ცერცვაძე, ელიზბარაშვილი, კირკიტაძე, ლ. ჩაგელიშვილი.

გაფრთხილება: აკუასაგა (19), ყენია (49), იაშვილი (55), ლალაძე (62), ბარბაქაძე (90).

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი.

**2** წთ. აკუასაგას თავური დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა.

**9** წუთ. რეზო ჯიქია უხერხული მდგომარეობიდან ურტყამს - დავით გვარამაძემ რთული ბურთი მოიგერია.

**14** წთ. გიორგი ალავერდაშვილის ეფექტური რეიდი არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

**24** წთ. ლადო დვალიშვილის ჩინებულ პასს რეზო ჯიქიას ძლიერი დარტყმა მოჰყვა - გვარამაძემ ისევ იყოჩაღა.

**31** წთ. ჯიქიას 40-მეტრიანი სოლო-რეიდი და დვალიშვილის ეფექტური დაგვირგვინება - სტუმართა კარი ძელმა იხსნა.

**44** წთ. ისევ დვალიშვილის აქტიურობა და კვლავაც გვარამაძის დამაჯერებელი თამაში.

**45** წთ. ლევან ყენიას ინდივიდუალური გარღვევა ახლო კუთხეში დარტყმით სრულდება - ბურთი მიზანს ასცდა.

**61** წთ. 1:0 ალექსანდრე ლალაძისა და რევაზ ჯიქიას ორთაბრძოლაა სტუმართა კარში დანიშნული პენალტი მოჰყვა, რომელიც დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა.

**64** წთ. მასპინძელთა კართან ჩამოწოდებულ კუთხურს დაჩი ფოფხაძის სახიფათო თავური დარტყმა მოჰყვა - ბურთი მიზანს ასცდა.

**65.** წთ. ჯიქიას უძლიერესი დარტყმა გვარამაძემ მოიგერია.

**78** წთ. ჯიქიას მორიგი სოლო-რეიდი და არანაკლებ ეფექტური პასი ალეკო კოშკაძეზე, რომლის ტექნიკურად შესრულებული დარტყმა გვარამაძემ მოიგერია.

**79** წთ. მასუნგა ახლო კუთხეში ურტყამს - ისევ გვარამაძე ყოჩაღობს.

**81** წთ. ჯიქიას მორიგი შედევრი, მაგრამ ბურთმა მეტოქის კარის "ცხრიანს" ჩაუარა.



გიორგი ნავალოვსკი

25 აგვისტოს "ოლიმპმა" შინ "ამერი" დაამარცხა და ამას ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიაც (სათასო შეხვედრის ჩათვლით) მოჰყვა. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონისთვის ეს როგორი შედეგიც არის, ვფიქრობთ, განმარტება არ სჭირდება. ამას ისიც დაემატა, რომ "ლოკომოტივთან" მატჩში დისკვალიფიკაციისა თუ ტრავმის გამო "ოლიმპის" ექვს ძირითად ფეხბურთელს **(სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი, მახვილაძე, გენაძე, კახელიშვილი, ალავიძე)** არ უნდა ეთამაშა. არანაკლები დანაკარგით შეხვდა მატჩს რუსთაველი გუნდის მეტოქეც - "ლოკომოტივმაც" ლამის ნახევარი შემადგენლობა **(გუშარაშვილი, სამხარაძე, კვახაძე, ჟღენტი, ხოხონიშვილი, ტიკურიშვილი)** აკლდა. დისკვალიფიცირებული იყო სტუმართა გუნდის მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძეც,** რომელიც ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს თამაშს, ხოლო გუნდი მოედანზე მისმა ასისტენტმა **ზაზა ზამთარაძემ** გამოიყვანა. ჰო, კიკნაძე-ზამთარაძის დუეტი შემთხვევით არ გვიხსენებია - წინა სეზონში "ოლიმპის" გაჩემპიონებაში ამ ახალგაზრდა მწვრთნელებს ხომ ლომის წილი მიუძღვის. მოკლედ, შეხვედრისადმი საკმარისზე მეტი ინტრიგა იყო და თამაშმაც მოლოდინი გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, მასპინძელთა ქომაგები კმაყოფილები უნდა ყოფილიყვნენ - შეხვედრა სანახაობრივიც გამოდგა, არაერთი ლამაზი ეპიზოდიც იხილეს და, რაც მთავარია, "ოლიმპმა" ერთთვიანი პაუზის მერე გაიმარჯვა!

...მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო, "ოლიმპის" ცენტრალური მცველი **აკუასაგა** ხელსაყრელ პოზიციაზე რომ აღმოჩნდა, მაგრამ მისი თავური დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. ამას ერთობ თვალსასეირო ეპიზოდიც მოჰყვა - **რეზო ჯიქია** უხერხული მდგომარეობიდან ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ **დავით გვარამაძეს** ინტუიციამ არ უღალატა და სტუმართა მეკარემ ურთულესი ბურთი მოიგერია. ასეთი სტარტის მერე, ალბათ, ყველა სტუმართა კარში გატანილი გოლის მოლოდინში იყო, მაგრამ "ლოკომოტივმა" თამაშიც "დაალაგა" ერთი-ორჯერ შორეული დარტყმებითაც მოინდომეს **მირზა მერლანის** საიმედოობის შემოწმება, თუმცა "ოლიმპის" მეკარემდე არც პირველ ტაიმში და არც მეორეში ბურთს არ მიუღწევია. მაგრამ, მთვარი მაინც სხვა იყო - სტუმრებმა, ერთი ხანობა, ათწუთიანი მკაცრი პრესინგი შესთავაზეს მასპინძლებს. აი, იმ დროს იყო ზუსტად, მუხლმტკივანმა **ლევან ყენიამ** თავისი უკვე საფირმო გარღვევა ტექნიკური დარტყმით რომ შეასრულა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. აი, ეს იყო და ეს - მერე სახიფათო მომენტებს მხოლოდ მასპინძლები ქმნიდნენ. შეუჩერებელი იყო "ოლიმპის" ფორვარდების დუეტი - **ლადო დვალიშვილი** და რეზო ჯიქია ერთმანეთსაც კარგად უგებდნენ და ჯერი-ჯერზეც ეფექტური დარტყმებით აგვირგვინებდნენ თავიანთი გუნდის შეტევებს. და ის ფაქტი, რომ "ოლიმპმა" ანგარიში ვერ გახსნა, სტუმართა მეკარის - დავით გვარამაძის, მართლაც, ჩინებული თამაშით იყო განპირობებული. თუმცა, ერთ ეპიზოდში სტუმრებს თავიანთი გამოცდილი კაპიტანი ვერ უშველიდა - ჯიქიამ ლამის ცენტრიდან წამოილო ბურთი, გზად ორ მეტოქეს "ტყუპისცალი" ეფექტური ფინტი ჩაუტარა და ზუსტი პასით საჯარიმოში მყოფი დვალიშვილი მოძებნა, რომლის დარტყმასაც წინ "ლოკომოტივის" კარის" ძელი "აღუდგა"...

...გვარამაძე ვახსენეთ და "ლოკომოტივის" კიდევ ერთი ფეხბურთელი უნდა გამოვარჩიოთ პირველ ტაიმში - ამპლუაშეცვლილი **ალექსანდრე ლალაძე** დაცვის ცენტრში თავგანწირვით და, რაც მთავარია, თავისი გუნდის მეკარესავით უშეცდომოდ თამაშობდა. მაგრამ ფეხბურთი ხშირად ულმობელია და 61-ე წუთზე სწორედ გვარამაძისა და ლალაძის დაუდევრობას მოჰყვა კიდევ სტუმართა კარში დანიშნული პენალტი, რომელიც რეზო ჯიქიამ ჩინებულად შეასრულა. ისე, ამ ფორვარდისთვის საცოდაობაც იქნებოდა, მატჩი უგოლოდ რომ დაესრულებინა - 90 წუთის განმავლობაში გაუთავებელი მანევრებითა თუ ფინტებით არაერთი თავსატეხი გაუჩინა მეტოქის მცველ-მეკარეებს. არანაკლებ ჩინებულად გაისარჯა **გიორგი ნავალოვსკიც,** დაცვის ცენტრში ჩვეული საიმედოობით გამოირჩეოდა **სერგი ორბელაძე,** აი, სხვებზე კი ვერაფერს ვიტყვით. ისე, როგორც დვალიშვილის ნაცვლად შესულმა **მასუნგამ** თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.

...გაშვებული გოლის მერე სტუმრები სამფორვარდიან ტაქტიკაზეც გადაეწყვნენ, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ისე, როგორც მოედანზე გამოცდილი **გრიგოლ იმედაძისა** და **მიხეილ ბობოხიძის** (ერთწლიანი პაუზის მერე რომ დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს) გამოჩენას. ჩრდილში მოექცა ლევან ყენიაც, რომელმაც მორიგი "ყვითელი ბარათი" მიიღო მსაჯთან შეკამათებისთვის. სამაგიეროდ, "ოლიმპს" კიდევ რამდენიმე ჩინებული მომენტი ჰქონდა, მაგრამ გვარამაძე კვლავაც უშეცდომოდ თამაშობდა...

**რჩეული**

**რეზო ჯიქია**

**ვინც ეს მატჩი იხილა, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ "ოლიმპის" გამარჯვების მთავარი სულისჩამდგმელი რეზო ჯიქია იყო. იმის გარდა, რომ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა, ამ უნივერსალურმა ფეხბურთელმა, უბრალოდ, შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა!**

**გია ტუხაშვილი**

# უშეღავათო ბრძოლა და სადავო პენალტი

**სპარტაკი-ამერი**

**0:1**

29.09. გორი. თ. ბურჯანაძე
200 მაყურებელი

0:1 ტატანაშვილი (90. პენალტით)

სპარტაკი: კოდალაევი - ბახტურიძე, ხაჭიპერიძე (62. ცქვიტაია), ქემოკლიძე, მამუკაშვილი - კუპრეიშვილი, ძარია, თარხნიშვილი, ხიდაშელი (60. ავალიანი), გოგოხია - ჯანელიძე (74. ტატაევი)

*სათადარიგოები:* ქვილითაია, მედოევი, პარამონოვი, დარბაიძე

ამერი: ქვაჩახია - მესხი, დიდავა, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (60. ჯელაძე), ბოლქვაძე (68. ალავიძე), დობროვოლსკი, დეკანოსიძე - დავითაშვილი (60. ტატანაშვილი), რ. გოცირიძე

*სათადარიგოები:* ნადირაშვილი, შალამბერიძე, კაკაშვილი, ცხადაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

**3.** ცხინვალელმა მცველებმა განმუხტეს მათ კართან შექმნილი სახიფათო ვითარება.

**14.** ჯანელიძემ ხიდეშელი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა ამ უკანასკნელმა ცუდად დაარტყა.

**37.** დეკანოსიძის დარტყმას კოდალაევი ხარიხასთან შესწვდა დიდი გაჭირვებით.

**76.** ჯელაძის ჩაწოდებულზე გამოსული კოდალაევი ვერ შეწვდა ბურთს, მაგრამ ამერის ფეხბურთელებმაც ვერ მოახერხეს, ესარგებლათ შექმნილი მომენტით.

**83** მესხის ძლიერად დარტყმული მცირედით სცდება კარს.

**87** "სპარტაკის" იშვიათი კონტრშეტევისას გოგოხიამ სუსტად დაარტყა და ხელსაყრელი მომენტი ქარს გაატანა.

**90.** 0:1 - ჯელაძემ საჯარიმოს შიგნით შეაგდო ბურთი, მასპინძელ მცველთან ბრძოლაში შეჰყვა მას და წაიქცა. არბიტრმა პენალტი დანიშნა, რომელიც ტატანაშვილმა შეასრულა უნაკლოდ.

მიმდინარე სეზონში არცთუ სახარბიელო დასაწყისის შემდეგ, „ამერი" ნელ-ნელა ძალებს იკრებს. თანდათან უფრო უკეთ ათამაშდა ცხინვალის „სპარტაკიც". ამ შეხვედრაშიც ორივე გუნდის ფეხბურთელებს მონდომება არ დაუკლიათ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად და მაქსიმალურად ეცადნენ სასურველი შედეგისთვის მიეღწიათ.

განსაკუთრებით უშეღავათო ბრძოლა მეორე ტაიმში ვიხილეთ, თუმცა გუნდები უხალისოდ არც პირველ ნახევარში გარჯილან. „სპარტაკმა" შეხვედრის დასაწყისშივე დაუთმო სტუმრებს ტერიტორია, პირველ ყოვლისა, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იწყო ზრუნვა და გოლის გატანას კონტრშეტევებზე თამაშით შეეცადა. თავისი კარი არც „ამერს" დაუტოვებია უყურადღებოდ, მაგრამ დასაწყისიდან მოყოლებული, მათი მასირებული შეტევების შემყურე გულშემატკივარს მუდმივად ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ გოლი მომწიფდა, თბილისელები შეძლებდნენ გატანას და „სპარტაკი" მალე გატყდებოდა.

მასპინძელთა დაცვის ხაზის (განსაკუთრებით **ქემოკლიძე-ხაჭიპერიძე**) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სტუმართა გამოკვეთილი ტერიტორიული უპირატესობისა, კოდალაევის კართან თითქმის არ შექმნილა ისეთი სახიფათო მომენტები, გოლის გატანა რომ ყოფილიყო შესაძლებელი. პირველი და მომდევნო წვრილმან ხარვეზებთან შედარებით, ყველაზე დიდი შეცდომა „სპარტაკის" დაცვამ მატჩის დებიუტში, მე-3 წუთზე დაუშვა, როცა **დავითაშვილს და გოცირიძეს** კართან სამიოდ მეტრში მისცა ბურთის მიღების საშუალება, ოღონდ ვიდრე „ამერის" მრისხანე შემტევნი დარტყმას მოახერხებდნენ მასპინძლებმა ბურთი მოიგერიეს.

„ამერმა" არაერთხელ ამაოდ სცადა საჯარიმოს გარედანაც გატანა. ერთხელ ამ გზით **დეკანოსიძეს** ცოტა დააკლდა კიდეც ანგარიშის გახსნამდე, მაგრამ გოლკიპერმა ხარიხასთან ჩასაშვებად გაქზადებული ბურთი თავგანწირული ნახტომით მოიგერია.

შესვენების შემდეგ „ამერი" უკვე მეტოქის ნახევარზე განლაგდა. უწინდელთან შედარებით უკეთ ამოქმედდა მათი ფლანგები. თბილისელები გრძობდნენ, რომ დროის სვლასთან ერთად სამი ქულა უპერსპექტივო ოცნება ხდებოდა და მოწინააღმდეგეს კარის გარშემო მარწუხები შეავიწროვეს, თუმცა „სპარტაკი" მაინც ახერხებდა მათი იერიშების განეიტრალებას. მინდორზე გაჩაღებულ უშეღავათო ბრძოლაში თავგანწირულად ჩართულ „სპარტაკის" ცენტრალურ მცველ ხაჭიპერიძეს კინალამ ყურიც აეხა (შესაცვლელი და საავადმყოფოში გადასაყვანი გახდა), თუმცა ესეც მხოლოდ ფეხბურთელთა თავგანწირული ბრძოლის შედეგი იყო და მიუხედავად დაძაბულობისა, მობურთალთ უხეშობისთვის რომ არ მიუმართავთ, არბიტრის მხრიდან წითელ-ყვითელი ბარათების გამოუყენებლობა მეტყველებს. დაახლოებით მე-60 წუთისთვის ორივე გუნდის თავკაცმა განახორციელა ცვლილებები და ახალი ძალები შეუშვა მოედანზე, თუმცა მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა, ისევ „ამერი" უტევდა მთელი ძალებით, „სპარტაკი" კი მთელი ძალებითვე იცავდა თავს. შემდგომმა მოვლენებმა კი აჩვენა, რომ ცვლილებებმა წარმატების თვალსაზრისით **ჩიხრაძეს** უფრო გაუმართლა, ვინაიდან შეხვედრის ბოლო წუთზე დანიშნული პენალტი სწორედ შეცვლაზე შემოსულმა **ჯელაძემ** მოინადირა და ასევე მარქაფიდან შემომატებულმა **ტატანაშვილმა** აქცია იგი გოლად.

პენალტი უსამართლოდ დანიშნულად მიიჩნიეს ცხინვალელებმა. პროტესტი მოედანზე ფეხბურთელებმა გამოხატეს, პრესკონფერენციაზე კი მთავარმა მწვრთნელმა **ჟორჟიკაშვილმა** ისიც აღნიშნა, რომ ამაზე მსჯელობა სფფ-შიც გაგრძელდებოდა. ბუნებრივია ბრძოლით და არა შედეგით, **დიმიტრი სანაკოევიც** დარჩა კმაყოფილი, რომელმაც ჯერ თავისი გუნდის თავკაცი შეაქო და გაამხნევა, შედეგ კი ფეხბურთელებს გასახდელში ეწვია და მადლობა გადაუხადა თავგანწირული გარჯისათვის.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი ჩიხრაძე (ამერი):** „სრულ ტერიტორიულ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ მეტოქე ძალიან ჩაკეტილად თამაშობდა, რის გამოც გატანა მეტისმეტად გაგვიჭირდა. ჩემი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ არ გატყდნენ და ბოლო წამებამდე იბრძოლეს. რაც შეეხება პენალტს, მართალია ჯერ ვიდეოჩანაწერი არ მინახავს, მაგრამ როგორც მე დავინახე ჯელაძე წესების დარღვევით წააქციეს საჯარიმოში"

**კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი):** „ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ძლიერ გუნდს ვეთამაშებოდით და ამიტომაც დაცვას მეტი ყურადღება დავუთმეთ, გატანას კი კონტრშეტევებით ვცდილობდით. ბიჭებმა ყველაფერი კარგად შეასრულეს, თუმცა მსაჯმა პენალტი მოიგონა და ... მოკლედ, წაგებას არანაირად არ ვიმსახურებდით"

**რჩეული**

**რევაზ ქემოკლიძე**

**ლამის მთელი მატჩი მოედნის იმ მონაკვეთზე მიმდინარეობდა, სადაც პასუხისმგებელი ცხინვალელთა უკანა ხაზი გახლდათ. სწორედ ეს რგოლი იყო ორივე გუნდში გამორჩეული. რევაზ ქემოკლიძე კი თავის მხრივ თავდაჯერებული და საიმედო თამაშით გამოირჩეოდა „სპარტაკის" მცველებში.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ეტიენ ბიტოოსთან

# მინდა, ოვონოსაც გავუტანო



ეტიენ ბიტოო

**ცოტა ხნის წინათ "ზესტაფონს" კიდევ ერთი ლეგიონერი, გაბონელი ფორვარდი ეტიენ ბიტოო შეემატა. მან უკვე სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლის გატანაც მოასწრო. "ზესტაფონის" ბოლნისში სტუმრობისას "ლელო" იმერული კლუბის ახალწვეულს გაესაუბრა.**

- 27 წლის ფორვარდი ვარ. სულ რამდენიმე კვირაა, რაც ჩემი ქართული კარიერა დაიწყო. დღეს პირველად ვითამაშე სრულად, მანამდე მხოლოდ შეცვლაზე შევდიოდი.

**- თუმცა წინა ტურში, "ოლიმპთან" მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული იყავი...**

- მნიშვნელოვანი მატჩი გვქონდა და არა მარტო მე, არამედ მთელი გუნდი მობილიზებული ვიყავით. როგორც მითხრეს, "ოლიმპი" მოქმედი ჩემპიონია. ასე რომ, მოტივაცია არც მე მაკლდა. მაქსიმალურად შევეცადე, მეტი სარგებელი მომეტანა გუნდისთვის. საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს და ჩემი თამაშის შეფასებაც მწვრთნელებისა და გულშემატკივრებისთვის მიმინდვია.

**- "სიონთან" ბოლოს ჩატარებულ შეხვედრაზე რისი თქმა შეგიძლია?**

- დაძაბული მატჩი გამოდგა. თამაშის წინა დღეს თანაგუნდელებმა აქაური ჩემპიონატის შესახებ გარკვეული სიახლეები მითხრეს და მობილიზებაში ესეც დამეხმარა.

**- კონკრეტულად რა?**

- ის, რომ საქართველოში რამდენიმე ქალაქიდან ყოველთვის ძნელია ქულების წამოღება. ბოლნისიც ასეთ ქალაქთა რიცხვში ყოფილა. მითხრეს ისიც, რომ "სიონი" ორი წლის წინათ ქვეყნის ჩემპიონი იყო, ახლაც ამბიციური გუნდია, ერთგული ფანები მრავლად ჰყავს და საშინაო მატჩებში უფრო უკეთ თამაშობსო.

**- "ზესტაფონში" სამი მატჩი ჩაატარე და ერთი გოლი გაიტანე. ალბათ ამ მაჩვენებლის გაზრდაზეც იზრუნებ...**

- ფორვარდი ვარ და რაღა თქმა უნდა ყველა თამაშში გოლის გატანაზე ვფიქრობ. თუმცა ყველა შეტევა გოლით არ მთავრდება. ჯერჯერობით ერთი გოლი მაქვს გატანილი, ისიც თასზე. ჩემპიონატშიც მალე გავიტან.

**- ზესტაფონში ადაპტაცია ხომ არ გაგჭირვებია?**

- არა, არანაირად. ზესტაფონი პატარა, მაგრამ კარგი ქალაქია. რაც მთავარია, თბილი და კეთილი ხალხი ცხოვრობს. უცხო გარემოში მოხვედრისას კი, დამეთანხმებით, ეს მთავარი ფაქტორია. ზესტაფონში თავს ჩინებულად ვგრძნობ.

**- ენობრივ ბარიერზე რას იტყოდი?**

- ფრანგულად გამართულად ვსაუბრობ, მაგრამ ინგლისურში მოვიკოჭლებ. ენობრივი ბარიერი ცოტათი ხელს კი მიშლის, მაგრამ ქართულად რამდენიმე იმ სიტყვასაც მალე ვისწავლი, რომელიც ხშირად მჭირდება და ეს პრობლემაც მოიხსნება.

**- ახალ გუნდზე რა წარმოდგენა შეგექმნა?**

- კარგი გუნდი გვყავს. ჩემ გარდა კიდევ რამდენიმე ლეგიონერია. სათადარიგოთა სკამიც გრძელი გვაქვს. ყველა პოზიციაზე დიდი კონკურენციაა. ჩემპიონობისთვის ვიბრძვით დ,ა ვფიქრობ, ამას შევძლებთ კიდეც.

**- "ზესტაფონამდე" სად თამაშობდი?**

- სამშობლოში, გაბონის უმაღლესი ლიგის კლუბ "სანსენში" გამოვდიოდი. სწორედ ამ გუნდში თამაშობდნენ პოლ კესანი და მეკარე დიდიე ოვონო.

**- ამ კლუბის პრეზიდენტი მართლა გაბონის შინაგან საქმეთა მინისტრია?**

- დიახ, საიდან იცით?

**- გავიგეთ. ისიც შევიტყვეთ, რომ კლუბის პრეზიდენტს არ ეთმობოდი და შენი საქართველოში ჩამოსვლამაც ამიტომ დააგვიანა. ასე არაა?**

- დიახ, (იცინის) კლუბის პრეზიდენტს დიდი სიმპათია ჰქონდა ჩემდამი. მას არ უნდოდა "სანსენი" დამეტოვებინა... თუმცა მერე მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა.

**- ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ათეული მატჩი გქონია ჩატარებული...**

- ზუსტად არც მახსოვს, 55 თუ 56 მატჩში ვითამაშე და 19 ბურთი მაქვს გატანილი.

**- ზემოთ მითხარი, ჩემპიონობისთვის ვიბრძვითო. თქვენი მთავარი კონკურენტი თბილისის "დინამოა". ამ გუნდში კი შენი თანამემამულეები დიდიე ოვონო და ჟორჟ აკირემი ასპარეზობენ...**

- დიახ, ვიცი. ისინი ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ მოედანზე ჩვენ მეტოქეები ვართ. ვეცდები, ოვონოს გოლი გავუტანო. კარგად ვიცი "დინამოს" კარში გატანილი ბურთის მნიშვნელობა. ასე რომ, ცდას არ დავაკლებ.

**დავით ცაბაძე**

# ბათიაშვილი მეშაქრეშია



ზურაბ ბათიაშვილი

ცხოვრება რომ კიბეა, ხან ზემოთ ასვლითა და ხან ქვემოთ ჩასვლით, ეს **ზურაბ ბათიაშვილმა** არავისზე ნაკლებად არ იცის. 16 წლის იყო, მასზე დასაკვირვებლად "ეინდჰოვენიდან" **დიკ ადვოკაატმა** ასისტენტი, **ბროინ სლოტი** საქართველოში რომ გამოუშვა. დიახ, 16 წლის ბიჭი პოპულარულ ჰოლანდიურ კლუბში წაიყვანეს და **ვატერეუსის** გვერდით ძირითად გუნდში ორი კვირა ვარჯიშობდა.

მერე რა ქნა, თავადაც არ იცის. 1300-დოლარიანი ხელფასი იუარა, სამარცხვინო შეთავაზებად ჩათვალა და ამ საბედისწერო შეცდომის ბრალია უნიჭიერესი მეკარე ისე რომ ვერ გაიზარდა, როგორც მისგან ელოდნენ. ბოლოს ბოლნისის "სიონში" ჩემპიონი გახდა მერე კი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მეკარე უგუნდოდ დარჩა. რეჟიმის ერთგული, მოკრძალებული ბიჭისთვის გაუგებარი იყო, რას ერჩოდნენ. სხვა გზა რომ არ რჩებოდა, მცირე ხნის წინათ პირველი ლიგის ლიდერის, აგარის "მეშაქრის" წინადადებას დათანხმდა.

*"უკვე მეორე თამაში ჩავატარე "მეშაქრეში". უმაღლესში თამაში რომ მინდოდა, ორი აზრი არაა. თუმცა წინადადება მაშინ მივიღე, როდესაც უკვე აგარელებთან შეთანხმებული ვიყავი, გორის "დილა" მინვევდა. პირველ ლიგაში გული არ მიმიწევდა, მაგრამ სიტყვის გატეხვა არ გამოდიოდა. სხვათა შორის, ძალიან კი გამიკვირდა, მაგრამ აქ შეიძლება ნორმალურად მომზადება. თამაშების დროს ისეთი დატვირთვები მაქვს, ვერ წარმოვიდგენდი. ნახევარწლიანი უთამაშებლობის შემდეგ ჩემთვის ეს მისაღებია. იყო ფიზიკური ტრავმაც, მორალურიც... არ მეგონა, ასეთი საძებნი თუ გამიხდებოდა გუნდი. აზერბაიჯანში რაც შემემთხვა, ეს იყო მთავარი მიზეზი. ტყუილად წავედი, მომატყუეს, ამასობაში საქართველოში სეზონიც დაიწყო და პირველ ლიგაში მომიხდა თამაში."*

რაც შეეხება აგარის "მეშაქრეს", მისი შემადგენლობა წლეულს სერიოზულად შეიცვალა და გუნდს უმაღლესში გადასვლის საფუძვლიანი პრეტენზია გააჩნია. ზურა ამაზეც გვესაუბრა: *"გუნდი თბილისში, 35-ე საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს და ესეც მაწყობს. თავად გუნდიც ამბიციურია, წლეულს უმაღლესში უნდა გადავიდეთ და ეს რეალური ამოცანა ჩანს. ძალიან კარგი ბიჭები დამხვდნენ, უმაღლეს ლიგაში, ასაკობრივ ნაკრებში ნათამაშები ებანოიძე, გარუჩავა, რეხვიაშვილი, დონდოლაძე, მიმინოშვილი, ფაილოძე. მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავაა, რომელმაც გუნდს ხელი დაატყო. პირობებიც ნორმალურია და სხვათა შორის, სერიოზული სტადიონის და ბაზის აშენებას აპირებენ. ჯერ მესამე ადგილზე ვართ, მაგრამ "დინამო 2" უკონკურსოდ მონაწილეობს და გამოდის, რეალურად მხოლოდ "გაგრას" ჩამოვრჩებით. და მაინც, გული მაინც უცხოეთისკენ მიმიწევს. იქნებ, წლეულს მაინც წავიდე ნორმალურ ქვეყანაში. "ეინდჰოვენის" შემდეგ დავითარსე, მაგრამ სულ ასე ხომ არ გაგრძელდება"...*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# რომარიოს არველაძე მისდევს

საფეხბურთო სტატისტიკა მსოფლიოში ფართო მასებში თავად ფეხბურთივით პოპულარული არაა, მაგრამ მასაც ჰყავს მოყვარულები. სხვა თუ არაფერი, ეს ხომ ციფრებში ასახული საფეხბურთო ისტორიაა. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია პერიოდულად აქვეყნებს ხოლმე საინტერესო ფაქტებს. ამჯერად ამ სტატისტიკაში ქართველი ფორვარდი **შოთა არველაძე** მოხვდა.

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ კარიერის განმავლობაში გატანილი გოლების რაოდენობის მიხედვით გამორჩეულ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა. ასეთი რამ ადრეც გამოქვეყნებულა, თუმცა მას შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა. სიას ბრაზილიელი **რომარიო** უდგას სათავეში 489 გოლით. მეორე ადგილზეა გვატემალელი **ხუან კარლოსი** 277 გოლით, მესამე კი 263 გატანილი ბურთით შოთა არველაძე გახლავთ. მეოთხე უზბეკი თავდამსხმელი **ჯაფარ ირისმეტოვია** 208 გოლით.

შოთა არველაძე ამჟამად ტრავმირებულია. ბოლო ინფორმაციით ის ნოემბერში დაუბრუნდება მოედანს. ქართველი ფორვარდი 14 გოლით ჩამორჩება გვატემალელ თავდამსხმელს და ეგებ შეძლოს და კარიერის დასრულებამდე მასაც გაუსწროს და მეორე ადგილამდე აღზევდეს.



შოთა არველაძე

**დავით ცაბაძე**

ფეხბურთელთა სტაჟირება ედუარდო დელგადოსთან

არგენტინაში



ვასილ აფციაური (დაბადებული 1990 წელს) და ხვიჩა მურლულია (1988) ემზადებიან არგენტინაში ედუარდო დელგადოსთან. ედუარდო დელგადოს მტკიცებით, მურლულიასა და აფციაურს შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებ გუნდებში და მონაწილეობა მიიღონ საქართველო-ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში, რომელიც 2008 წლის მარტ-აპრილში თბილისში უნდა გაიმართოს. ედუარდო დელგადო მურლულიასა და აფციაურის თამაშის ამსახველ ვიდეომასალას მალე წარუდგენს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს განსახილველად.

დელგადო აგრძელებს საქართველოდან 16, 17, 18, 19 და 20 წლის ფეხბურთელთა მიწვევას და მაღალ დონეზე მომზადებას. მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. შესაბამისი მომზადების შემდეგ ფეხბურთელები წარდგენილნი იქნებიან არგენტინის საფეხბურთო კლუბებში და მონაწილეობას მიიღებენ ოფიციალურ მატჩებში. მომზადების პერიოდი (ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური) ფასიანია და არგენტინის მხარე მას არ უზრუნველყოფს. ასევე, სავიზო, ავიამომსახურებისა და მათი ადგილზე მომსახურების ხარჯები გალებული უნდა იქნას მსურველთა მიერ. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან მიმდინარე წლის ოქტომბერში.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად და საბუთების გასაფორმებლად დაუკავშირდით არგენტინის წარმომადგენელს, მისამართზე:

თბილისი, ლეონიძის ქუჩა №4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარი ჩაწერით, ტელეფონზე 899 23 55 20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება.

# მუჯირი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია

ირანის თასის მფლობელმა ისპაჰანის "სეპაჰანმა" დიდ წარმატებას მიაღწია - აზიის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა.

ისპაჰანელებმა იაპონურ "კავასაკისთან" შინ 0:0 ითამაშეს და ცოტა თუ ელოდა მის ნახევარფინალში გასვლას. იაპონიაშიც მატჩი 0:0 დასრულდა, პენალტების სერიაში კი ირანელებმა 5:4 მოიგეს.

**ჯაბა მუჯირის** გუნდს სამშობლოში დიდი დახვედრა მოუწყეს. მას შემდეგ, რაც ეს გათამაშება ახლი ფორმატით ტარდება, სპარსული გუნდი პირველად გავიდა ნახევარფინალში.

**დავით თავართქილაძე**

ყაზბეგი
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე იაშვილი დორტმუნდთან მატჩში

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A, VI ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-კატანია | 1:1 | 53 წთ. (შეცვალეს) | 5 თ, 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა, VI ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ბარსელონა | 1:4 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, VIII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | სანდერლენდი-ბლექბერნი | 1:2 | სათადარიგო | 0 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, VIII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ჰერტა | 1:0 | 12 წთ. (შეცვლაზე) | 4 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-დორტმუნდი | 3:1 | 45 წთ. (შეცვლაზე) | 7 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, VIII ტური | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-კობლენცი | 2:2 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-აუე | 2:0 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-აუგსბურგი | 1:1 | არ უთამაშია | 5 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | ფიურტი-კარლ ცაისი | 2:2 | 18 წთ. (შეცვლაზე) | 6 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | ფიურტი-კარლ ცაისი | 2:2 | 58 წთ. (შეცვლაზე) | 3 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | ფიურტი-კარლ ცაისი | 2:2 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| რეგიონალლიგა, IX ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | ფრანკფურტი-როიტლინგენი | 2:2 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, IX ტური | | | | |
| დავით კვირკველია | მეტალურგი ზ.-შახტარი | 1:3 | 90 წუთი | 11 თ, 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | კარპატი-მეტალისტი | 0:2 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | დინამო-ნეფტიანიკი | 0:1 | 90 წუთი | 11 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | მეტალურგი დ.-ზარია | 1:0 | 53 წთ. (შეცვალეს) | 11 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | მეტალურგი დ.-ზარია | 1:0 | დუბლები | 0 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | დნეპრი-არსენალი | 1:3 | 11 წთ. (შეცვლაზე) | 10 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ხარკოვი-ზაკარპატიე | 0:2 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 9 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი-ზაკარპატიე | 0:2 | 90 წუთი, გააფრთხ. საგოლე პასი | 5 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნეპრი-არსენალი | 1:3 | 90 წუთი, 1 გოლი, გააფრთხ. | 9 თ, 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XIII ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | ლასკი-შტურმი | 2:2 | 90 წუთი | 13 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, X ტური | | | | |
| მირზა ბუძლავა | ზალცბურგი (მ)-ავსტრია ლ. | 2:1 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XI ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ოლბორგი-ვიბორგი | 3:2 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 6 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა, XI ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-ქსამაქსი | 1:1 | სათადარიგო | 7 თ, 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXV ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-მოსკვა | 0:0 | 28 წთ. (შეცვლაზე), გააფრთხ. | 12 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | ლუჩი-რუბინი | 2:0 | არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | ლუჩი-რუბინი | 2:0 | 45 წთ. (შეცვალეს) | 10 თ, 1 გ. |
| დავით მუჯირი | დინამო-კრილია სოვეტოვი | 1:1 | 79 წთ. (შეცვალეს), 1 გ, გააფრთ. | 21 თ, 6 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ამკარი-ლოკომოტივი | 1:0 | არ უთამაშია | 11 თ, 1 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | როსტოვი-სპარტაკი ნ. | 0:1 | 90 წუთი | 25 თ, 3 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი-რუბინი | 2:0 | 90 წთ. (შეცვალეს) | 19 თ, 0 გ. |

ქართული ლეგიონის უქმეები

# ქართული გოლები ევროპაში: ორი პლუს სამი

**ამ უქმეებზე ქართველ ლეგიონერთაგან გოლები ჯაბა კანკავამ და დავით მუჯირმა გაიტანეს. გოლები ყაზახეთში ლევან მელქაძემ, ბელარუსში გიორგი თოდუამ და აზერბაიჯანში გიორგი ადამიამაც გაიტანეს, თუმცა მათზე ხვალ მოგითხრობთ.**

## კალაძის ტრავმა

**კახა კალაძემ** მატჩის 53-ე წუთზე კოჭლობით დატოვა მოედანი, მან კუნთი დაიჭიმა. "მილანმა" კი შინ ვერ შეძლო "კატანიას" ძლევა - 1:1. კალაძის ნაცვლად მოედანზე **ალესანდრო ნესტა** გამოვიდა. ინტერნეტწყაროები, ჯერჯერობით, არ იუწყებიან, რა სიმძიმისაა საქართველოს ნაკრების კაპიტნის ტრავმა.

თუ ასე გაგრძელდა, იმ დროისთვის, როცა **შოთა არველაძე** ტრავმას მოიშუშებს, მის გუნდს პრიმერა დივიზიონიდან გავარდნა "დაბევებული" იქნება, "ლევანტე" ძალიან სუსტად თამაშობს, კლუბს მხოლოდ ერთი ქულა აქვს. ინგლისში "ბლექბერნმა" 2:1 დაამარცხა სტუმრად "სანდერლენდი", **ზურაბ ხიზანიშვილი** სტუმართა ერთადერთი მინდვრის მოთამაშე იყო, რომელიც სათადარიგოთა სკამზე კი იჯდა, მაგრამ მოედანზე არ გამოსულა.

## იაშვილმა საგოლე პასით დაიწყო

ზედიზედ მეორე ტურია, **ლევან კობიაშვილი** მცველ **კრისტიან პანდერს** ცვლის, ამჯერად "შალკემ" შინ 1:0 სძლია ბერლინის "ჰერტას". "კარლსრუემ" 3:1 მოუგო დორტმუნდის "ბორუსიას", **ალექსანდრე იაშვილმა** მეორე ტაიმი ითამაშა და სეზონში პირველი საგოლე პასი მიითვალა. 75-ე წუთზე ქართველმა **სებასტიან ფრაისს** გაუკეთა კარგი გადაცემა და მანაც ანგარიშს საბოლოო წერტილი დაუსვა. იაშვილმა "შპორტალისგან" 3,5 ქულა დაიმსახურა. "შალკე" 16 ქულით მეორეა, "კარლსრუე" 15 ქულით - მესამე.

მეორე ბუნდესლიგის ბოლოადგილოსანი "პადერბორნი" შინ 1:1 დაუზავდა "აუგსბურგს". **დავით სირაძეს** საერთოდ არ უთამაშია, ის მოწამლული იყო. "ფრაიბურგმა" შინ 2:0 დაამარცხა "აუე" და 17 ქულით პირველ ადგილზე გადავიდა. **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგო იყო. **ვალდას ივანაუსკაუსის** "კარლ ცაისი" სტუმრად "ფიურტს" დაუზავდა - 2:2. ქართველი მცველები შეცვლაზე შევიდნენ: 32-ე წუთზე **გიორგი ონიანმა ომოდიაგბე** შეცვალა, ხოლო 72-ე წუთზე **ილია კანდელაკი ჰანსენის** ნაცვლად გამოვიდა. **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენმა" 10-კაციან "კობლენცს" ვერ მოუგო - 2:2. მათემ შეუცვლელად ითამაშა. "შპორტალმა" ქართველთა გარჯა ასე შეაფასა: ონიანი - 4, ღვინიანიძე - 5.

## შაშიაშვილის იშვიათი მიღწევა

**გიორგი შაშიაშვილმა** კვლავაც 90 წუთი ითამაშა "შტურმისა" და "ლასკის" მატჩში (2:2), "შტურმი" 20 ქულით ათგუნდიან ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა. შაშიაშვილი ერთ-ერთი იშვიათთაგანია, რომელმაც ყველა მატჩში შეუცვლელად ითამაშა.

სტუმრად 2:3 დამარცხდა **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი", "ოლბორგთან" მატჩში ქართველი მცველი, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, პირველ ტაიმში გააფრთხილეს.

## ასათიანს უფრთხილდებიან

ტური ვლადივოსტოკში "ლუჩის" მიერ "რუბინის" ძლევით დაიწყო, მასპინძელთა ნახევარმცველი **ლევან გვაზავა** ბოლო წუთზე შეცვალეს. სტუმრებს კიპერი **ნუკრი რევიშვილი** სათადარიგოთა სკამზე ჰყავდათ, წინა ტურში გოლის ავტორი **ლაშა სალუქვაძე** კი შესვენებაზე შეცვალეს. "ლოკომოტივი" "ამკარს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. მატჩის განაცხადში **მალხაზ ასათიანის** გვარს ვერ ნახავდით. მიზეზი შემდეგია, პერმში ხელოვნურსაფარიანი მოედანია, რკინიგზელთა ექიმები კი ქართველ ვარსკვლავს ჯერ ასეთ საფარზე თამაშის უფლებას არ აძლევენ, უფრთხილდებიან.

გუშინ "სატურნი" 0:0 ეთამაშა "მოსკვას". **გოგუა** ზედიზედ მეორე თამაშია შეცვლაზე შედის და ზედიზედ მეორე თამაშია გაფრთხილებას იღებს. ამ უქმეებზე ქართული ლეგიონის პირველი გოლი დავით მუჯირმა გაიტანა. მან მე-14 წუთზე მოსკოვის "დინამოს" გაუთანაბრა - ბურთი საჯარიმოს გასწვრივ მიილო, დამუშავების დროც გამონახა და აულებლადაც დაარტყა. მუჯირი პირველი ტაიმის მიწურულს გააფრთხილეს, მეორე ტაიმში ის შეცვალეს. მოპოვებული ქულით "კრილია სოვეტოვმა" დააღწია თავი გასავარდნ ზონას.

## ჯაბას პირველი გოლი

**ვასილ გიგიაძის** "ნეფტიანიკმა" სეზონში პირველი გამარჯვება, ყველასთვის მოულოდნელად, კიევის "დინამოსთან" სტუმრად მატჩში იზეიმა. **იოჟეფ საბოს** საშინაო დებიუტი სტუმარმა **ოლეგ შეპტიცკიმ** ჩაამწარა 30-ე წუთზე. გიგიაძემ 90 წუთი ითამაშა და ორჯერ სახიფათოდაც დაარტყა "დინამოს" კარში. ვეტერან ქართველ ფორვარდს ჯერ ერთხელაც არ გაუტანია ახალ სეზონში.

დონეცკში ცხრილის შუაში დამკვიდრებული "მეტალურგისა" და "ზარიას" მატჩის ბედიც ერთმა გოლმა გადაწყვიტა, **ანდერს მენდოსას** გოლმა მასპინძლებს გაამარჯვებინა **ლადო ბურდულის** გუნდზე. ლადომ "ზარიას" შემადგენლობაში პირველი 53 წუთი ითანაშა, შემდეგ ის **ედუარდ ციხმეისტრუკმა** შეცვალა. **გიორგი ციმაკურიძემ** წინა დღით ითამაშა "ზარიის" დუბლებში ერთი ტაიმი.

ზაპოროჟიეში "მეტალურგმა" 1:3 დათმო ლიდერ "შახტართან". გუნდში ეულად დარჩენილმა ქართველმა **დავით კვირკველიამ** სრულად ითამაშა. "ზაკარპატიემ" სტუმრად "ხარკოვთან" იმარჯვა, ორივე ქართველმა 90-90 წუთი ითამაშეს, **კახა ალადაშვილიც** და **ოთარ მარცვალაძეც** გააფრთხილეს. კახას საგოლე კუთხურით ანგარიში **მიროსლავ ბუნდაშმა** გახსნა.

გუშინ კიდევ ერთი ქართული გოლი გავიდა, თუმცა **ჯაბა კანკავას** გოლმა "დნეპრს" შვება ვერ მოგვარა, კიევის "არსენალთან" 1:3 დამარცხდა. ჯაბამ საჯარიმო დარტყმით 30-ე წუთზე გაათანაბრა. 79-ე წუთზე მინდორზე სტუმართა ფორვარდი **გიორგი დემეტრაძე** გამოჩნდა. ამ სეზონში ეს კანკავას პირველი გოლი იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



წინა პლანზე ჯაბა კანკავა

### რომა-ინტერი 1:4

რომა: ა. დონი-6, პანუჩი-5.5 (69. სისინიო-6), მექსე-5.5, ჟუანი-6, ტონეტო-6, დე როსი-5.5, პისარო-6, პეროტა-6.5, მანსინი-5.5 (69. ვუჩინიჩი-5), ჟიული-5, ტოტი-4 (76. ესპოზიტო-5.5).

ინტერი: ჟულიო სეზარი-7, ხ. ძანეტი-6.5, კორდობა-6.5, სამუელი-6.5, მაქსველი-6, კამბიასო-6.5, დაკური-7 (50. კრესპო-6.5), სტანკოვიჩი-6, სეზარი-7, ფიგუ-6.5 (77. პელე-6), იბრაჰიმოვიჩი-6.5 (50. კრუსი-7).

გოლები: 0:1 იბრაჰიმოვიჩი (29-პენ), 1:1 პეროტა (53), 1:2 კრესპო (56), 1:3 კრუსი (60), 1:4 კორდობა (68)

გაძევება: ჟიული (28. რომა)

გაფრთხილება: 1-1; კუთხური: 8-3; ჯარიმა: 13-19; თამაშგარე: 1-5; კარში დარტყმა: 12-15 (10-10); ბურთის ფლობა: 41%-59%.

მაყურებელი: 60 000

### ლივორნო-ფიორენტინა 0:3

ლივორნო: ამელია-6, გრანდონი-6, გალანტე-5.5, კნეჟევიჩი-5.5 (50. რეზაეი-5.5), ბალერი-5 (54. ბოგდანი-5), ჯანიკედა-5, ლოვიზო-4, ა. ფილიპინი-5.5, პასკუალე-5, დიამანტი-6 (65. ვოლპე-5), ფ. როსინი-5.

ფიორენტინა: ფრეი-6, ბალცარეტი-6, უიფალუში-6, კროლდრუპი-6, გამბერინი-6, კუჟმანოვიჩი-6, ლივერანი-6 (64. პაციენცა-6), გობი-7 (54. მონტოლივო-6), სანტანა-7.5, პაცინი-6 (65. ვიერი-6.5), ოსვალდო-7.5.

გოლები: 0:1 ოსვალდო (45), 0:2 ოსვალდო (67), 0:3 სანტანა (69)

გაძევება: ლოვიზო (62. ლივორნო)

გაფრთხილება: 4-3; კუთხური: 5-7; ჯარიმა: 23-27; თამაშგარე: 5-2; კარში დარტყმა: 10-18 (4-8); ბურთის ფლობა: 36%-64%.

მაყურებელი: 10 000

### მილანი-კატანია 1:1

მილანი: კალაჩი-5.5, კაფუ-5.5 (46. ოდო-6), ბონერა-5.5, კალაძე-5 (56. ნესტა-6), ფავალი-6, გატუზო-6, პირლო-6, ამბროზინი-6 (46. ჯილარდინო-5), ზეედორფი-5.5, კაკა-6, ფ. ინძაგი-4.

კატანია: პოლიტო-6.5, სარდო-6, ტერლიცი-6.5, სტოვინი-6.5, ბიაჯანტი-6, იცკო-6.5, ედუსეი-6.5, ხ. ვარგასი-6.5, მარტინესი-6.5 (66. საბატო-6), მასკარა-6.5, სპინეზი-6.

გოლები: 0:1 მარტინესი (25), 1:1 კაკა (48-პენ)

გაფრთხილება: 4-3; კუთხური: 6-5; ჯარიმა: 20-28; თამაშგარე: 1-4; კარში დარტყმა: 18-9 (6-3); ბურთის ფლობა: 65%-35%.

მაყურებელი: 49 835

### ემპოლი-პალერმო 3:1

ემპოლი: ბალი-5, ვანილი-6, ადანი-6 (45. პიკოლო-6), რაჯი-6, ტოსტო-6, ბუშე-6.5, ჯაკომაცი-6.5 (73. მარკიზიო-შ.გ), მორო-6, ვანუკი-6.5, პოცი-6.5, საუდატი-6 (65. ჯოვინკო-6.5).

პალერმო: ა. ფონტანა-7 (35. ალაარდი-5), დიანა-6, რინაუდო-5.5, ბარძალი-5.5, ძაკარდო-5.5, მილიაჩო-5.5, გუანა-5.5, კაზერტა-6.5, იანკოვიჩი-5 (61. სიმპლისიუ-5), კავანი-6.5 (79. კასანი-შ.გ), ამაური-6.

გოლები: 0:1 კავანი (39), 1:1 პოცი (48), 2:1 ჯოვინკო (80), 3:1 ვანუკი (90-პენ)

გაძევება: კაზერტა (75. პალერმო)

გაფრთხილება: 3-3; კუთხური: 11-2; ჯარიმა: 19-20; თამაშგარე: 0-1; კარში დარტყმა: 23-5 (14-3); ბურთის ფლობა: 56%-44%.

| 10. რეკრეატივო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 11. რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 3-7 | 8 |
| 12. ალმერია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-7 | 7 |
| 13. სევილია | 5 | 2 | 0 | 3 | 11-9 | 6 |
| 14. ოსასუნა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 15. ბეტისი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 16. ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 17. ვალიადოლიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-13 | 5 |
| 18. დეპორტივო | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 19. ხეტაფე | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |
| 20. ლევანტე | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |

ბომბარდირები: 5 - აგუერო (ატლეტიკო), მესი (ბარსელონა); 4 - კანუტე (სევილია), სნეიდერი (რეალი), როსი (ვილიარეალი); 3 - ანრი (ბარსელონა), გუისა (მალიორკა), კერჟაკოვი (სევილია), ხავი გერერო (რეკრეატივო).

## II დივიზიონი

VI ტური

**კასტელონი-კადისი 2:0**

გოლები: 1:0 ობერმანი (33), 2:0 პერიკო (62)

**ალავესი-ტენერიფე 0:0**

**ნუმანსია-სპორტინგი 0:2**

გოლები: 0:1 ბარალი (57), 0:2 ბარალი (73)

**ეხიდო-მალაგა 2:3**

გოლები: 0:1 პერაგონი (12), 1:1 ბერმეხო (52), 1:2 ტენია (55-საკ. კარში), 1:3 პერაგონი (85), 2:3 ხული (86)

**ლას პალმასი-ხიმნასტიკი 1:0**

გოლი: 1:0 ტრაშორასი (2)

**ელჩე-სელტა 2:0**

გოლები: 1:0 ბელვისი (13), 2:0 ბელვისი (55)

**ალბასეტე-ფეროლი 1:2**

გოლები: 0:1 კოენი (41), 0:2 ჯონათანი (46), 1:2 კალანდრია (72)

**სალამანკა-ერკულესი 1:1**

გოლები: 1:0 მარტინი (8), 1:1 ტოტე (20)

**კორდობა-გრანადა 0:0**

**ეიბარი-სევილია A 0:1**

გოლი: 0:1 მორენო (90)

**ხერესი-სოსიედადი 1:1**

გოლები: 1:0 ანტონიტო (20), 1:1 დე სერიო (40)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 6 | 6 | 0 | 0 | 15-5 | 18 |
| 2. სპორტინგი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-3 | 14 |
| 3. ნუმანსია | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 13 |
| 4. ფეროლი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-6 | 13 |
| 5. ხიმნასტიკი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 6. კასტელონი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 7. ერკულესი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-8 | 11 |
| 8. სოსიედადი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-7 | 10 |
| 9. სევილია B | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 10. ტენერიფე | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| 11. კორდობა | 6 | 2 | 3 | 1 | 7-8 | 9 |
| 12. ეიბარი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-4 | 7 |
| 13. სელტა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| 14. კადისი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 15. ელჩე | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 16. ხერესი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 17. გრანადა | 6 | 1 | 2 | 3 | 9-11 | 5 |
| 18. ლას პალმასი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-13 | 4 |
| 19. სალამანკა | 6 | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |
| 20. ეხიდო | 6 | 1 | 0 | 5 | 5-15 | 3 |
| 21. ალავესი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-7 | 3 |
| 22. ალბასეტე | 6 | 0 | 1 | 5 | 3-11 | 1 |



ლევანტე-ბარსელონა. ანრის მესამე გოლი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. VI ტური

# ანრიმ ნავსი გატეხა

## ხეტაფე შუსტერს აგრესიულად დაუხვდა

არავინ ეჭვობდა, რომ "ბარსელონა" "ლევანტეს" იოლად მოუგებდა. საზოგადოება სწორედ ასეთ თამაშს ელოდა. კატალონიელებმა ყველა პროგნოზი გაამართლეს და ვალენსიელები მიწასთან გაასწორეს. ალსანიშნავია, რომ გასულ შაბათს "ბარსამ" მიმდინარე სეზონში პირველი საგარეო გამარჯვება იზეიმა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ **ტიერი ანრიმ** როგორც იქნა ნავსი გატეხა და ჩემპიონთა ლიგის შემდეგ პრიმერა დივიზიონშიც გაიტანა. ფრანგმა ფორვარდმა ერთი გოლი არ იკმარა და სულაც სამჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგის კარი. **ლეო მესიმ** მოედნის უგოლოდ დატოვება ამჯერადაც არ ისურვა და მასპინძლებს ულამაზესი ბურთი შეუგდო. "ლევანტემ" ძლევამოსილ მეტოქეს მხოლოდ ერთი პენალტით უპასუხა...

"ლევანტემ" სტუმრებს ძალიან ცუდი ხარისხის მოედანი დაახვედრა. ცნობილია, რომ ოღრო-ჩოღრო მინდორზე იმ გუნდს უფრო უჭირს თამაში, რომელიც დროის ძირითად ნაწილს შექმნას ახმარს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ კატალონიელები პირველ წუთებში ოდნავ დაბნეულად გამოიყურებოდნენ, თუმცა მალე ისინი გარემოს შეეგუვნენ და ჩვეულად ათამაშდნენ. **ფრანკ რაიკაარდმა** წინა შეხვედრის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე იძულებითი ცვლილება განახორციელა. ტრავმების გამო **რაფა მარკესი** და **ჯანლუკა ძამბროტა** შინ დარჩნენ. მათ ნაცვლად კი **ოლეგერმა** და **ლილიან ტურამმა** იასპარეზეს. მეორე ტაიმში ჰოლანდიელმა სპეციალისტმა **გაბი მილიტო კარლეს პუიოლით** შეცვალა. კაპიტანი მშობლიურ კლუბს 100-დღიანი იძულებითი შვებულების შემდეგ დაუბრუნდა. სხვათა შორის, რაიკაარდმა შესვენების შემდეგ შეცვლების ლიმიტი ამოწურა. **იაია ტურემ** კი ტრავმის გამო თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და "ბარსელონა" მცირე ხნით კაცნაკლული დარჩა. სტუმართა საბედნიეროდ, იმ დროისთვის ანგარიში უკვე 1:4 იყო. ვალენსიელთა გაცამტვერებას მე-17 წუთზე ჩაეყარა საფუძველი. ანრიმ მცველების შეცდომითა და დაქსაქსულობით ისარგებლა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. მოგვიანებით, ფრანგმა ლეო მესის შესანიშნავი პასი მიიღო და ანგარიში ორამდე გაზარდა. მესამე ბურთი მან მეორე ტაიმში შეაგდო. ტიერიმ ინდივიდუალური ოსტატობის ფასად მეკარესთან პირისპირ გასვლა მოახერხა და ჰეთ ტრიკი გაიფორმა. ზუსტად ორ წუთში მესიმ მორიგი შედევრი შემოგვთავაზა. არგენტინელმა გამოცდილი **ბრუნო** ისე გააბითურა, როგორც პატარა ბავშვი. არგენტინელი **სტორარის** მიუახლოვდა და მახვილი კუთხიდან ოსტატური დარტყმით ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცა. როგორც შესავალში მოგახსენეთ, მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. **ვიკეირამ** პუიოლის მიერ წესების დარღვევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ "ბარსელონა" ტურეს ტრავმის გამო კაცნაკლული დარჩა "ლევანტეს" კართან საგოლე მომენტები მაინც იქმნებოდა.

შაბათის შეხვედრა რაიკაარდმა ასე შეაფასა: *"გულწრფელად გეტყვით, რომ დღევანდელ გამარჯვებას იოლად მივალწიეთ. პირველ წუთებზე ოდნავ გაგვიჭირდა, მაგრამ შემდეგ თამაში დავალაგეთ და სამი ქულა უპრობლემოდ მოვიპოვეთ. პირველი გოლის გატანის შემდეგ "ლევანტემ" წონასწორობის აღდგენა სცადა. ამით თავისუფალი სივრცეები შეგვექმნა და "ბარსელონამ" მისთვის დამახასიათებელ სტილში თამაში დაიწყო. მსურს, მთელ გუნდს მივულოცო. ბიჭებს თავდადებისთვის ულრმეს მადლობას მოვახსენებ. სამწუხაროდ, მატჩს უსიამოვნების გარეშე მაინც არ ჩაუვლია. იაია ტურემ და გაბი მილიტომ ტრავმები მიიღეს. იმედია, სერიოზული არაფერი იქნება. ისე კი, მსგავსი უსიამოვნებებისთვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. ფეხბურთი და ტრავმა განუყოფელი თანამგზავრებია."*

ბარსელონაში განცდილი კრახის შემდეგ "სარაგოსამ" ძალები აღიდგინა და წინა ტურში ასევე ხელმოცარულ "სევილიას" ურთულესი მატჩი მოუგო. ალსანიშნავია, რომ ანდალუსიელებმა 90 წუთის განმავლობაში უამრავი 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. აი, მასპინძლები კი ძალიან პრაგმატულად და შედეგიანად თამაშობდნენ. თავად განსაჯეთ, **ანდრეს დალესანდროსა** და **სერხიო გარსიას** გარდა **ანდრეს პალოპისთვის** სახიფათოდ, ფაქტობრივად, არავის დაურტყამს. ამის მიუხედავად, "სარაგოსამ" მაინც ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა. **ვიქტორ ფერნანდესს** შეცვლაზე შესულმა ბიჭებმა ძალიან გაუმართლეს. გამარჯვების მომტანი გოლები ხომ სწორედ, დალესანდროსა და გარსიას ანგარიშზე ჩაიწერა. როგორც ჩანს, "სევილიას" უიღბლობის სენი შეეყარა. სტუმრებმა მოწინააღმდეგე ძალიან ბევრჯერ დაინდეს. არადა, ხშირად ისეთი პოზიციებიდან ვერ იტანდნენ, საიდანაც აცილება უფრო რთული იყო, ვიდრე გატანა.

სენიორ ფერნანდესი გამარჯვებით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი დარჩა: *"ურთულეს გამოცდას გავუძელით. ახლა არ მსურს იმაზე საუბარი, რამდენად სამართლიანი შედეგი დაფიქსირდა. ჩვენთვის ყველაფერზე მთავარი ის არის, რომ სამი ქულის მოპოვებით თავდაჯერება შეგვემატა. მჯერა, მომდევნო ტურებში უფრო მშვიდად და ცივსისხლიანად ვითამაშებთ. ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი გახლავართ, რომ მოვიგეთ. გულშემატკივრები სტადიონს გახარებულები ტოვებდნენ."*

ზედიზედ მეოთხე დამარცხებით განბილებულმა **ხუანდე რამოსმა** ჟურნალისტებს მოსაზრებები გულწრფელად გაუზიარა: *"საშინელებაა, როცა სტუმრად ასპარეზობ, დამთრგუნველ უპირატესობას ფლობ და მაინც აგებ. დღეს იმდენი საგოლე მომენტი შევქმენით, რაც რამდენიმე ორთაბრძოლისთვისაც კი იქნებოდა საკმარისი. სამწუხაროდ, ერთხელაც არ გაგვიმართლა. სასოწარკვეთილი გახლავართ."*

**ბერნდ შუსტერი** "ელ კოლისეუმზე" დაბრუნდა. გერმანელ სპეციალისტს ყოფილი გუნდი ძალიან აგრესიულად დაუხვდა. ეს აგრესია, "ხეტაფეს" შემტევ ფეხბურთში გამოიხატებოდა. სამხრეთმადრიდელებმა **იკერ კასილიასის** კართან დაახლოებით 20 საგოლე მომენტი შექმნეს (სწორედ ასე წერს ესპანური პრესა), მაგრამ გატანა ვერა და ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, **სერხიო რამოსმა** ერთადერთი შესაძლებლობა გამოიყენა და სამეფო კლუბს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. შუსტერმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მთავარი შედეგია, რა თქმა უნდა, ლამაზი თამაშიც მნიშვნელოვანია, მაგრამ პირველ რიგში ქულების მოპოვებაზე უნდა ვიზრუნოთო. კი, მაგრამ ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა, განა **კაპელო** ამ მსოფლმხედველობის გამო არ გაათავისუფლეს?!

## მომდევნო ტური

7 ოქტომბერი. სარაგოსა-ლევანტე, ბარსელონა-ატლეტიკო, ოსასუნა-ვილიარეალი, ბილბაო-ალმერია, რასინგი-ვალიადოლიდი, მურსია-ბეტისი, მალიორკა-ხეტაფე, რეალი-რეკრეატივო, ვალენსია-ესპანიოლი, სევილია-დეპორტივო.

VIII ტური

**სლავია-ქლინი 7:1**
**სიგმა-ლიბერეცი 1:0**
**ბუდეიოვიცე-მოსტი 1:0**
**კლადნო-ბრნო 1:2**
**ბოლესლავი-ბოჰემიანსი 2:0**
**ტეპლიცე-პლზენი 1:0**
**იაბლონეცი-სპარტა 0:2**
**ვიქტორია-ბანიკი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლავია | 8 | 6 | 1 | 1 | 16-6 | 19 |
| 2. ტეპლიცე | 8 | 6 | 1 | 1 | 13-6 | 19 |
| 3. სპარტა | 8 | 5 | 1 | 2 | 11-5 | 16 |
| 4. ბანიკი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| 5. ბოლესლავი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| 6. ბრნო | 8 | 3 | 3 | 2 | 11-10 | 12 |
| 7. სიგმა | 8 | 3 | 3 | 2 | 6-6 | 12 |
| 8. ქლინი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-12 | 12 |
| 9. პლზენი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-7 | 9 |
| 10. კლადნო | 8 | 2 | 2 | 4 | 13-14 | 8 |
| 11. ბუდეიოვიცე | 8 | 2 | 2 | 4 | 8-12 | 8 |
| 12. ბოჰემიანსი | 8 | 1 | 4 | 3 | 4-8 | 7 |
| 13. ვიქტორია | 7 | 1 | 3 | 3 | 11-15 | 6 |
| 14. იაბლონეცი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-8 | 6 |
| 15. ლიბერეცი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-9 | 5 |
| 16. მოსტი | 8 | 0 | 4 | 4 | 12-18 | 4 |

## შვეიცარია

XI ტური

**გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი 3:3**
**ლუცერნი-ციურიხი 2:2**
**არაუ-სიონი 2:0**
**ბაზელი-სტ. გალენი 3:0**
**ტუნი-ქსამაქსი 1:1**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 11 | 7 | 2 | 2 | 23-15 | 23 |
| 2. ციურიხი | 11 | 6 | 4 | 1 | 30-11 | 22 |
| 3. იანგ ბოიზი | 11 | 5 | 4 | 2 | 25-20 | 19 |
| 4. ქსამაქსი | 11 | 3 | 6 | 2 | 16-16 | 15 |
| 5. სიონი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-16 | 14 |
| 6. ლუცერნი | 11 | 2 | 7 | 2 | 18-21 | 13 |
| 7. არაუ | 11 | 2 | 6 | 3 | 15-17 | 12 |
| 8. სტ. გალენი | 11 | 3 | 1 | 7 | 12-22 | 10 |
| 9. გრასჰოპერსი | 11 | 2 | 3 | 6 | 18-24 | 9 |
| 10. ტუნი | 11 | 2 | 3 | 6 | 9-16 | 9 |

## ჩელენჯლიგა

XI ტური

ვადუცი-ვინტერტური 2:1; ვოლენი-ჩამი 5:1; ბელინცონა-შაფჰაუზენი 3:1; კიასო-კონკორდია 1:2; ვილი-ლოკარნო 2:0; ლოზანა-კრინსი 3:1; გოსაუ-ლუგანო 1:4; ივერდონი-ფონდსი 0:1.

## დანია

XI ტური

**კოპენჰაგენი-ლუნგბიუ 2:0**
**ოლბორგი-ვიბორგი 3:2**
**მიდტიულანდი-აგფ ორჰუსი 2:0**
**ოდენსე-ესბერგი 1:1**
**ბრონდბიუ-რანდერსი 1:1**
**ნორდსილანდი-ჰორსენსი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 11 | 7 | 3 | 1 | 15-5 | 24 |
| 2. მიდტიულანდი | 11 | 7 | 2 | 2 | 19-10 | 23 |
| 3. ოლბორგი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-19 | 20 |
| 4. ოდენსე | 11 | 4 | 6 | 1 | 19-10 | 18 |
| 5. ჰორსენსი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-14 | 18 |
| 6. რანდერსი | 11 | 4 | 3 | 4 | 17-9 | 15 |
| 7. ნორდსილანდი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-12 | 15 |
| 8. ესბერგი | 11 | 4 | 2 | 5 | 25-21 | 14 |
| 9. ვიბორგი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-25 | 10 |
| 10. ორჰუსი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-15 | 8 |
| 11. ბრონდბიუ | 11 | 1 | 4 | 6 | 10-20 | 7 |
| 12. ლუნგბიუ | 11 | 1 | 3 | 7 | 9-23 | 6 |

## II დივიზიონი

IX ტური

ფრემადი-ოლსტიკე 2:1; ჰიკ-სკივე 2:1; აკადემისკი-ნაესტვედი 2:2; ფრედერისია-ნიკიობინგი 4:1; ჰერფიოლგე-ორჰუსი 2:0; სილკებორგი-ჰვიდოვრე 0:0; სიონდერილი-კიოგე 4:2; კიოლდინგი-ვეილე 1:1.

## შვედეთი

XXIII ტური

**ბრომაპიოკარნა-ელფსბორგი 1:1**
**იურგორდენი-ერებრუ 4:1**
**აიკ-გაის 0:0**
**ჰალმსტადი-გეფლე 0:0**
**ჰელსინგბორგსი-ტრელებორგსი 1:1**
**გიოტებორგი-ჰამარბიუ დღეს**
**კალმარი-მალმიო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იურგორდენი | 23 | 11 | 7 | 5 | 35-22 | 40 |
| 2. გიოტებორგი | 22 | 10 | 7 | 5 | 37-23 | 37 |
| 3. აიკ | 23 | 10 | 7 | 6 | 30-24 | 37 |
| 4. ელფსბორგი | 23 | 9 | 9 | 5 | 36-26 | 36 |
| 5. კალმარი | 22 | 11 | 3 | 8 | 34-30 | 36 |
| 6. ჰალმსტადი | 23 | 9 | 8 | 6 | 31-29 | 35 |
| 7. ჰამარბიუ | 22 | 10 | 3 | 9 | 31-25 | 33 |
| 8. მალმიო | 22 | 8 | 7 | 7 | 26-21 | 31 |
| 9. ჰელსინგბორგი | 23 | 7 | 8 | 8 | 38-33 | 29 |
| 10. გეფლე | 23 | 7 | 7 | 9 | 23-27 | 28 |
| 11. გაის | 23 | 6 | 8 | 9 | 21-30 | 26 |
| 12. ერებრუ | 23 | 5 | 7 | 11 | 24-40 | 22 |
| 13. ბრომაპიორკარ | 23 | 4 | 8 | 11 | 18-39 | 20 |
| 14. ტრელებორგი | 23 | 4 | 7 | 12 | 21-36 | 19 |

## II დივიზიონი

XXVI ტური

ატვიდაბერგსი-სილვია 2:1; დეგერფორსი-ოსტერსი 2:0; ლიუნგსკილე-ჰაკენი 1:0; მიალბიუ-ენჩოპინგსი 5:1; სირიუსი-სუნდსვალი 3:1; იონჩოპინგსი-ფალკენბერგსი დღეს.

## მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი 3:1

**სიტი:** ჰარტი, კორლუკა (57. ონუოა), რიჩარდ დანი, გარიდო, რიჩარდსი, ელანო (89. ჯოვანი), ჰამანი, ირლანდი, მაიკლ ჯონსონი (86. ბოლი), მარტინ პეტროვი, მპენზა.

**ნიუკასლი:** გივენი, ბეიე, როზენალი, სტივ ტეილორი (84. ფაიე), ბატი, ჯერემი (76. ხოსე ენრიკე), მილნერი, ნზოგბია, მარტინსი, სმიტი, ვიდუკა (88. ემრე).

**გოლები:** 0:1 მარტინსი (29), 1:1 მარტინ პეტროვი (38), 2:1 მპენზა (47), 3:1 ელანო (87).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 18(12)-13(8); **ჯარიმა:** 7-10; **კუთხური:** 3-9; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 40 606

## ჩელსი-ფულჰემი 0:0

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, ბენ ჰაიმი, ეშლი კოული (77. მალუდა), ტერი (46. ალექსი), ჯო კოული, მაკელელე, სიდველი, დროგბა, კალუ, შევჩენკო (54. პისარო).

**ფულჰემი:** კელერი, ბეირდი, ბოკანეგრა, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, საიმონ დევისი, სტივ დევისი, დემპსი, კი ჰიეონი (73. ბუაზა), სმერტინი (82. დენი მერფი), ჰილი (67. დიომანსი კამარა).

**გაძევება:** დროგბა (74. ჩელსი)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 18(4)-6(1); **ჯარიმა:** 8-18; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 41 837

## დერბი-ბოლტონი 1:1

**დერბი:** ბაივოტერი, კლოდ დევისი, ლიკოკი, მაკევილი, მიერსი, ჯოუნსი (64. ბარნესი), ლიუისი (84. ტილი), ოუკლი, პერსონი, ჰოვარდი, მილერი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, მეიტე, ენდრიუ ობრაიენი, კამპო, გარდნერი, ნოლანი, ჯო ობრაიენი (71. ბრაატენი), სპიდი (62. მაკენი), ანელკა, კევინ დევისი (59. ვილჰელმსონი), დიუფი.

**გოლები:** 1:0 მილერი (19), 1:1 ანელკა (32).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 10(6)-13(7); **ჯარიმა:** 15-8; **კუთხური:** 7-8; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 31 503

## პორტსმუთი-რედინგი 7:4

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, დესტენი, ჰრეიდარსონი, გლენ ჯონსონი, შონ დევისი, დიოპი, კრანჩარი, მუნტარი, უტაკა, მვარუვარი (80. ნაჯენტი).

**რედინგი:** ჰანემანი, დაბერი, ინგიმარსონი, მერტი (77. ლონგი), როსენორი, შორი, გუნარსონი (77. ფაე), ჰარპერი, ჰანტი, დოილი, კიტსონი.

**გოლები:** 1:0 მვარუვარი (7), 2:0 მვარუვარი (37), 2:1 ჰანტი (45), 2:2 კიტსონი (48), 3:2 ჰრეიდარსონი (55), 4:2 მვარუვარი (70), 5:2 კრანჩარი (75), 5:3 ლონგი (79), 6:3 შონ დევისი (81), 7:3 მუნტარი (89-პენ), 7:4 შორი (90).

*65-ე წუთზე შორიმ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 26(17)-13(7); **ჯარიმა:** 4-7; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 20 102

## სანდერლენდი-ბლექბერნი 1:2

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, ნოსვორთი, კოლინზი, ლიდბიტერი, მილერი, უოლესი (65. კონოლი), ჩოპრა (66. ოდონოვანი), ჯოუნსი, იორკი (66. დერილ მერფი).

**ბლექბერნი:** ფრიდელი, მოკოენა, ოოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დევიდ დანი (86. რიგტერსი), ემერტონი, თუგაი (75. სევიჯი), დერბიშირი (66. პედერსენი), სანტა კრუსი.

**გოლები:** 0:1 ბენტლი (53), 0:2 სანტა კრუსი (55), 1:2 ლიდბიტერი (90).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 15(12)-14(8); **ჯარიმა:** 11-4; **კუთხური:** 10-2; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 41 252

## ვესტ ჰემი-არსენალი 0:1

**ვესტ ჰემი:** გრინი, ანტონ ფერდინანდი (48. გებიდონი), მაკარტნი, ნილი, აპსონი, ბოიუერი (83. ბოა მორტე), ლიუნგბერგი, ნობლი, პარკერი (46. მულინზი), ეშტონი, ანრი კამარა.

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, სანია, სენდეროსი, კოლო ტურე, დიაბი, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (31. ებუე), ადებაიორი (79. ჟილბერტო), ვან პერსი (88. ბენდტნერი).

**გოლები:** 0:1 ვან პერსი (13).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 9(4)-17(12); **ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 3-14; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 34 966

## ვიგანი-ლივერპული 0:1

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ბრემბლი, მელხიოტი, შარნერი (82. ტეილორი), ბრაუნი, კილბეინი, კუმასი, სკოკო, აგაჰოვა, მარკუს ბენტი.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, აურელიო (56. ბენაიუნი), კარაგერი, ჰიიპია, ჯერარდი, მასკერანო, პენანტი (82. ვორონინი), რიისე, კუიტი, ტორესი (89. სისოკო).

**გოლები:** 0:1 ბენაიუნი (75).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 10(3)-14(10); **ჯარიმა:** 11-10; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 24 311

## ბირმინგემ სიტი-მანჩ. იუნ. 0:1

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, ჯურუ (76. შმიტცი), კელი, კუოდრო, რიჯველი, კაპო, ლარსონი, მაკშეფრი, მუამბა (70. პალასიოსი), ნაფტი (84. ოკონორი), ჯერომი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი (46. კუშჩაკი), ბრაუნი, ევრა, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ქერიკი, გიგზი (64. საა), რონალდო, სქოულზი, რუნი, ტევესი (89. ოში).

**გოლები:** 0:1 რონალდო (51).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 18(9)-11(4); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 26 526

## ევერტონი-მიდლსბრო 2:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბაინესი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ. ნევილი, სტაბსი, არტეტა (90. კარსლი), ჟაგიელკა, პიენაარი, მაკფადენი (76. იობო), იაკუბუ (66. ანიჩებე).

**მიდლსბრო:** შვარცერი, ენდრიუ ტეილორი, უიტერი, ვუდგეიტი, იანგი, ჯორჯ ბოატენგი, დაუნინგი, ონილი, როშემბაკი, ლი (72. რიგოტი), მიდო (62. კრედოკი).

**გოლები:** 1:0 ლესკოტი (7), 2:0 პიენაარი (58).

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 13(9)-16(5); **ჯარიმა:** 17-21; **კუთხური:** 2-6; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 31 885

**ტოტენჰემი-ასტონ ვილა** *დღეს*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-4 | 19 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 8 | 5 | 2 | 1 | 7-2 | 17 |
| 3. მანჩესტ. სიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 11-6 | 16 |
| 4. ლივერპული | 7 | 4 | 3 | 0 | 12-2 | 15 |
| 5. ევერტონი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-8 | 13 |
| 6. პორტსმუთი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-12 | 12 |
| 7. ბლექბერნი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 12 |
| 8. ჩელსი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-8 | 12 |
| 9. ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 10. ასტონ ვილა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| 11. ვესტ ჰემი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-7 | 10 |
| 12. ვიგანი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-8 | 8 |
| 13. ბირმინგემი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 14. მიდლსბრო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 15. სანდერლენდი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 16. რედინგი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-18 | 7 |
| 17. ფულჰემი | 8 | 1 | 4 | 3 | 12-14 | 7 |
| 18. ტოტენჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 10-12 | 5 |
| 19. ბოლტონი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-13 | 5 |
| 20. დერბი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-21 | 5 |

**ბომბარდირები:** 6 - ადებაიორი (არსენალი); 5 - ბენჯანი (პორტსმუთი), ანელკა (ბოლტონი); 4 - ფაბრეგასი (არსენალი).

## ჩემპიონატი

VIII ტური

**პალი-იფსვიჩი** 3:1

**გოლები:** 1:0 პედერსენი (11), 2:0 პედერსენი (40), 3:0 ბრაუნი (45), 3:1 ჰარდინგი (45)

**ბარნსლი-კარდიფი** 1:1

**გოლები:** 0:1 ჰასელბანკი (73), 1:1 ჰოვარდი (84)

**ბარნლი-კრ. პალასი** 1:1

**გოლები:** 0:1 ჰადსონი (5), 1:1 მ. დაფი (13)

**კოლჩესტერი-სკანთორფი** 0:1

**გოლი:** 0:1 ჰეიესი (41)

**ქოვენთრი-ჩარლტონი** 1:1

**გოლები:** 0:1 სემი (15), 1:1 მიფსუდი (84)

**ლესტერი-სტოკი** 1:1

**გოლები:** 0:1 ფულერი (15), 1:1 ფრიატი (47)

**პლიმუტი-ვულვზი** 1:1

**გოლები:** 0:1 ელიოტი (41), 1:1 ჩედვიკი (61)

**პრესტონი-ბრისტოლი** 0:0

**შეფილდი-საუთჰემპტონი** 1:2

**გოლები:** 1:0 გილესპი 912), 1:1 რასიაკი (19), 1:2 ვიაფარა (31)

**უოტფორდი-ბლეკპული** 1:1

**გოლები:** 1:0 ა. ჯონსონი (41), 1:1 ჰოლეჰენი (73-პენ)

**ნორვიჩი-უენსლი** 0:1

**გოლი:** 0:1 სმოლი (76)

**ვესტ ბრომვიჩი-ქუინზ პარკი** 5:1

**გოლები:** 1:0 ფილიპსი (17), 2:0 მილერი (18), 2:1 აინსვორთი (24), 3:1 ფილიპსი (39), 4:1 კორენი (57), 5:1 გრინინგი (65).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-10 | 17 |
| 2. ჩარლტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-8 | 15 |
| 3. ბრისტოლი | 8 | 3 | 5 | 0 | 12-7 | 14 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-6 | 13 |
| 5. სკანთორფი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-11 | 13 |
| 6. სტოკი | 8 | 3 | 4 | 1 | 10-8 | 13 |
| 7. ბარნლი | 7 | 3 | 3 | 1 | 12-10 | 12 |
| 8. ბარნსლი | 8 | 3 | 3 | 2 | 12-13 | 12 |
| 9. ქოვენთრი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-12 | 12 |
| 10. ჰალი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-10 | 11 |
| 11. ვულვზი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-9 | 11 |
| 12. ბლეკპული | 8 | 2 | 5 | 1 | 12-11 | 11 |
| 13. იფსვიჩი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-12 | 10 |
| 14. საუთჰემპტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 15-16 | 10 |
| 15. პლიმუტი | 8 | 2 | 4 | 2 | 13-12 | 10 |
| 16. კრ. პალასი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-10 | 9 |
| 17. კარდიფი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-10 | 9 |
| 18. შეიფლდი | 8 | 2 | 2 | 4 | 13-14 | 8 |
| 19. კოლჩესტერი | 8 | 1 | 5 | 2 | 14-13 | 8 |
| 20. ნორვიჩი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-10 | 7 |
| 21. ლესტერი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-8 | 7 |
| 22. უენსლი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-14 | 6 |
| 23. პრესტონი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-11 | 6 |
| 24. ქუინზ პარკი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-11 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - ბიტი (შეფილდი); 5 - რასიაკი (საუთჰემპტონი), ჰოვარდი (ბარნსლი), ჰენდერსონი (უოტფორდი); 4 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი), გრეი (ბარნლი), პატერსონი (სკანთორფი), რიდი (ჩარლტონი), იტსი (კოლჩესტერი), ფულერი (სტოკი).

## I ლიგა

VIII ტური

ჰადერსფილდი-ლუტონი 2:0; სუონსი-ბრაიტონი 0:0; ბორნმუთი-კარლაილი 1:3; როვერსი-ლეიტონი 2:3; დონკასტერი-ჩელტენემი 2:0; ჯილინგემი-ლიდსი 1:1; ჰარტლპული-უოლსოლი 0:1; მილუოლი-სუინდონი 1:2; ოლდჰემი-ქრიუ 3:2; პორტ ვეილი-საუთენდი 1:2; ტრანმერი-ნორთჰემპტონი 2:2; იეოვილი-ნოტინგემი 0:3.

## II ლიგა

VIII ტური

ბარნეტი-როტერჰემი 2:0; ბრედფორდი-უიკომბი 0:1; ბრენტფორდი-სტოკპორტი 1:3; ბერი-აკრინგტონი 2:1; დარლინგტონი-პიტერბრო 1:1; გრიმსბი-ჰერეფორდი 2:1; მაკლსფილდი-ჩესტერი 1:2; მენსფილდი-დაგენჰემი 0:1; მორეკამბი-მილტონი 0:1; ნოტსი-ჩესტერფილდი 1:0; შრიუსბერი-როჩდეილი 3:4; რექსჰემი-ლინკოლნი 1:0.

## კონფერენსი

XIII ტური

ქროული-ალტრინჩემი 0:1; ფარსლი-გრავესენდი 1:1; ფორესტ გრინი-კემბრიჯი 3:1; გრეისი-სტევენეიჯი 0:2; ჰისტონი-უეიმაუთი 2:2; ნორთვიჩი-უოკინგი 1:3; რაშდენი-სტეფორდი 1:1; სალისბერი-კიდერმინსტერი 0:1; ტორკი-დროილსდენი 2:1; ოქსფორდი-იორკი 1:1.

ინგლისი. პრემიერლიგა. VIII ტური

# მოუგებელი და დასუსტებული

## 11 გოლი და პრემიერლიგის რეკორდი

**აბრაამ გრანტმა** "სტემფორდ ბრიჯზე" პირველი მატჩი ჩაატარა. "ჩელსიმ" საშინაო წაუგებელი სერია 67 თამაშამდე აიყვანა. ეს ერთადერთი პოზიტიური მოვლენა იყო იმათ შორის, რაც შაბათ საღამოს "არისტოკრატებს" გადახდათ თავს. ლონდონელებმა პრემიერლიგის ზედიზედ მეოთხე თამაში ვერ მოიგეს და ზედიზედ მეოთხე თამაშში ვერ გაიტანეს გოლი. ამას გარდა, ყვრიმალის ძვალი გაიტეხა **ჯონ ტერიმ** და კვირას ნაშუადღევს ოპერაცია გაუკეთეს. წინასწარი ვარაუდით, კაპიტანს ექვსი კვირა გაუცდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ჩელსის" მნიშვნელოვანი თამაშების გარდა, ცენტრალურ მცველს ინგლისის ნაკრების ორი შესარჩევი მატჩიც გაუცდება. "ჩელსის" პრობლემები **დიდიე დროგბას** გაძევებამ დაამძიმა. კოტდივუარელი თავდამსხმელი ტრავმის შემდეგ ძირითადში პირველად ათამაშეს, მან კი ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი ნაადრევად დატოვა. ლონდონელებს კიდევ ორი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული - **შონ რაიტ ფილიპსი**, რომელმაც "ჰალ სიტისთან" სათასო მატჩისას მუხლის მყესი დაიზიანა და **მიკაელ ესიენი**.

ფანები გრანტს თბილად შეხვდნენ. სამაგიეროდ, კლუბის მფლობელ **რომან აბრამოვიჩს** მოუწყვეს ობსტრუქციები. თამაშის მიწურულს, როცა ნათელი იყო, რომ "ჩელსი" მორიგ ორ ქულას ანიავებდა, სულ უფრო ხშირად გაიგონებდით **ჟოზე მოურინიოს** სახელის სკანდირებას. **ანდრეი შევჩენკომ** ისევ უსახურად ითამაშა და მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს (ზედიზედ მეორე მატჩში). ფანებმა საყვარელი გუნდი მინდვრიდან სტვენით გააცილეს.

**სერ ალექს ფერგიუსონმა** ყოფილი შეგირდი **სტივ ბრუსი** მინიმალურად, მაგრამ ზედმეტი მღელვარების გარეშე დაამარცხა. ეს იყო მეოთხე შეხვედრა ამ სეზონში, რომელიც "მენიუმ" ერთი ბურთით მოიგო. გოლი **კრისტიანო რონალდომ** შეაგდო. მან ინგლისის ჩემპიონატში პირველად გაიტანა. პორტუგალიელმა ბურთი საიუბილეო თარიღს დაამთხვია. გუშინწინდელი მატჩი მის პრემიერლიგურ კარიერაში მე-100 იყო. "ეშმაკებმა" მანჩესტერული დერბის (0:1) შემდეგ ჩემპიონატში ხუთი თამაში ჩაატარეს და ერთი გოლიც არ გაუშვიათ. ისინი მეორე ადგილზე იმყოფებიან, მიუხედავად იმისა, რომ რვა თამაშში მხოლოდ შვიდჯერ გამოიჩინეს თავი.

ბირმინგემელებს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. უფრო მეტიც, პირველ ნახევარში ტერიტორიულ უპირატესობას ისინი ფლობდნენ. სტუმართა დაცვაში საუცხოოდ ითამაშა **რიო ფერდინანდმა**. მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე რონალდომ ფერდინანდისაგან გრძელი პასი მიიღო. **ფრანკ კუოდრომ** პოზიციური შეცდომა დაუშვა. პორტუგალიელმა ამით უმალ ისარგებლა და შეაგდო. ამავე შეხვედრაში ფეხის თითი იტკინა **ედვინ ვან დერ სარმა**. ტრავმის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰოლანდიელი გოლკიპერი სამშაბათს "რომასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში ვერ ითამაშებს.

"არსენალმა" "ვესტ ჰემი" **რობინ ვან პერსის** ერთადერთი გოლით დაამარცხა. "მეთოფეებმა" ყველა ტურნირზე ზედიზედ მერვე თამაში მოიგეს. "ჩაქუჩებს" ერთი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდათ. ის ინგლისის ნაკრების კანდიდატმა **დინ ეშტონმა** ვერ გამოიყენა. მასპინძელთა მეკარე **რობ გრინის** შთამბეჭდავი თამაში რომ არა, "არსენალი" კიდევ რამდენჯერმე დაამწუხრებდა მეტოქეს. სტუმრებმა თავიდანვე აგრესიულად დაიწყეს. ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა. **ემანუელ ადებაიორმა** ბურთი საჯარიმოს მარჯვენა კიდეზე მიიღო. მან ბურთი **ალექსანდრ გლებს** გაუგორა. გლებმა შორ კუთხესთან ჩააწოდა. ვან პერსიმ ბურთს თავი დასცხო. მეკარე ეშტონი თავგანწირულად გადახტა, მაგრამ კარის გადარჩენა ვერ შეძლო. "ვესტ ჰემს" გაუმართლა, რომ პირველსავე ტაიმში კაცი არ გაუგდეს. **მარკ ნობლი** გლებს დაუნდობლად ჩაუხტა. არსენალელთა განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მსაჯმა **ალან ვაილიმ** მხოლოდ ყვითელი ბარათი ააფრიალა. ბელარუსმა ნახევარმცველმა მუხლის ტრავმა ახლახან მოიშუშა. მან თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. გლები მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. მის ნაცვლად **არსენ ვენგერმა ემანუელ ებუე** გამოიყვანა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მოსიე არსენმა "ვესტ ჰემთან" მატჩით "არსენალში" ყოფნის მე-11 წლისთავი აღნიშნა და "აპტონ პარკზე" 2000 წლის შემდეგ პირველად მოიგო.

შეცვლაზე შესულმა **იოსი ბენაიუნმა** ლივერპულელთა მინი-კრიზისს წერტილი. დაუსვა. მერსისაიდელებს ბოლო ორ შეხვედრაში გოლი არ ჰქონდათ გატანილი. ისრაელის ნაკრების ნახევარმცველმა "ვიგანს" ერთადერთი ბურთი შეუგდო. საბრალო ვიგანელებმა პრემიერლიგის დიდი ოთხეულის წარმომადგენლებთან მე-17 მატჩი ჩაატარეს და მე-17-დ დამარცხდნენ.

"მანჩესტერ სიტიმ" "ნიუკასლთან" შთამბეჭდავად გაიმარჯვა. **სვენ გორან ერიქსონის** შეგირდებმა შინ ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგეს (ოთხჯერვე მინიმალური ანგარიშით). გასულ სეზონში "სიტის" "ისტლენდზე" გოლიც კი ვერ გაჰქონდა. წელს კი საშინაო არენა ნამდვილ ციხე-სიმაგრედ გადააქციეს. ანგარიში ჯორდებმა გახსნეს, თუმცა საპასუხოდ სამი ბურთი მიიღეს. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად ბრაზილიელი **ელანო ბლუმერი** დაასახელეს. ის დონეცკის "შახტარიდან" ზაფხულის ტრანსფერებისას 8 მილიონ გირვანქად გადაიყვანეს. პირველად ამ სეზონში "სიტის" კარში ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **ჯო ჰარტი** ვიხილეთ. თამაშის დასაწყისში ის შესამჩნევად ნერვიულობდა, თუმცა საერთო ჯამში საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა.

შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ ის ამბები, რაც პორტსმუთის "ფრეტონ პარკზე" დატრიალდა. მასპინძლებმა "რედინგი" 7:4 (!) დაამარცხეს. ინგლისის პრემიერლიგას ერთ მატჩში ამდენი გოლი არ ახსოვს. გოლების ავტორების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ უმჯობესია, ამ ისტორიული შეხვედრის მონაწილეთა სიას ტექნიკური შედეგებიდან გაეცნოთ.

### მომდევნო ტური

6 ოქტომბერი. ასტონ ვილა-ვესტ ჰემი, ბლექბერნი-ბირმინგემი, მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი. 7 ოქტომბერი. არსენალი-სანდერლენდი, ბოლტონი-ჩელსი, ფულჰემი-პორტსმუთი, ლივერპული-ტოტენჰემი, მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო, ნიუკასლი-ევერტონი, რედინგი-დერბი.



ბირმინგემი-მანჩესტერ იუნაიტედი. კრისტიანო რონალდოს გააქვს გამარჯვების გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თურქეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ფენერბაჩე-ანკარაგიუჯუ | 2:0 |
| გალათასარაი-ბეშიქთაში | 2:1 |
| ოფთასი-რიზე | 2:0 |
| დენიზლი-კაისერი | 2:0 |
| გაზიანთეფი-ანკარა | 1:0 |
| გენჩლერი-კასიმფაშა | 3:1 |
| ისთანბული-მანისა | 4:1 |
| სივასი-ბურსა | 3:2 |
| ტრაბზონი-კონია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 7 | 6 | 1 | 0 | 17-3 | 19 |
| 2. ბეშიქთაში | 7 | 4 | 2 | 1 | 8-5 | 14 |
| 3. სივასი | 6 | 5 | 0 | 1 | 10-4 | 15 |
| 4. ფენერბაჩე | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 12 |
| 5. კაისერი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-9 | 11 |
| 6. ანკარაგიუჯუ | 7 | 3 | 2 | 2 | 8-8 | 11 |
| 7. გაზიანთეფი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-9 | 12 |
| 8. ისთანბული | 7 | 4 | 0 | 3 | 10-7 | 12 |
| 9. ტრაბზონი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-3 | 12 |
| 10. დენიზლი | 7 | 2 | 2 | 3 | 11-11 | 8 |
| 11. მანისა | 7 | 2 | 2 | 3 | 11-14 | 8 |
| 12. ოფთასი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-8 | 7 |
| 13. კასიმფაშა | 7 | 2 | 0 | 5 | 6-11 | 6 |
| 14. ბურსა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-8 | 6 |
| 15. გენჩლერი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-11 | 8 |
| 16. რიზე | 7 | 1 | 1 | 5 | 5-17 | 4 |
| 17. კონია | 7 | 0 | 4 | 3 | 5-13 | 4 |
| 18. ანკარა | 7 | 0 | 2 | 5 | 5-12 | 2 |

## საბერძნეთი

III ტური

| | |
|---|---|
| არისი-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| ატრომიტოსი-ლარისა | 2:0 |
| პანათინაიკოსი-პაოკ | 2:0 |
| ლევადია-აეკ | 0:4 |
| აპოლონი-პანიონიოსი | 0:2 |
| ასტერასი-ირაკლისი | 0:0 |
| ვერია-ქსანტი | 1:1 |
| ოფი-ერგოტელისი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აეკ | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 3. პანიონიოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| 4. ქსანტი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 5. ატრომიტოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 6. ოფი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-9 | 6 |
| 7. ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 2 | 0 | 7-3 | 5 |
| 8. ლარისა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 9. პაოკ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 10. არისი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 11. ერგოტელისი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |
| 12. ვერია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 13. აპოლონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 14. ასტერასი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |
| 15. ირაკლისი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 16. ლევადია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

## ავსტრია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი-შტურმი | 2:2 |
| მატერსბურგი-ტიროლი | 3:1 |
| რაპიდი-ალტახი | 0:2 |
| რიდი-აუსტრია (კ) | 3:1 |
| ზალცბურგი-აუსტრია (ვ) | 0:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია (ვ) | 13 | 7 | 5 | 1 | 19-9 | 26 |
| 2. ზალცბურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 20-11 | 22 |
| 3. მატერსბურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 26-16 | 22 |
| 4. ლინცელი | 13 | 6 | 4 | 3 | 19-16 | 22 |
| 5. შტურმი | 13 | 5 | 5 | 3 | 26-17 | 20 |
| 6. რაპიდი | 13 | 6 | 2 | 5 | 17-15 | 20 |
| 7. რიდი | 13 | 6 | 1 | 6 | 20-20 | 19 |
| 8. ალტახი | 13 | 3 | 2 | 8 | 16-26 | 11 |
| 9. აუსტრია (კ) | 13 | 3 | 2 | 8 | 11-27 | 11 |
| 10. ტიროლი | 13 | 0 | 5 | 8 | 10-27 | 5 |

### II დივიზიონი

XI ტური

აუსტრია II-ბად ოსი 2:1; ლუშტენაუ-შვადორფი 3:0; კერნტენი-გრატკორნი 1:2; პარნდორფი-შვანენშტადტი 1:4; ზალცბურგი II-აუსტრია (ლ) 2:1; კაპფენბერგი-ლეობენი 4:2.

## ნორვეგია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ვიკინგი-სტრიომსგოდსეტი | 3:0 |
| აალესუნდი-ტრომსიო | 2:3 |
| ფრედრიკსტადი-რუსენბორგი | 4:3 |
| ლინი-სტაბეკი | 3:2 |
| ოდ გრენლანდი-ვოლერენგა | 1:4 |
| ლილესტრიომი-ბრანი | 1:5 |
| სანდეფიორდი-სტარტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრანი | 22 | 15 | 3 | 4 | 50-31 | 48 |
| 2. ვიკინგი | 22 | 12 | 5 | 5 | 43-31 | 41 |
| 3. სტაბეკი | 22 | 11 | 6 | 5 | 38-31 | 39 |
| 4. ლილესტრიომი | 22 | 10 | 6 | 6 | 39-25 | 36 |
| 5. ვოლერენგა | 22 | 9 | 6 | 7 | 29-25 | 33 |
| 6. ტრომსიო | 22 | 10 | 3 | 9 | 38-36 | 33 |
| 7. რუსენბორგი | 22 | 9 | 5 | 8 | 43-33 | 32 |
| 8. ფრედრიკსტად | 22 | 8 | 8 | 6 | 33-34 | 32 |
| 9. ლინი | 22 | 8 | 4 | 10 | 35-38 | 28 |
| 10. აალესუნდი | 22 | 8 | 3 | 11 | 34-47 | 27 |
| 11. სტრიომსგოდს | 22 | 7 | 4 | 11 | 27-39 | 25 |
| 12. სტარტი | 21 | 4 | 7 | 10 | 27-36 | 19 |
| 13. ო-გრენლანდი | 22 | 5 | 3 | 14 | 26-39 | 18 |
| 14. სანდეფიორდი | 21 | 4 | 3 | 14 | 24-41 | 15 |

### II დივიზიონი

XXV ტური

ბოდო გლიმტი-ბრინი 2:0; ჰამარი-სიოგნდალი 3:0; პიონეფოსი-სპარტა 2:2; კონგსვინგერი-რაუფოსი 2:1; მანდალი-მოსი 3:3; ნოტოდენი-ჰაუგესუნდი 3:1; ტრიომსდალენი-მიოლდე 1:2; სკეიდილოვ ჰამი 1:0.

ჩელსი. კრიზისი

# გრანტი მხოლოდ შობამდე

## ოქტომბრის შუა რიცხვებში სტივ კლარკიც გადადგება...




აბრაამ გრანტს კრიზისთან გამკლავება უჭირს

**აბრაამ გრანტს** საშობაო არდადეგებამდე დაითხოვენ. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" ავრცელებს. ამ უქმეებზე "ჩელსიმ" მოუგებელი მატჩების სერია ოთხამდე აიყვანა. **ჯონ ტერი** დაუშავდა, ხოლო **დიდიე დროგბამ** წითელი ბარათი მიიღო. კრიზისს დასასრული არ უჩანს. გრანტის კვალიფიკაცია კი, როგორც ჩანს, ნამდვილად არ არის საკმარისი ამ მასშტაბის პრობლემებთან შესაჭიდებლად. "ნიუს ოფ ზე უორლდი" გუნდში გამეფებულ ატმოსფეროზეც წერს. "ჩელსის" ფეხბურთელებთან დაახლოებული წყარო ამბობს, ახალმა დამრიგებელმა ისეთი საწვრთნელი მეთოდები დანერგა, რომ მოთამაშეებს სასაცილოდ არ ჰყოფნითო. მისი ვარჯიშები სამოყვარულო გუნდის ვარჯიშებს წააგავს. მოურინიოს დროინდელი სახალისო წვრთნები წარსულს ჩაბარდა. ერთ-ერთი ფეხბურთელის თქმით, გრანტი შეგირდებისაგან ითხოვს ბურთის მიღებას და მიწაში ჩასობილი ჯოხის გარშემო შემორბენას. ინკოგნიტო მოთამაშე ამბობს, ასე უკანასკნელად საბავშვო გუნდში ვვარჯიშობდიო.

"ნიუს ოფ ზე უორლდი" "ჩელსის" ფანებისათვის კიდევ ერთ საგანგაშო ინფორმაციას ბეჭდავს, **სტივ კლარკი** თანამდებობას ტოვებსო. კლარკი ერთადერთია მოურინიოს სამწვრთნელო შტაბიდან, რომელიც ლონდონურ გრანდში დარჩა. ის მისტერ აბრაამის თანაშემწეა. უფრო ადრე მოურინიოს, ხოლო იქამდე **კლაუდიო რანიერის** თანაშემწეც იყო. კლარკი "ჩელსის" ლეგენდაა. მას ამ გუნდის შემადგენლობაში 400-ზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული. ტაბლოიდის ცნობით, მისტერ სტივს ჟოზესთან ერთად უნდოდა წასვლა, მაგრამ დირექტორატის თხოვნა გაითვალისწინა. მას გრანტის მუშაობის მეთოფები არ მოსწონს. ამიტომ განცხადება გადადგომის თაობაზე თითქმის სამი კვირით ადრე გააკეთა. კლარკი თანამდებობას სანაკრებო პაუზისას დატოვებს. ესე იგი, "ჩელსის" საკმარისი დრო აქვს, რათა მისი შემცვლელი მოძებნოს.

"არისტოკრატების" მომავალი მწვრთნელის თაობაზე ახალი ინფორმაცია არ გავრცელებულა. ძველი სპეკულაციების შესახებ უკვე იმდენჯერ დავწერეთ, რომ იმ ამბების გამეორება არ ღირს. "ჩელსიში" კრიზისი მძვირვარებს. ფანების მოთმინების ფიალა ივსება. ამის გამოხატულება **რომან აბრამოვიჩისათვის** "სტემფორდ ბრიჯზე" მოწყობილი ობსტრუქცია გახლდათ. ფანების ერთი ნაწილი პროტესტის ნიშნავდ შუა თამაშისას სტადიონიდან გასვლასაც კი აპირებდა, მაგრამ ეს აქცია ჩაიშალა. ვინ იცის, იქნებ დროებით. საკმარისია კიდევ ერთი უსახური მატჩი, რომ რუს ოლიგარქს კარგი დღე არ დაადგება. კლუბის გაჭირვებას პირდაპირ მის სახელს უკავშირებენ. ქომაგების უმრავლესობა მოურინიოს წასვლაში პრეზიდენტს ადანაშაულებს.

მანჩესტერ სიტი

# სვენს ვერ აოკებენ

"ნიუს ოფ ზე უორლდმა" **სვენ გორან ერიქსონი** მორიგ სასიყვარულო ისტორიაში ამხილა. "მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი მეგობარ ქალბატონს, **ნენსი დელ ოლიოს** ისევ უსირცხვილოდ ღალატობსო, წერს ტაბლოიდი. მისი ახალი საყვარელია 38 წლის **საიმა ანსარი**, რომელსაც მას ორი შვილი ჰყავს, მაგრამ იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობს, რომ სახელმწიფოსაგან არასრულწლოვანი შვილების აღსაზრდელად სოციალურ დახმარებას იღებს. ბოლო დროს ქალბატონი ანსარი ხშირად ხვდება მულტიმილიონერ საყვარელს, რომელსაც "სიტის" მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ სახლი ჯერ არ უყიდია და მანჩესტერის ყველაზე ძვირადღირებულ სასტუმროში ცხოვრობს. სვენისა და საიმას პაემანი, როგორც წესი, ამ სასტუმროში იმართება. სასტუმროს სახელად "რედისონ ედვარდიანი" ჰქვია. მასში სვენს ის აპარტამენტები უკავია, რომელშიც ერთი წლის წინ, ლეიბორისტული პარტიის კონფერენციისას, ბრიტანეთის მაშინდელ პრემიერ-მინისტრი **ტონი ბლერი** ცხოვრობდა.

"ნიუს ოფ ზე უორლდის" მიმომხილველი წერს, რომ სვენი და ქალბატონი დელ ოლიო ჯერ კიდევ პარტნიორები არიან. არადა, ერიქსონის მანჩესტერში გადასვლის შემდეგ ქალბატონი ნენსი მის სანახავად ერთხელაც არ ჩასულა. დელ ოლიო ხანგრძლივ განშორებას მათი გადატვირთული კალენდრით ხსნის. სრულიად სხვა ინფორმაციას ავრცელებს სვენის წარმომადგენელი **ათოლ სტილი**. ის ამბობს, "სიტის" მთავარი მწვრთნელი უცოლო ადამიანია. მას არც მეგობარი ქალბატონი ჰყავს და რატომაა გასაკვირი, თუკი ძალღონით აღსავსე მამაკაცს ვინმესთან სასიყვარულო ურთიერთობა ექნებაო. ცნობისათვის, ეს ჯანღონით აღსავსე მამაკაცი 59 წლისაა, მაგრამ ამ სიბერეში, ეტყობა, მეორე სიჭაბუკეს განიცდის.

უპრიანია, შევახსენოთ, რომ ინგლისში მოღვაწეობისას სვენმა რამდენიმე ხმაურიანი რომანის გაბრა მოასწრო - ჯერ საფეხბურთო ასოციაციის მდივან **ფარია ალამთან** (რომელიც, როგორც შემდგომში გამოირკვა, ასოციაციის თითქმის მთელი ხელმძღვანელობის საყვარელი იყო), შემდეგ კი პოპულარულ ტელეწამყვან და ამავე დროს "ნიუს ოფ ზე უორლდის" მესვეტე **ულრიკა იონსონთან**. ეს უკანასკნელი სვენის თანამემამულე გახლავთ. ამ ზაფხულს, სანამ ერიქსონი "სიტისთან" 2.5 მილიონიან (წლიური ანაზღაურებაა) კონტრაქტს გააფორმებდა, იტალიაში ატარებდა დროს და იტალიელ მოდელ **მონიკა კასტისთან** ფლირტის გაბმაც მოასწრო.

## ოუენი ერთ კვირაში დაბრუნდება?

**მაიკლ ოუენს** ოქტომბრის შესარჩევი მატჩების გამოტოვება შეიძლება აღარ მოუხდეს. ეს ინფორმაცია "ნიუკასლის" თავკაცმა **სემ ელერდაისმა** გაავრცელა. "მანჩესტერ სიტისთან" შაბათის შეხვედრის (1:3) წინ ჯორდების დამრიგებელმა პრესკონფერენცია გამართა. მან მიმომხილველებს გერმანიიდან მიღებული უახლესი ამბები ამცნო. ოუენი გერმანიაში სამედიცინო შემოწმების გასავლელად გაემგზავრა. ვარაუდობდნენ, რომ მან საზარდულის ოპერაციას გაუკეთებდნენ. ასეთ შემთხვევაში, მაიკლს ექვსკვირიანი შვებულების აღება მოუწევდა. ოპერაციის გაკეთება საჭირო აღარ აღმოჩნდა. ფეხბურთელს ქირურგების გარეშე შეუძლია ფეხზე წამოდგომა, თანაც ბევრად უფრო მოკლე დროში, ვიდრე ელოდნენ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ოუენმა შეიძლება "ევერტონთან" მომავალ უქმეებზეც კი ითამაშოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის დაგეგმილ სანაკრებო მატჩებში ისრაელისა და რუსეთის წინააღმდეგ აუცილებლად ეროვნული გუნდის განაცხადში იქნება. *"ნიუკასლისა" და ინგლისის ეროვნულიგუნდის ექიმები მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენი და ფეხბურთელის ინტერესებს მაქსიმალურად გაითვალისწინებს,"* - დასძინა ელერდაისმა.

## შმაიხელის ახალი კონტრაქტი

"მანჩესტერ სიტიმ" ახალგაზრდა მეკარე **კასპერ შმაიხელს** ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. დანიის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი სრულიად მოულოდნელად ინგლისური კლუბის ძირითად კარის დარაჯად იქცა. მას გაუმართლა. ზედ სეზონის წინ შვედეთის ნაკრების მეკარემ, **ანდრეას ისაკსონმა** თითი მოიტეხა. სვენ გორან ერიქსონს არჩევანი ორ თინეიჯერს შორის უნდა გაეკეთებინა. ერთი მათგანი ლეგენდარული **პეტერ შმაიხელის** შვილი იყო, მეორე ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **ჯო ჰარტი**. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შმაიხელი-უმცროსი თავისი ქვეყნის (დანიის) ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერია. მოკლედ, მწვრთნელი მას ენდო და კასპერმა შთამბეჭდავი მატჩების მთელი სერია ჩაატარა. შედეგმაც არ დააყოვნა. "სიტი" პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერია. კასპერ შმაიხელს კი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

## საფრანგეთი

გადადებული მატჩები

### ლიონი-ლანსი 3:0

**ლიონი:** ვერკუტრი, კლერი, სკილაჩი, ბოდმერი, გროსო, ტულალანი, ფაბიო სანტოსი (79. გოვუ), ჟუნინიო (66. ბენზემა), კალსტრიომი, ა. კეიტა, ბაროში (85. ბელაჯი).

**ლანსი:** რუნიე, დემონი, ად. კულიბალი, ლორენტი, რამოსი (73. ობეი), კოვაჩევიჩი, საბლე, სი. კეიტა, ლაკური (59. მონტერუბიო), ბუკარი, დინდანე.

**გოლები:** 1:0 ფაბიო სანტოსი (42), 2:0 კალსტრიომი (81), 3:0 ბენზემა (90)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 38 420

### კაენი-ტულუზა 2:1

**კაენი:** პლანტე, ენგბარტი, სორბონი, ელუჩანსი (79. ფლორენტენი), გომისი (75. დერუანი), ლეკა, ლემაეტრი, ნივე, პრომანი, კომპანი (66. მაზური), გუფრანი.

**ტულუზა:** დუშე, ფოფანა (46. ებონდო), სეტო, კონგრე, ილუნგა, დიოზი, ემანა, სისოკო (56. ბატლი), ელმანდერი, გინიაკი (66. ბერუგნუ), მანსარე.

**გოლები:** 1:0 კომპანი (12), 2:0 ნივე (55), 2:1 ემანა (90)

**გაფრთხილება:** 0-3

**მაყურებელი:** 17 119

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 9 | 6 | 1 | 2 | 18-8 | 19 |
| 2. ნანსი | 8 | 6 | 1 | 1 | 15-5 | 19 |
| 3. ბორდო | 9 | 5 | 3 | 1 | 12-6 | 18 |
| 4. ვალანსი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-9 | 17 |
| 5. ლე მანი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-11 | 16 |
| 6. რენი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-7 | 15 |
| 7. ნიცა | 9 | 4 | 2 | 3 | 10-7 | 14 |
| 8. მონაკო | 9 | 4 | 1 | 4 | 13-9 | 13 |
| 9. სტრასბური | 9 | 3 | 3 | 3 | 8-6 | 12 |
| 10. ლორიანი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| 11. სტ. ეტიენი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-9 | 11 |
| 12. ტულუზა | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| 13. პსჟ | 9 | 2 | 5 | 2 | 7-8 | 11 |
| 14. ლილი | 9 | 1 | 7 | 1 | 9-9 | 10 |
| 15. ოსერი | 9 | 3 | 0 | 6 | 6-15 | 9 |
| 16. კაენი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-12 | 7 |
| 17. მარსელი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-12 | 7 |
| 18. სოშო | 9 | 1 | 4 | 4 | 8-14 | 7 |
| 19. ლანსი | 8 | 1 | 3 | 4 | 3-8 | 6 |
| 20. მეცი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-14 | 5 |

**ბომბარდირები:** 9 - ბენზემა (ლიონი); 6 - ბელიონი (ბორდო); 5 - ოდელი (ვალანსი), დე მელო (ლე მანი); 4 - საიფი (ლორანი), ვაირუა (ლორიანი), საიფი (ლორიანი), ჰაჯი (ნანსი), პიკიონი (მონაკო).

### II დივიზიონი

IX ტური

| | |
|---|---|
| აიაჩო-ჰავრი | 0:3 |
| ბულონი-რეიმსი | 1:0 |
| გენიონი-ლიბურნი | 2:2 |
| გინგამი-შატორუ | 2:2 |
| ნიორი-ბასტია | 1:3 |
| დიჟონი-ბრესტი | 2:2 |
| ანჟერსი-ამიენი | 2:0 |
| ტრუა-კლერმონი | 2:2 |
| მონპელიე-სედანი | გადაიდო |
| გრენობლი-ნანტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰავრი | 9 | 6 | 2 | 1 | 17-7 | 20 |
| 2. ნანტი | 8 | 6 | 1 | 1 | 18-7 | 19 |
| 3. ტრუა | 9 | 4 | 4 | 1 | 14-10 | 16 |
| 4. გრენობლი | 8 | 4 | 3 | 1 | 9-4 | 15 |
| 5. მონპელიე | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| 6. ანჟერსი | 9 | 4 | 2 | 3 | 9-8 | 14 |
| 7. ბრესტი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-12 | 14 |
| 8. ბასტია | 9 | 4 | 1 | 4 | 12-13 | 13 |
| 9. დიჟონი | 9 | 3 | 4 | 2 | 9-10 | 13 |
| 10. შატორუ | 9 | 3 | 3 | 3 | 11-11 | 12 |
| 11. კლერმონი | 9 | 2 | 6 | 1 | 12-9 | 12 |
| 12. სედანი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-7 | 11 |
| 13. ბულონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-14 | 11 |
| 14. ნიორი | 9 | 3 | 1 | 5 | 7-10 | 10 |
| 15. რეიმსი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-15 | 10 |
| 16. აიაჩო | 9 | 2 | 4 | 3 | 7-10 | 10 |
| 17. გინგამი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-11 | 9 |
| 18. ამიენი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-11 | 7 |
| 19. გენიონი | 9 | 1 | 2 | 6 | 10-17 | 5 |
| 20. ლიბურნი | 9 | 1 | 2 | 6 | 12-19 | 5 |

## ისლანდია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-ფრამი | 2:2 |
| კეფლავიკი-აკრანესი | 3:3 |
| რეიკიავიკი-ფილკირი | 1:1 |
| ვალური-ჰკ | 1:0 |
| ვიკინგური-ჰაფნარი | 1:3 |

საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალური | 18 | 11 | 5 | 2 | 41-20 | 38 |
| 2. ჰაფნარი | 18 | 11 | 4 | 3 | 42-26 | 37 |
| 3. აკრანესი | 18 | 8 | 6 | 4 | 34-27 | 30 |
| 4. ფილკირი | 18 | 8 | 5 | 5 | 23-18 | 29 |
| 5. ბრეიდაბლიკი | 18 | 5 | 9 | 4 | 29-20 | 24 |
| 6. კეფლავიკი | 18 | 5 | 6 | 7 | 26-32 | 21 |
| 7. ჰკ | 18 | 4 | 4 | 10 | 17-35 | 16 |
| 8. ფრამი | 18 | 3 | 7 | 8 | 25-31 | 16 |
| 9. რეიკიავიკი | 18 | 3 | 7 | 8 | 17-30 | 16 |
| 10. ვიკინგური | 18 | 3 | 5 | 10 | 15-30 | 14 |

## არგენტინა

XI ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპო-ურაკანი | 3:1 |
| ესტუდიანტესი-ტიგრე | 2:2 |
| ხიმნასია (ხ)-ხიმნასია (ლ) | 4:0 |
| კოლონი-სან მარტინი | 1:1 |
| ველესი-არსენალი | 0:0 |
| ბანფილდი-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| რივერი-როსარიო | 3:3 |
| რასინგი-ლანუსი | 1:1 |
| სან ლორენსო-არხ. ხუნიორსი | 2:1 |
| ნიუელსი-ბოკა | შვ. დასრულდა |

## რუსეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ლუჩ ენერგია-რუბინი | 2:0 |
| ზენიტი-ცსკა | 2:1 |
| სპარტაკი-ხიმკი | 2:0 |
| ამკარი-ლოკომოტივი | 1:0 |
| ტომი-კუბანი | 2:0 |
| სატურნი-მოსკოვი | 0:0 |
| დინამო-კრილია | 1:1 |
| როსტოვი-ნალჩიკი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 25 | 14 | 7 | 4 | 44-31 | 49 |
| 2. სპარტაკი | 25 | 13 | 7 | 5 | 40-27 | 46 |
| 3. მოსკოვი | 25 | 12 | 7 | 6 | 33-25 | 43 |
| 4. ცსკა | 25 | 9 | 11 | 5 | 32-22 | 38 |
| 5. სატურნი | 25 | 9 | 11 | 5 | 28-22 | 38 |
| 6. ამკარი | 25 | 9 | 10 | 6 | 25-19 | 37 |
| 7. დინამო | 25 | 10 | 7 | 8 | 34-30 | 37 |
| 8. ლოკომოტივი | 25 | 10 | 6 | 9 | 34-35 | 36 |
| 9. რუბინი | 25 | 9 | 4 | 12 | 27-30 | 31 |
| 10. ნალჩიკი | 25 | 7 | 8 | 10 | 25-30 | 29 |
| 11. ტომი | 25 | 6 | 10 | 9 | 31-31 | 28 |
| 12. ხიმკი | 25 | 6 | 10 | 9 | 22-25 | 28 |
| 13. ლ-ენერგია | 25 | 7 | 7 | 11 | 22-27 | 28 |
| 14. კრილია | 25 | 6 | 8 | 11 | 24-34 | 26 |
| 15. კუბანი | 25 | 4 | 10 | 11 | 19-31 | 25 |
| 16. როსტოვი | 25 | 1 | 11 | 13 | 15-36 | 14 |

## უნგრეთი

X ტური

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-ვაშაში | 3:3 |
| უიპეშტი-სოპრონი | 4:0 |
| პაკსი-ფეჰერვარი | 2:1 |
| შიოფოკი-ნირეგიჰაზა | 0:1 |
| დებრეცენი-ტატაბანია | 4:1 |
| დიოშდიორი-რეაკ | 0:1 |
| კაპოშვარი-დიორი | 1:1 |
| მტკ-ჰონვედი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰონვედი | 9 | 7 | 1 | 1 | 22-10 | 22 |
| 2. დებრეცენი | 10 | 6 | 2 | 2 | 22-12 | 20 |
| 3. მტკ | 9 | 5 | 4 | 0 | 21-9 | 19 |
| 4. უიპეშტი | 10 | 5 | 4 | 1 | 20-9 | 19 |
| 5. ფეჰერვარი | 10 | 5 | 1 | 4 | 21-16 | 16 |
| 6. დიორი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-10 | 16 |
| 7. ზალაეგერსეგ | 10 | 4 | 3 | 3 | 19-16 | 15 |
| 8. ნირეგიჰაზა | 10 | 4 | 3 | 3 | 8-8 | 15 |
| 9. ვაშაში | 10 | 3 | 4 | 3 | 14-16 | 13 |
| 10. რეაკ | 10 | 4 | 1 | 5 | 11-14 | 13 |
| 11. კაპოშვარი | 10 | 3 | 4 | 3 | 13-17 | 13 |
| 12. პაკსი | 10 | 3 | 1 | 6 | 15-21 | 10 |
| 13. სოპრონი | 10 | 2 | 4 | 4 | 7-14 | 10 |
| 14. შიოფოკი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-16 | 6 |
| 15. დიოშდიორი | 10 | 0 | 6 | 4 | 9-17 | 6 |
| 16. ტატაბანია | 10 | 0 | 1 | 9 | 9-30 | 1 |

## უკრაინა

XI ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-ზარია | 1:0 |
| ხარკოვი-ზაკარპატია | 0:2 |
| კრივბასი-ვორსკლა | 3:0 |
| მეტალურგი (ზ)-შახტარი | 1:3 |
| დინამო-ნაფტოვიკი | 0:1 |
| დნიპრო-არსენალი | 1:3 |
| ჩერნომორეცი-ტავრია | 2:0 |
| კარპატი-მეტალისტი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 11 | 10 | 1 | 0 | 28-7 | 31 |
| 2. დნიპრო | 11 | 7 | 1 | 3 | 20-12 | 22 |
| 3. დინამო | 11 | 6 | 3 | 2 | 21-12 | 21 |
| 4. მეტალისტი | 11 | 6 | 2 | 3 | 17-12 | 20 |
| 5. ჩერნომორეც | 11 | 5 | 2 | 4 | 8-8 | 17 |
| 6. მეტალურ (ზ) | 11 | 4 | 3 | 4 | 10-11 | 15 |
| 7. მეტალურ (დ) | 11 | 3 | 5 | 3 | 15-14 | 14 |
| 8. ტავრია | 11 | 4 | 2 | 5 | 12-19 | 14 |
| 9. კრივბასი | 11 | 4 | 1 | 6 | 14-17 | 13 |
| 10. ზარია | 11 | 4 | 1 | 6 | 11-16 | 13 |
| 11. კარპატი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-14 | 12 |
| 12. ვორსკლა | 11 | 2 | 6 | 3 | 8-11 | 12 |
| 13. ხარკოვი | 11 | 3 | 3 | 5 | 7-11 | 12 |
| 14. ზაკარპატია | 11 | 3 | 3 | 5 | 8-15 | 12 |
| 15. არსენალი | 11 | 3 | 2 | 6 | 21-19 | 11 |
| 16. ნაფტოვიკი | 11 | 1 | 2 | 8 | 5-18 | 5 |

## პოლონეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| პოლონია-ზაგლები | 1:0 |
| ლეგია-ბელხატოვი | 4:1 |
| კრაკოვია-სოსნოვეცი | 1:0 |
| გროცლინი-გურნიკი | 3:1 |
| ლკს-კორონა | 0:1 |
| ოდრა-ლეხი | 1:2 |
| იაგიელონია-ვიძევი | 2:1 |
| რუხი-ვისლა | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 9 | 8 | 0 | 1 | 20-3 | 24 |
| 2. ვისლა | 9 | 7 | 2 | 0 | 24-5 | 23 |
| 3. კორონა | 9 | 6 | 1 | 2 | 11-7 | 19 |
| 4. ლეხი | 9 | 5 | 2 | 2 | 21-13 | 17 |
| 5. გროცლინი | 9 | 5 | 1 | 3 | 15-11 | 16 |
| 6. ზაგლები | 9 | 4 | 2 | 3 | 11-10 | 14 |
| 7. ბელხატოვი | 9 | 3 | 4 | 2 | 9-7 | 13 |
| 8. კრაკოვია | 9 | 4 | 1 | 4 | 7-6 | 13 |
| 9. გურნიკი | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| 10. იაგელონია | 9 | 3 | 2 | 4 | 8-13 | 11 |
| 11. რუხი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-18 | 8 |
| 12. პოლონია | 9 | 2 | 1 | 6 | 3-18 | 7 |
| 13. ლკს | 9 | 1 | 3 | 5 | 6-9 | 6 |
| 14. ვიძევი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-14 | 6 |
| 15. ოდრა | 9 | 1 | 3 | 5 | 9-16 | 6 |
| 16. სოსნოვეცი | 9 | 2 | 0 | 7 | 7-19 | 6 |

## მსოფლიო ჩემპიონატი

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ-ნორვეგია | 4:1 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| ბრაზილია-გერმანია | 0:2 |

## ფინეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ოულუ-ჰაკა | 1:1 |
| კტპ-მარიეჰამნი | 1:2 |
| ვიიკინგიტი-ვაასა | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტამპერე | 21 | 14 | 5 | 2 | 39-22 | 47 |
| 2. ჰაკა | 22 | 12 | 5 | 5 | 34-19 | 41 |
| 3. ტურკუ | 21 | 11 | 2 | 8 | 35-27 | 35 |
| 4. ჰონკა | 21 | 9 | 8 | 4 | 28-20 | 35 |
| 5. მარიეჰამნი | 22 | 7 | 9 | 6 | 27-26 | 30 |
| 6. ლაჰტი | 21 | 8 | 5 | 8 | 33-26 | 29 |
| 7. მიუპა | 21 | 8 | 5 | 8 | 21-21 | 29 |
| 8. ჰიკ | 21 | 5 | 12 | 4 | 26-21 | 27 |
| 9. ვაასა | 23 | 6 | 9 | 8 | 22-33 | 27 |
| 10. კტპ | 23 | 7 | 4 | 12 | 27-34 | 25 |
| 11. ინტერი | 22 | 6 | 6 | 10 | 26-25 | 24 |
| 12. იარო | 22 | 6 | 5 | 11 | 24-37 | 23 |
| 13. ვიიკინგიტი | 22 | 5 | 6 | 11 | 23-38 | 21 |
| 14. ოულუ | 22 | 4 | 7 | 11 | 25-41 | 19 |

## ხორვატია

X ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-ზაგრები | 3:1 |
| შიბენიკი-ჰაიდუკი | 1:0 |
| ზადარი-ვარტექსი | 2:0 |
| ინტერი-სლავენი | 1:0 |
| ოსიეკი-მედიმურიე | 4:0 |
| დინამო-რიეკა | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 33-9 | 27 |
| 2. რიეკა | 10 | 6 | 2 | 2 | 20-10 | 20 |
| 3. ზადარი | 10 | 6 | 2 | 2 | 22-14 | 20 |
| 4. სლავენი | 10 | 5 | 1 | 4 | 18-11 | 16 |
| 5. ჰაიდუკი | 10 | 4 | 4 | 2 | 16-11 | 16 |
| 6. სიბალია | 10 | 4 | 2 | 4 | 11-12 | 14 |
| 7. ოსიეკი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-15 | 14 |
| 8. შიბენიკი | 10 | 3 | 5 | 2 | 16-20 | 14 |
| 9. ზაგრები | 10 | 3 | 2 | 5 | 12-13 | 11 |
| 10. ინკერი | 10 | 3 | 1 | 6 | 8-21 | 10 |
| 11. მედიმურიე | 10 | 1 | 1 | 8 | 9-25 | 4 |
| 12. ვარტექსი | 10 | 1 | 0 | 9 | 11-28 | 3 |

## სლოვაკეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| დუბნიცა-არტმედია | 1:3 |
| შენეცი-რუჟომბეროკი | 2:3 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 1:2 |
| ნიტრა-ტრენჩინი | 2:0 |
| მორავცე-ჟილინა | 1:2 |
| ტრნავა-სლოვანი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არტმედია | 11 | 8 | 1 | 2 | 28-12 | 25 |
| 2. ჟილინა | 11 | 8 | 1 | 2 | 26-13 | 25 |
| 3. ნიტრა | 11 | 8 | 1 | 2 | 17-6 | 25 |
| 4. რუჟომბეროკი | 11 | 6 | 2 | 3 | 17-14 | 20 |
| 5. ტრნავა | 11 | 5 | 3 | 3 | 20-13 | 18 |
| 6. კოშიცე | 11 | 5 | 3 | 3 | 15-10 | 18 |
| 7. სლოვანი | 11 | 4 | 2 | 5 | 15-14 | 14 |
| 8. ბუდნიცა | 11 | 2 | 5 | 4 | 12-18 | 11 |
| 9. მორავცე | 11 | 3 | 2 | 6 | 9-24 | 11 |
| 10. ბისტრიცა | 11 | 2 | 2 | 7 | 14-19 | 8 |
| 11. ტრენჩინი | 11 | 2 | 1 | 8 | 13-30 | 7 |
| 12. შენეცი | 11 | 0 | 3 | 8 | 8-21 | 3 |

## სერბეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ბეჟანია-ჩუკარიჩკი | 1:2 |
| ბორაცი-ჰაიდუკი | 2:0 |
| ბანატი-მლადოსტი | 0:0 |
| ოფკ-ნაპრედაკი | 1:1 |
| პარტიზანი-ცრვენა ზვეზდა | 2:2 |
| ვოივოდინა-სმედერევო | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 7 | 6 | 1 | 0 | 18-6 | 19 |
| 2. ვოივოდინა | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 12 |
| 3. ოფკ | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 4. ბორაცი | 7 | 3 | 2 | 2 | 4-3 | 11 |
| 5. ცრ. ზვეზდა | 6 | 2 | 4 | 0 | 6-3 | 10 |
| 6. ბანატი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 7. ჰაიდუკი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-4 | 8 |
| 8. ჩუკარიჩკი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-9 | 8 |
| 9. სმედერევო | 7 | 2 | 1 | 4 | 3-6 | 7 |
| 10. მლადოსტი | 7 | 1 | 4 | 2 | 3-6 | 7 |
| 11. ბეჟანია | 7 | 1 | 1 | 5 | 4-8 | 4 |
| 12. ნაპრედაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-10 | 4 |

## სლოვენია

XI ტური

| | |
|---|---|
| დრავა-პრიმორიე | 3:2 |
| ლივარი-ნაფტა | 1:1 |
| კოპერი-დომჟალე | 2:3 |
| პუბლიკუმი-ინტერბლოკი | 1:2 |
| გორიცა-მარიბორი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 11 | 7 | 2 | 2 | 25-10 | 23 |
| 2. პუბლიკუმი | 11 | 6 | 3 | 2 | 17-6 | 21 |
| 3. კოპერი | 11 | 6 | 3 | 2 | 20-11 | 21 |
| 4. გორიცა | 11 | 5 | 2 | 4 | 16-15 | 17 |
| 5. ინტერბლოკი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-13 | 14 |
| 6. მარიბორი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-18 | 14 |
| 7. ნაფტა | 11 | 3 | 5 | 3 | 15-20 | 14 |
| 8. პრიმორიე | 11 | 4 | 1 | 6 | 15-13 | 13 |
| 9. დრავა | 11 | 4 | 1 | 6 | 15-25 | 13 |
| 10. ლივარი | 11 | 1 | 1 | 9 | 10-30 | 4 |

## ბრაზილია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| კორინთიანსი-სპორტ რესიფე | 1:2 |
| ფლამენგო-ატ. მინეირო | 1:0 |
| ნაუტიკო-ატ. პარანაენსე | 5:0 |
| ბოტაფოგო-გოიაში | 0:3 |
| ინტერნასიონალი-სან პაულუ | 1:2 |
| ჟუვენტუდე-გრემიო | 1:2 |
| სანტოსი-ვასკო და გამა | 1:0 |
| ამერიკა-პალმეირასი | შვ. დასრულდა |
| კრუზეირო-ფიგეირენსე | შვ. დასრულდა |
| პარანა-ფლუმინენსე | შვ. დასრულდა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ნიკა ცქიტიშვილი

# ბორისა, ცსკა და კომსომოლკა

საქართველოს ნაკრებისა და ვლადივოსტოკის "პრიმორიეს" ფორვარდმა **ვლადიმერ ბორისამ** მუხლის ტრავმა მიიღო. იგი ესპანური შეკრებისას, "მენორკასთან" მატჩში დაშავდა. როგორც რუსი ექიმები იუწყებიან მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ვოვას გამოჯანმრთელება რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე. რუსეთის სუპერლიგის სადებიუტო ტური 3 ოქტომბერს გაიმართება, "სპარტაკ-პრიმორიე" კი ქვეყნის ჩემპიონატს ცსკა-ს უმასპინძლებს. ვლადივოსტოკელები მეორე ტურშიც შინ ითამაშებენ - სანკტ-პეტერბურგის "სპარტაკს" მიიღებენ. იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი ფორვარდი 3 ოქტომბრამდე თანაგუნდელებს სენსაციის გამოცხობაში დაეხმარება და ცსკა-ს დაამარცხებს.

მანამდე "პრიმორიემ" დასკვნითი საკონტროლო შეხვედრა გამართა ჩინურ "ნორტ-ისტ ტაიგერსთან". რუსებს მეზობლების ძლევა ბორისას გარეშეც არ გასჭირვებიათ - 101:73. მატჩის სნაიპერი 25 ქულით **რომან ლევტერი** გახდა.

"კომსომოლკა" ირჩევს. - ასეთი სათაური გაჩნდა ვლადივოსტოკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გაზეთ "კომსომოლკაში". პუბლიკაციაში ვკითხულობთ: ჩვენი გაზეთი რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ყოველი სეზონის წინ ირჩევს ერთ კალათბურთელს "სპარტაკ-პრიმორიედან". მას დაეკისრება გუნდის ქომაგისადმი წარდგენის მისია - ყოველი მატჩის შემდეგ თანაგუნდელთა სახელით ისაუბრებს და გარკვეული პერიოდულობით მიიღებს მონაწილეობას პროექტში "ვახშამი ვარსკვლავთან ერთად". კანდიდატი სულითა და გულით სპარტაკელი უნდა იყოს. ასეთად სამი კალათბურთელი წარმოგვიდგენია: საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვლადიმერ ბორისა**, რომელმაც დამაჯერებლად ითამაშა კლუბის სამ სადებიუტო მატჩში. თურქულ "ტელეკომთან" 15 ქულა ჩააგდო. მეორე კანდიდატია ხორვატიის ნაკრების უკანახაზელი **დამირ მილკოვიჩი**, რომელმაც თურქულ "ფენერბაჰჩესთან" მოგებულ შეხვედრაში (73:72) 16 ქულა მიითვალა. ...და მესამე პრეტენდენტი ლიტველი ვიდას **გინევიჩუსია**. მას 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე აქვს ნათამაშები. "კომსომოლკის" გამოკითხვის შედეგები 3 ოქტომბრისთვის გამოქვეყნდება.

# მგლები ოლიმპიაკოსთან

მანუჩარ მარკოიშვილის "კიევში" გადასვლის შემდეგ ერთხელაც არ გვიხსენებია ამ უკრაინული კლუბის მეტსახელი. "მგლებმა" ესპანეთში შეკრებაზე მყოფ ევროგრანდ "ოლიმპიაკოსს" კუდით ქვა ასროლინეს - 83:69 დაამარცხეს.

მარკოიშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა სწრაფი თამაშის ხარჯზე სახელოვან მეტოქეს პირველივე ტაიმში მოუთავეს საქმე - დიდ შესვენებაზე 19-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. საფინალო სხვაობაზე კი უკვე გესაუბრეთ.

კიეველ სნაიპერთა შორის მანუ მესამე იყო - 13 ქულა ჩააგდო. გამაკედონელებულმა ამერიკელმა **რაიან სტეკმა** (რომელსაც შარშანწინ საქართველოს ნაკრების წინაალმდეგ თბილისშიც აქვს ნათამაშები) 19 ქულა ჩააგდო. მას ერთით ჩამორჩა ამერიკელი უკანახაზელი **ჯეტერი**.

# ცქიტიშვილმა ექვსიანებით დაიწყო

გუშინ სტარტი აიღო საკალათბურთო სერია A-მ, შარშან ამ ლიგაში ორი ჩვენებური თამაშობდა **ვლადიმერ ბორისა** და **ტაირონ ელისი**, წლეულს ისინი სხვა ლიგებში გადავიდნენ, სამაგიეროდ, იტალიაში დაბრუნდა ყოფილი NBA-ელი **ნიკოლოზ ცქიტიშვილი**. ცქიტიშვილის გუნდმა ტერამოს "სივილია ვეარმა" პირველი ტურის მატჩი სტუმრად ჩაატარა "ბოლონიასთან" და მხოლოდ ორი ქულის სხვაობით დამარცხდა - 68:70. ჩვენი თანამემამულე სასტარტო ხუთეულში იყო, მის ანგარიშზე 6 ქულა და 6 მოხსნაა. ნიკამ მოედანზე 16 წუთი დაჰყო.

# ათუაშვილი ალიტუსის ახალწვეულია

ყველაზე მაღალმა ქართველმა კალათბურთელმა **სერგო ათუაშვილმა** ახალი სეზონის წინ კლუბი გამოიცვალა. იგი ლიტვის "ალიტუსში" ითამაშებს.

222 სმ. სიმაღლის ქართველმა ცენტრმა ლიტვის ჩემპიონატის პირველ ტურში "ალიტუსის" მაისური უკვე მოირგო. სერგოს ახალ კლუბს დებიუტში მეტისმეტად რთული გამოცდის ჩაბარება მოუწია - ლიტვის გრანდ "ლიეტუვოს რიტასს" უმასპინძლა. 1500 ქომაგის წინაშე "ალიტუსმა" მეტოქეს ღირებული წინაალმდეგობა ვერ გაუწია და 62:112 წააგო.

საყურადღებოა, რომ სტუმრები პირველი ტაიმის შემდეგ 50:21-ს იგებდნენ...

ვერც სერგო ათუაშვილის დებიუტს ეთქმის წარმატებული - 4 წუთი ითამაშა და ოქმში მის გასწვრივ ყველა გრაფაში ნული დაფიქსირდა. არადა, წინა სეზონში სერგომ საუკეთესო მატჩი სწორედ "ლიეტუვოს რიტასის" წინაალმდეგ ჩაატარა - 24 წუთში 12 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. წინა წელს იგი "ნეპტუნასის" ღირსებას იცავდა და გუნდთან ერთად ლიტვის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

სად თამაშობდა ათუაშვილი გასულ სეზონში, უკვე გაგახსენეთ. დავამატებთ, რომ 204-05 წლებში იგი ფრანგული "შალონის" ღირსებას იცავდა, თუმცა უმთავრესად სათადარიგოთა სკამს ამაგრებდა.

სხვადასხვა დროს სერგო საქართველოს კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებების ღირსებას იცავდა.

ახლა "ალიტუსზე": სერგო ათუაშვილის ახალი გუნდი 1996 წლიდან 2005 წლამდე ლიტვის უმაღლეს ლიგაშიასპარეზობდა, ბოლო ორი წელი კი მეორე ეშელონში გაატარა. გასულ სეზონში "ალიტუსმა" ლიტვის მეორე ლიგა (NKL) პირველ პოზიციაზე დაასრულა და ელიტაში თამაშის უფლება მოიპოვა. პირველი მატჩიც დაგვემოწმება, რომ ამ სეზონში გუნდის მთავარი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. ისტორიის განმავლობაში "ალიტუსს" ყველაზე ძლიერი შემადგენლობა 2002 და 2003 წლებში ჰყავდა. ამ დროს ლიტვის ჩემპიონატის ნახევარფინალებიც ითამაშა და ევროთასებზეც მეტ-ნაკლები წარმატებით გამოვიდა.



სერგო ათუაშვილი

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ძიუდო

# როტერდამიდან უმედლოდ

ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში გაიმართა მსოფლიოს სუპერთასის მორიგი ტურნირი, სადაც შვიდი ქართველი ძიუდოისტი მონაწილეობდა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ბეთქილ შუკვანი** გამოდიოდა, მან პირველ წრეში თურქ **ქემალ ოგიუზი** დაამარცხა, შემდეგ მან ფრანგ **დიმიტრი დრაგინს** მოუგო, მაგრამ წააგო ჰოლანდიელ **ლეონ ბორხსტედესთან**. რეპეშაჟში შუკვანი ეგრევე დამარცხდა რუს **ევგენი კუდიაკოვთან** იპონზე. უკრაინის სახელით ბრინჯაოს მედალი **გრიგოლ ზანთარაიამ** მოიგო.

66 კილოში **ზაზა კედელაშვილი** პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან ბრიტანელ **კოლინ ოუტსს** აჯობა, მესამე წრეში ქართველმა ვერ შეძლო ფრანგი **ბენჟამინ დარბელეს** ძლევა. მესამე ადგილი ბერძენმა **ტარიელ ზიდირიდისმა** (**სონიშვილმა**) მოიგო, ხოლო **რევაზ ზიდირიდისმა** (**გედენიძემ**) მესამე ადგილისთვის ბრძოლა დათმო.

73 კგ. წონით კატეგორიაში წარმომადგენელი არ გვყოლია, 81 კილოში, სადაც ლიცენზია ჯერ არ გვაქვს, ორი ძიუდოისტი ჭიდაობდა. **გრიგოლ მამრიკიშვილი** პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან აზერბაიჯანელ **ელხან რაჯაბლისთან** დათმო. **ლევან ნიკლაურმა** დაამარცხა **აარონ კოენი** (აშშ) და **ტომისლავ მარიანოვიჩი** (ხორვატია). მესამე წრეში ქართველი ფრანგ **ანტონი ფრიჩთან** დამარცხდა. რეპეშაჟში ჩვენებურები ვერ მოხვდნენ.

90 კილოში **სოსო მსხალაძემ იგორ სპასოევიჩს** (სლოვენია) მოუგო, ხოლო **მარკ ჰუზინგას** ვერაფერი დაუპირისპირა. ჰუზინგა ფინალში გავიდა, მსხალაძე მას რეპეშაჟში გაყვა. იქ მან პირველ წრეში შვეიცარიელ **დომინიკ ჰიშიეს** აჯობა, მაგრამ წააგო ფრანგ **ივ დეფრევილთან**.

100 კილო წონით კატეგორიაში **შოთა ხაბარელს** როტერდამში არავინ უახლია. მძიმე წონაში **ადამ ოქრუაშვილი** პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან უკრაინელი **ვიტალი პოლიანსკი** დაამარცხა, პოლონელ **იანუშ ვოინაროვიჩთან** წააგო. **ზვიად ხანჯალიაშვილმა** კი მოუგო ფრანგ **პიერ რობენს**, პოლონელ **გრეგორჟ ეიტელს**, მაგრამ ამის შემდეგ ორი ბრძოლა წააგო ჯერ ნახევარფინალი ესტონელ **მარტინ პადართან**, შემდეგ მესამე ადგილისთვის ბრძოლა ფრანგ **ჟან-სებასტიენ ბონვუაზენთან**. ადამ ოქრუაშვილმა წააგო რეპეშაჟის პირველი ორთაბრძოლა სლოვენიელ **მატიაშ ცერაისთან**.

## ჩოგბურთი

# პერვაკი პირველია

ბათუმში დასრულდა ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი იყო. ფინალში 16 წლის რუსმა **ქსენია პერვაკმა** მე-7 ნომრად განთესილ 18 წლის იტალიელ **კორინა დენტონის** მოუგო - 6:4, 6:3. ჩელიაბინსკელი გოგო მართლაც დიდი ტალანტია, ის უკვე მსოფლიოს 422-ე ჩოგანია, ამ მოგებით კი ასზე მეტი ადგილით წაიწევს წინ. ეს ტიტული პირველია პერვაკის კარიერაში, რომელიც ახალგაზრდულ ასპარეზზე მსოფლიოს მეხუთე ჩოგანია.

მანამდე ნახევარფინალში დენტონიმ გერმანელი **რია დორნემანი** დაამარცხა - 7:6, 6:1. პერვაკმა კი პირველ ნომრად განთესილ სერბ **ვოისლავა ლუკიჩს** აჯობა - 6:2, 6:3. შეგახსენებთ, რომ ქართველთაგან საუკეთესო შედეგი **ეკა გორგოძეს** და **ოქსანა კალაშნიკოვას** ჰქონდათ, რომლებმაც მეოთხედფინალში გააღწიეს. წყვილთა თანრიგში ლუკიჩმა და **მიხაელა ბუზარნესკუმ** (რუმინეთი) პირველ ნომრად განთესილი რუსები (**მარინა შამაიკო, ვასილისა დავიდოვა**) დაამარცხეს - 6:2, 6:4.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტის რეგიონული პრობლემა

# დაუბრუნეთ სპორტი სვანეთს...



ასე გამოიყურება დღეს მესტიაში მფრინავ-მოთხილამურეთა ტრამპლინი

ჩვენ დროშიც კი, თბილისიდან დილით ავტომანქანით გასული, მხოლოდ საღამოს თუ აღწევ ზემო სვანეთში. 500-კილომეტრიანი გზა, რა თქმა უნდა, მომქანცველია. დამღლელი, მთებსა და ხეობებში გამავალი კეთილმოუწყობელი გზებია, თორემ ენგურჰესამდე მგზავრობა სასიამოვნოცაა. იქიდან 182 კმ რჩება გასავლელი იმ 500-დან, სამაგიეროდ, დღის მთელი მეორე ნახევარი ენირება ამ მანძილის დაფარვას. ეს 182 კმ ალაგ-ალაგ მოასფალტებულია, ზოგან მოხრეშილი, ზოგან არც ერთია და არც მეორე, არის ძნელად გასავლელი ადგილებიც (მაგალითად, შავლელეს მონაკვეთი), მაგრამ ღირს წვალებად. დაღლაჯაყჯაყს ზღაპრული სილამაზე ენაცვლება - მარად დათოვლილი მთები, ცადაზიდული მწვერვალები, ხევები, მშფოთვარე ენგური, ნაკადულების დაბადება, ჩანჩქერები, სოფლები, კოშკები...

ლატალში ვჩერდებით. ეს ზემო სვანეთის განაპირა, ჩამკეტი სოფელია, კარიბჭე, უბატონო სვანეთის ისტორიული ბასტიონი. აქ სახლობს სპორტის ვეტერანი მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, **ვალერი ფარჯიანი.** ეს კაცი მასპინძლობს მუდამ თბილისიდან თუ სხვა ქალაქებიდან ჩასულ სტუმრებს. ახლაც ის მიგველოდა გ. თიკანაძის დაბადებიდან 75 წლის იუბილეზე. ის ხელმძღვანელობდა ამ ღონისძიების მომზადებასაც.

რამდენიმე ათეული წელიწადია ვ. ფარჯიანი გ. თიკანაძის სახელობის ლატალის კულტურულ-სპორტული კომპლექსის, სპორტსკოლისა და მუზეუმის უცვლელი დირექტორია. სპორტსკოლაში არაერთი სპორტსმენი აღზარდა, ისე, როგორც საერთოდ, მთელ სვანეთში. ეს მხარე მუდამ იყო ქართული სპორტის წყალუხვი შენაკადი.

დღემდე ზუსტად არავის დაუთვლია და აღუნუსხავს, არც შეუფასებია ჯეროვნად ქართულ სპორტში სვანეთის წვლილი. ვინმე თუ ამას მომავალში მაინც ითავებს და შეძლებს, დარწმუნებული ვიყოთ, უთუოდ გავხდებით შთამბეჭდავი სურათის მოწმენი. "კლდის ვეფხვის" **მიხეილ ხერგიანის** მშობლიური მხარე, რომ მსოფლიო ალპინიზმში ადგილს რჩეულთა ავანგარდში დაიმკვიდრებს, ეს თავისთავად. საქართველო მუდამ ამაყობდა სვენთიდან გზადალოცვილი მოჭიდავეებით (განსაკუთრებით ეს ძიუდოისტებზე ითქმის), მოკრივეებით, მოთხილამურეებით, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებით. ახალგზარდებისთვის გაუნელებელი სტიმული და ორიენტირი იყო დიდ სპორტში უფროსი თაობის წარმატებები.

ლატალის ზემოხსენებულ ცენტრში, რომელიც მთელმა სოფელმა თავის დროზე ბ. კახიანის თაოსნობით ააგო, დიდხანს მუშაობდა წარმატებით ბავშვთა სპორტული სექციები. წარსულ დროზე დღევანდელი გარემოება გვალაპარაკებს. დირექტორს მოვუსმინოთ: "*ადრე თუ 300-მდე მოზარდი მეცადინეობდა სპორტულ სექციებში, ახლა ეს რიცხვი რამდენიმე ათეულზე დავიდა. გაურკვეველ ვითარებაში ვართ, დაფინანსება შეგვიწყდა, მოძველდა ინვენტარი, ველარ მივდივართ შეჯიბრებებზე*".

... ხვალ დილით ადრე მოგიწევთ ადგომა - მაფრთხილებს ვალერი ფარჯიანი. მიზეზიც ამიხსნა - ტრამპლინსაც ვნახავთ და აისის ფონზე თეთნულდის ხილვას არაფერი სჯობსო.

საბედნიეროდ, ის დღეც მზიანი გათენდა. მაპატიოს მასპინძელმა, მაგრამ ტრამპლინი და თეთნულდი ერთად რომ არ მენახა იმ დილით, ალბათ, აჯობებდა. რამდენადაც ენით აუწერლად ლამაზი იყო აისის თეთნულდი, იმდენად გულსაკლავად გამოიყურებოდა მფრინავ მოთხილამურეთა ტრამპლინი - გაძარცვული, გასაცოდავებული, გაუერანებული, ყველასგან მიგდებულ-მივიწყებული. არადა, დრო იყო, სვანეთი და, განსაკუთრებით ეს ადგილი ლატალში, ბაკურიანის შემდეგ, სამთოსათხილამურო სპორტის პერსპექტიულ კერად იყო მიჩნეული. განვითარების გეგმაც არსებობდა. ბუნებამ თითქოს საგანგებოდ დაგვაჯილდოვა მფრინავი მოთხილამურეებისთვის ამ უნიკალური გარემოთი. ადგილობრივებს იმედი არ დაუკარგავთ, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა ითავოს და მიხედოს. ეს ვინმე შეუძლებელია შემთხვევითი ორგანიზაცია ან პიროვნება იყოს. მას თავისი სახელი ჰქვია - ფედერაცია. მაგრამ საქართველოში ასეთი ფედერაცია არ არსებობს. არ შეგვეშალოს, ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაცია, რომელიც ურთულეს პრობლემებს დიდი ძალისხმევით ართმევს თავს, აქ არაფერ შუაშია. მფრინავ მოთხილამურეთა ფედერაცია უნდა შექმნილიყო დამოუკიდებლად, ამის მცდელობა იყო, მაგრამ არ დაადგა საშველი, დრო კი ულმობლად მიდის და ერთ დროს ნაოცნებარი ხსოვნაში ილექება.

რაც შეეხება სამთომეთხილამურეობას, ახლა, როცა სვანეთში წესრიგი სრულად აღსდგა, რეალური ნაბიჯების გადადგმას წინ აღარაფერი უნდა დაუდგეს. მით უფრო, რომ ახლა ყველაფერი კეთდება რეგიონში სამთო ტურიზმის გასავითარებლად.

ერთსულოვნების სასიკეთო შედეგებში ისტორიულად მრავალგზის დარწმუნებულან ლატალელები. ზემო სვანეთში, საერთოდ, ჭირს ღია სპორტული მოედნებისთვის ხელსაყრელი ადგილის მოძიება. არც ლატალია გამონაკლისი, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს აქაურებმა ოცნების ასრულება - სოფლის ცენტრში შეუფერებელი ადგილი შესაფერისად თავდადებული ერთსულოვნებით აქციეს. ჩვენ შევესწარით ამ პროცესს, დარჩენილია კომპლექსური სარბიელის ბოლო სამუშაოები, განათებაც დამონტაჟდება. თუმცა სვანეთში ყველას აქვს იმედი, რომ ხელისუფლება ამ მხარისთვისაც მოიცლის და არა მხოლოდ ახალი სპორტული ბაზების გაშენებასა და ძველის კეთილმოწყობას მიხედავს, არამედ, საერთოდ, სპორტის განვითარებასაც.

არაფერია იმაში გასაოცებელი, სვანეთის მოსახლეობა გულდაწყვეტით რომ ლაპარაკობს სპორტში ტრადიციებისადმი უყურადღებობაზე. კატასტროფულად შემცირდა საქართველოს პირველობებსა და საერთაშორისო სარბიელზე სვანეთის წარმომადგენელთა მონაწილეობა. ძველმა კადრებმა სხვა გზა აირჩიეს ან უმუშევრები დარჩნენ, ვითარებისა და მათი ბედის შემხედვარე ახალგაზრდობასაც აღარ აქვთ სურვილი, მიიღონ სპორტში სპეციალური განათლება. სვანეთში დაჩქარებით სპორტის აღორძინებისთვის, კომპლექსური ღონისძიებებიდან, პროპაგანდისტული თვალსაზრისით, უპირველესად, უნდა დაიგეგმოს, როგორც რეგიონული, თუნდაც საქარველოს პირველობები, ისე ამხანაგური შეხვედრები. ადრე მთელ რიგ სირთულეებთან თუ იყო ეს სურვილი დაკავშირებული, ახლა ვითარება ხელსაყრელია - ამუშავდა საოჯახო სასტუმროები, სულ მალე მესტიის რაიონულ ცენტრში კი აეროპორტის მშენებლობა დასრულდება.

სვანეთი სპორტის დაბრუნების მოლოდინშია...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**
მესტია-თბილისი
ავტორის ფოტოები



სოფელი ლატალი. ახალი სპორტული მოედნის მშენებლობაზე

ცხენოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი

# გამოცდა კავკასიის თასის წინ

თბილისის იპოდრომი ჯერ ისევ იპოდრომობს. ცხენთსარბიელზე, იქ, სადაც დაბრკოლებათა გადალახვაში მხედრები ერთმანეთს ათეული წლებია ეჯიბრებიან, გასულ შაბათ-კვირას საქართველოს პირველობა გათამაშდა. ეს მოხდა ზუსტად ერთი კვირის თავზე, მას შემდეგ, რაც სამტრედიამ ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში ქვეყნის ჩემპიონატს უმასპინძლა. ორივე ასპარეზობას შემწე-მეოხედ მოევლინა თბილისის იპოდრომის ჟოკეი-კლუბი. თანადგომა სულაც არ იყო მოჩვენებითი, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე. არ იყო იმიტომ, რომ სპონსორი გარედან არ მოსულა, იმავე სამყაროდანაა და სხვებზე უკეთ ესმის, თუ რა ხდება ჩვენი ცხენოსნობის შიდა სამზარეულოში, რის კენაა მიმართული შემწეობა და მიზნად რას ისახავს. ასე რომ, საქმე არ ეხება ერთჯერად დახმარებას. თანამშრომლობა ცხენოსნობის ორივე ეროვნულ ფედერაციასთან გაგრძელდება და უფრო დაიხვეწება.

დაბრკოლებათა გადალახვაში ზემოხსენებული ეროვნული ჩემპიონატის გეოგრაფია, თუმცა მხოლოდ თბილისით შემოიფარგლა, მნიშვნელოვანი მაინც იმითაა, რომ მემკვიდრეობითობა არ წყდება. სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავს ხაზგასმით წარსულში ცნობილი მხედარი, სპორტის ოსტატი, **ალექსანდრე დგებუაძე,** რომელიც თითქმის უცვლელად მდივნობს ჩვენში საცხენოსნო შეჯიბრებებს. ბატონმა ალექსანდრემ გვითხრა, რომ ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში (სხვაგვარად საერთაშორისოს ან ოლიმპიურსაც უწოდებენ) საქართველოს პირველობები კომპლექსურად (დაბრკოლებათა გადალახვა, სამჭიდი, ცხენის გაწვრთნის უმაღლესი კლასი) ტარდებოდა 1940 წლიდან მოყოლებული. 1993 წლიდან კი დაბრკოლებათა გადალახვაში ცალკე იმართება შეჯიბრება. იგი მოიცავს რამდენიმე პროგრამას ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ცხენებისთვის.

ზემოთ ითქვა, ამჟამად ჩემპიონატში მხოლოდ თბილისელები მონაწილეობდნენო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძირითად საცხენოსნო კერად კვლავ დედაქალაქი რჩება. მაგრამ გაჩნდა თუ არა იპოდრომის გასხვისებით, ტრადიციის მოშლის საშიშროება? რაც ცხენსა და ცხენოსნობას შეეხება, არა! ვეტერან მხედარს **აკაკი მანჯავიძეს** ლისის ტბაზე მშენებარე იპოდრომი მოუნახულებია და აღფრთოვანებას ვერ მალავდა - ყველაზე თანამედროვე და კეთილმოწყობილი თავლები იგებაო.

თბილისში, იპოდრომზე არც ცხენთა სულადობა შემცირებულა, არც მხედართა მომზადების პროცესი შეწყვეტილა. ეგაა, განათლების სკოლა გაუქმდა (იმედია, არ გაგიკვირდებათ!), ცხენები იქვე, შსს-ს საცხენოსნო ესკადრონს გადაეცა ბალანსზე. სკოლის სპეციალისტები კი, ძირითადად, კერძო მფლობელთა მერნების წვრთნითა და ახალგაზრდა სპორტსმენების მომზადებით დაკავდნენ. რაკი თბილისი ცხენოსნობის ცენტრად მოვიხსენიეთ, ისიც უნდა ითქვას, თუ ვინ ქმნის მას. ტრადიციულად ესაა საცხენოსნო ესკადრონი (უწინდელი საცხენოსნო სპორტული ბაზა), ჟოკეი-კლუბი, თვით იპოდრომი თავისი ცხენ-მხედრებითა და ცხენთა კერძო მფლობელებით. მწვრთნელებიდან საქმის სიყვარულით მართლაც რომ ერთმანეთის მჯობნი არიან **გელა ტატანაშვილი, მარდონ ლაბაშია, ზურაბ დუნდუა, ოთარ ნარმანია, ალეკო კორინთელი...** მაგრამ, აი, შეგირდთა მიღწევებით, ჩვენს რეიტინგში, ამ ჩემპიონატის შემდეგ ლიდერობს გელა ტატანაშვილი (იპოდრომი), რომლის მონაფეებმა ახლა ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს.

როგორც წესი, შეჯიბრება ახალგაზრდა მერნებისთვის "გახსნის პრიზის" გათამაშებით დაიწყო. გამარჯვებულიცა და პრიზიორებიც იპოდრომის ცხენ-მხედრები აღმოჩნდნენ: 1. **გიორგი აფციაური** (ცხენი "გედი"), 2. **ივანე ნორაკიძე** ("ეროსი"), 3. **შალვა გაჩეჩილაძე** ("ხალი"). "დიდ პრიზზე" კი თანაგუნდელებს - გამარჯვებულ ნორაკიძესა და მეორე პრიზიორ აფციაურს, საპატიო კვარცხლბეკზე **როინ მარგიანი** (ცხენი "ზეცა", ესკადრონი) ამოუდგა გვერდით, როგორც მესამე პრიზიორი. რაც შეეხება ძირითადი ცხენებით ასპარეზობას "გახსნის პრიზზე", აქ ყველას შალვა გაჩეჩილაძემ და მისმა "ასპარეზმა" აჯობა, მეორე იყო მისვე თანაგუნდელი **გიორგი თოხაძე** ("სულგრძელი"), მესამე - **გოჩა ჯალაღონია** კერძო მფლობელის "ბრაუნით". იპოდრომის წარმომადგენლების გამარჯვებით დასრულდა ყველაზე ავტორიტეტული ჯილდოს - "დიდი პრიზის" გათამაშებაც. ჩემპიონი მხოლოდ დამატებითმა ხტომებმა გამოავლინა და ეს კვლავ შალვა გაჩეჩილაძე იყო, რომელმაც ოქროს მედლისთვის დავაში თანაკლუბელ ივანე ნორაკიძეს აჯობა, მესამე ადგილი ხვდა წილად გიორგი თოხაძეს. ეს მხედარი ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო და, როგორც ნახეთ, დებიუტანტმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

გარდა ტრადიციული დიპლომ-მედლებისა, გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა ჯილდოდ სპონსორის მიერ დაწესებული 3 000 ლარიც გაინაწილეს.

"*ვფიქრობთ, ჩემპიონატმა გაამართლა. დიდი დრო აღარ რჩება საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებული "კავკასიის თასის" ტრადიციულ გათამაშებამდე. ეს შეჯიბრება ხსენებული ტურნირის წინმსწრები იყო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სპორტული, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით*", - გვითხრა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა ლაშა ჯაიანმა.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**



ავტორის ფოტო

მარცხნიდან: ივანე ნორაკიძე, შალვა გაჩეჩილაძე და გიორგი აფციაური

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ხელბურთელის, სპორტის ოსტატ

**ედუარდ ხინჩიგაშვილის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

**ავთანდილ კორინთელი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



მთელი ფიჯი, დიდი თუ პატარა, მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობს

# ფიჯი, შოტლანდია და არგენტინა

| მეოთხედფინალი | |
|---|---|
| 6 ოქტომბერი, 17:00, მარსელი | ავსტრალია-ინგლისი |
| 6 ოქტომბერი, 23:00, კარდიფი | ზელანდია-საფრანგეთი |
| 7 ოქტომბერი, 17:00, მარსელი | სამხ. აფრიკა-ფიჯი |
| 7 ოქტომბერი, 23:00, სენ დენი | არგენტინა-შოტლანდია |

შაბათს მსოფლიო თასზე ერთი სენსაცია მოხდა. ფიჯიმ ნანტში 38:34 დაამარცხა უელსი და ჯგუფში ჩატოვა. თუმცა ყველაფერი ფარდობითია და სჯობს, ამ შედეგს მოულოდნელი დავარქვათ. აქამდე ფიჯიც გასულა მეოთხედფინალში (1987 წელს) და უელსიც ჩარჩენილა ჯგუფში: პირველად 1991 წელს, როცა სამოასთან წააგო (აი ეს კი უდიდესი სენსაცია იყო); ამ წაგების გამო უელსი 1995 წელს მესამე ნომრად განთესეს ჯგუფში და ირლანდიასთან წაგების შემდეგ კიდევ ერთხელ ვერ გავიდა პლეიოფში. გარდა ამისა, 1999 წელს უელსი უკვე საკუთარ მოედანზე დამარცხდა სამოასთან და ჯგუფიდან საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსით გააღწია (მაშინ განსხვავებული ფორმატი იყო). ასე რომ, თავად განსაჯეთ, მოხდა თუ არა ნანტში სენსაცია.

**სტივენ ჯოუნზის** ერთ გატანილი და ერთი აცილებული საჯარიმოს შემდეგ, ფიჯიმ 10-წუთიან მონაკვეთში სამი ლელო გაიტანა და ძალიან დაწინაურდა - 25:3, 25-ე წუთზე. 34-ეზე **ალიქს პოპემმა** შეამცირა სხვაობა (10:25), ტაიმის ბოლო წუთზე კი ფიჯელი **აკაპუსი ქერა** გაუშვეს სინბინში. მართალია, აქვე **ჯეიმზ ჰუკმა** ჯარიმა ააცილა, მაგრამ ქერას მოედანზე დაბრუნების შემდეგ, 51-ე წუთზე, წინ უკვე უელსი იყო - 29:25, სამი ლელოს შემდეგ. მომდევნო 10 წუთში **ნიკი ლითლმა** 3-დან 2 საჯარიმო გაიტანა და ფიჯი ისევ დააწინაურა - 31:29.

უელსმა თითქოს გარდატეხა თამაში - 73-ე წუთზე **მარტინ ვილიამსმა** გაიტანა ლელო - 34:31. ჯოუნზმა ვერ გარდასახა და საერთოდ, უკეთ რომ ერტყა, მის გუნდი ალბათ მოიგებდა, მაგრამ... თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ბურჯმა **გრეემ დუისმა** უელსის ლელოსთან ახლოს გამართულ ზედახორაში ბურთი აილო და ხაზსიქით გადადება მოახერხა. **ნიკი ლითლმა** გარდასახა - 38:34, თუმცა დარჩენილ დროში ტრავმა მიიღო და მეოთხედფინალში, სამხრეთი აფრიკის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

ამით კელტური სამეულის ერთი წევრი გავარდა. მეორეს, ირლანდიას, კვირა საღამოს უწევდა ჩემპიონატთან დამშვიდობება, დარჩა შოტლანდია, რომელმაც იტალიელებთან ბეწვის ხიდზე გაიარა.

შოტლანდიელებმა მხნედ დაიწყეს და პირველივე ორი შეტევა საჯარიმოებით დააგვირგვინა **ქრის პატერსონმა** - 6:0. იტალია ძალიან დაბნეული ჩანდა და ამას ორ წუთში დაერთო **მაურო ბერგამასკოს** სინბინი. და აი ამ ათ წუთში "აძურიმ" 10 ქულა დააგროვა! **ბორტოლუსის** ჯარიმა და **რამირო პესის** ძალიან მაღალი აბრაგანი მეტოქის კარის ძელებთან: ბურთი იტალიელებს დარჩათ, ხოლო ზედახორიდან **ალესანდრო ტრონკონმა** თავად შეუტია - 10:6, იტალიის სასარგებლოდ.

ამის შემდეგ, ტაიმის ბოლომდე, როცა წვიმამ გადაილო, ძალიან ლამაზი, ღია თამაში გაჩაღდა, თუმცაღა, ლელო აღარ გასულა. **ქრის პატერსონმა** შესვენებამდე ისევ მოასწრო თავისი გუნდის წინ გაყვანა - 12:10. მისი მომდევნო ორი დარტყმის შემდეგ, 53-ე წუთზე ანგარიში 18:10 გახდა. საბოლოოდ, სწორედ პატერსონმა მოაგებინა შოტლანდიას 6-დან 6 ზუსტი დარტყმით, ბორტოლუსიმ კი 3 საჯარიმო ვერ გაიტანა შორიდან და ერთი არეკნიც - **ანდრეა მაზიმ**.

მომდევნო 10 წუთში უკვე **დავიდ ბორტოლუსიმ** დაარტყა ორჯერ ზუსტად - 16:18. კულმინაცია დადგა 77-ე წუთზე, როცა ბორტოლუსი 50 მეტრიდან ურტყამდა, კარს თავისუფლად უნია, მაგრამ ოდნავ ააცილა. ბოლო წუთებში ბურთი იტალიას ჰქონდა, მაგრამ მეტოქის ნახევარზე, თუნდაც საარეკნე დისტანციამდე, ვერ გადავიდა. სულ ბოლოს კი **ტრონკონმა** ბურთი ფეხით გადაკიდა, **ლემონმა** კი დაიჭირა და კიდის ხაზზე გადასრიალდა.

კვირას კი არგენტინა-ირლანდიის ჯერი დადგა. ირლანდიას ქულების მხოლოდ 5-0 გამარჯვება აწყობდა, რაც რეალურ საქმედ არ ჩანდა. ირლანდია ერთადერთხელ, 32-ე წუთზე, **ბრაიან ოდრისკოლის** ლელოს შემდეგ დაწინაურდა - 10:8, თუმცა ტაიმი მაინც არგენტინამ მოიგო (18:10) და 43-ე წუთზე 21:10 დაწინაურდა.

და უცებ, 47-ეზე გრძელ ფრთაზე შეტევის პირველივე ფაზაში **ოდრისკოლმა** ვირტუოზულად შექმნა მეტობა - **ჯორდან მერფიმ** ლელო გაიტანა და **ოგარამ** კი ვერ გარდასახა, მაგრამ აღმოჩნდა რომ ირლანდიას უკვე ასე თუ ისე რეალური პლაცდარმი ჰქონდა მიზნის მისაღწევად - 15:21, ორი ლელო უკვე გატანილია და ორსაც თუ გაიტან - უკვე ქულათა სასურველი სხვაობა გექნება ხელთ (29:21, ირლანდიის ოთხი ლელოთი, 5-0!).

მაგრამ, ეგ მხოლოდ სათქმელად და დასაწერადაა ადვილი. დარჩენილ 33 წუთში ირლანდიამ ვერაფერიც ვერ მოახერხა - **ერნანდესმა** და **ფელიპე კონტეპომიმ** არეკნებით, საჯარიმოებითა და ვირტუოზული აბრაგან-შეგორებებით ადვილად დააშამათეს ირლანდია. არგენტინა მეოთხედფინალში ადრეც გასულა, მაგრამ ახლა ნახევარფინალამდე მიღწევის რეალური შანსი აქვს!



იგნასიო კორლეტო (არგ) და იოან რედანი (ირლ)

### 29 სექტემბერი. ტულუზი. C
### ზელანდია-რუმინეთი 85:8

ზელ: (15-9) ევანსი, როკოთოკო, ტოეავა, მეიჯერი, სივივატუ (სმითი 61), მაკალისტერი (ჰაულიტი 55), ელისი (ლეონარდი 59); (1-8) ტიალატა, მეალამუ (ჰორი 62), სამერვილი, სორნი, რობინსონი (ჯეკი 55), კოლინზი, მასოი (მაქლოუ 55), ლაუაკი - *13ლ (სივივატუ 2, მასოი, როკოთოკო 3, ევანსი, მეიჯერი, ტოეავა 2, ჰორი, სმითი, ჰაულიტი), 10გ (მაკალისტერი 4, ევანსი 6)*

რუმ: (15-9) დუმიტრაში (ვლაიკუ 61), ჩუნტუ, გალი, გონტინიაკი (დასკალუ 70), ბრეზოიანუ, დიმოფტე, სირბუ (კალაფეტიანუ 62); (1-8) ბალანი (ფლორია 57), ტინკუ (მავროდინი 53), ფლორია (იონი 53), სოკოლი, პეტრე, კოროდიანუ (რაციუ 48), მანტა (ურსაკე 67), ტონიცა - *ლ (ტინკუ), ს (ვლაიკუ)*

### 29 სექტემბერი. ბორდო. B
### ავსტრალია-კანადა 37:6

ავს: (15-9) ლეითემი, შეპერდი, ტუკირი, ეშლი-კუპერი, მიჩელი, ჰაქსლი, კორდინგლი (გრეგანი74); (1-8) ჰოლმსი, ფრეიერი (ჰარდმენი 60), ბაქსტერი, შარპი (ვოო 72), ჩიზჰოლმი, მაკმენიმენი, სმითი, ლაიონზი (ჰოილზი 46) - *6ლ (ბაქსტერი, ფრაიერი, სმითი, მიჩელი 2, ლეითემი), 2გ (შეპერდი), ს (ჰაქსლი)*

კან: (15-9) ფანდერმერვე (ფერჰერსტი 75), მენსა-კოკერი, პაიკი, დეიპაკი (ტრენკელი 67), პრიჩარდი, მონრო, ვილიამსი; (1-8) სნოუ (დ.ფლეჩი 54-73), რიორდანი (კარპენტერი 46), თიელი, ტეიტი, ჯეიმზი (ბურაკი 64), იუქსი (მ.ფლეჩი 64), ბიდლი, სტივენი (ვები 54) - *2ს (პრიჩარდი)*

### 29 სექტემბერი. ნანტი. B
### უელსი-ფიჯი 34:38

უელ: (15-9) გ. თომასი, მ. ჯოუნზი, შენკლინი, ჰუკი, შ. ვილიამსი, ს. ჯოუნზი, პილი (ფილიპსი 58); (1-8) ჯენკინსი, რისი (რისთომასი 47), ჰორსმენი (დან. ჯოუნზი 65), ა.-ვ. ჯოუნზი, ი. ევანსი (გაფი 65), ჩარვისი, მ. ვილიამსი, პოპემი (ოუენი 65) - *5ლ (პოპემი, შ.ვილიამსი, გ.თომასი, მ.ჯოუნზი, მ.ვილიამსი), 3გ (ჰუკი, სტ.ჯოუნზი 2), ს (ს.ჯოუნზი)*

ფიჯ: (15-9) რატუვოუ, დელასაუ, რაბენი (ლიგაირი 67), ბაი, ნეივუა (ბობო 52), ლითლი (დაუნივუკუ 80), რაულუნი (კაპ); (1-8) დუისი, კოტო (საუტურაგა 77), რაილომო (ქიოდრავუ 54), ლეავერე, რაუაკა, ნაევო, ქერა სბ 40 (რატუვა 74), კოიამაიბოლე - *4ლ (ქერა, დელასაუ, ლეავერე, დუისი); 3გ,4ს (ლითლი)*

| B ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 4 | 4 | 0 | 0 | 215-41 | 4 | 20 |
| ფიჯი | 4 | 3 | 0 | 1 | 114-136 | 3 | 15 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 168-105 | 4 | 12 |
| იაპონია | 4 | 0 | 1 | 3 | 64-210 | 1 | 3 |
| კანადა | 4 | 0 | 1 | 3 | 51-120 | - | 2 |

### 29 სექტემბერი. სენტ-ეტიენი. C
### შოტლანდია-იტალია 18:16

შოტ: (15-9) რ. ლემონი (საუსველი 35), შ. ლემონი, ვებსტერი, დუი (ჰენდერსონი 60), პატერსონი, პარქსი, ბლერი (კაზიტერი 72); (1-8) ქერი (სმითი 65), ფორდი, ი. მარი, ჰაინსი სბ 55, ჰემილტონი (მაკლიოდი 72), ვაითი, ჰოგი (ბრაუნი 70), ტეილორი - *6ს (პატერსონი)*

იტა: (15-9) ბორტოლუსი, რობერტსონი, კანალე, მირკო ბერგამასკო, მაზი (გალონი 79), პესი, ტრონკონი; (1-8) პერუჯინი (ლოჩიჩერო 49), ფესტუჩა (ონგარო 54), კასტროჯოვანი, დელაპე, დელფავა, სოული, მაურო ბერგამასკო სბ 8, პარისე - *ლ (ტრონკონი); გ,3ს (ბორტოლუსი)*

| C ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 309-35 | 4 | 20 |
| შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 116-66 | 2 | 14 |
| იტალია | 4 | 2 | 0 | 2 | 85-117 | 1 | 9 |
| რუმინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 40-161 | 1 | 5 |
| პორტუგალია | 4 | 0 | 0 | 4 | 38-209 | 1 | 1 |

### 30 სექტემბერი. პარიზი. D
### ირლანდია-არგენტინა 15:30

ირლ: (15-9) მერფი, ჰორგანი, ოდრისკოლი, დარსი, ჰიკი (დაფი 71), ოგარა, რედანი (ბოსი 66); (1-8) ჰორანი, ფლენერი (რ.ბესტი 65), ჰეიესი, ოკალაჰანი (ოკელი 65), ოკონელი, ისტერბი, დ. ვოლისი (ნ. ბესტი 65) ლიმი - *2ლ (ოდრისკოლი, მერფი); გ,ს (ოგარა)*

არგ: (15-9) კორლეტო, ბორხესი, მ. კონტეპომი (სენილიოსა 71), ფ. კონტეპომი, აგულა, ერნანდესი, პიშო (კაპ); (1-8) რონსერო, ლედესმა (ვერნეტი 79), სკელსო (ჰასანი 77), ი. ფერნანდეს-ლობე (ალვარესი 55), ალბასეტე, ოსტილია (დურანი 62), ხ. ფერნანდეს-ლობე, ლონგო - *2ლ (ბორხესი, აგულა); გ,3ს (ფ.კონტეპომი), 3ა (ერნანდესი)*

| D ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 4 | 4 | 0 | 0 | 143-33 | 2 | 18 |
| საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 188-37 | 3 | 15 |
| ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 64-82 | 1 | 9 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 50-111 | 1 | 5 |
| ნამიბია | 4 | 0 | 0 | 4 | 30-213 | - | 0 |

### 30 სექტემბერი. მონპელიე. A
### სამხ. აფრიკა-აშშ 64:15

აფრ: (15-9) მონტგომერი (პინარი 67), ნდუნგანე, ფური, შტაინი (პრეტორიუსი 67), ჰაბანა (პიტერსანი 53), ჯეიმზი, დუპრე; (1-8) დურანი (დუპლესი 72), ჯ.სმითი, ბრ. ბოთა (ფანდერლინდე 25), ფანდენბერხი (ბოთა 56), მეტფილდი, ფანჰირდენი (სკინსტადი 71), ჟ. სმითი, ბურხერი - *9ლ (ბურხერი, შტაინი, ჰაბანა 2, ფანდერლინდე, დუპრე, ფური 2, ჟ.სმითი), 8გ (მონტგომერი 6, ჯეიმზი 2), ს (მონტგომერი)*

აშშ: (15-9) ვაილსი (მალიფა 75), ნგვენია, ელოფი, ესიკია, სიკა (პალამო 75), ჰერკასი, ერსკინი (პეტრი 75); (1-8) მაკდონალდი (მოაეიკოლა 49), ლენცი (ბარდეტი 75), ოსენტოვსკი, პარკერი, მანგანი, სტენფილი (ბლუმფილდი 75), ქლევერი სბ 24, პეინი (ეილორი 75) - *2ლ (ნგვენია, ვაილსი); გ,ს (ჰერკასი)*

| A ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს.აფრიკა | 4 | 4 | 0 | 0 | 189-47 | 3 | 19 |
| ინგლისი | 4 | 3 | 0 | 1 | 108-88 | 2 | 14 |
| ტონგა | 4 | 2 | 0 | 2 | 89-96 | 1 | 9 |
| სამოა | 4 | 1 | 0 | 3 | 69-143 | 1 | 5 |
| აშშ | 4 | 0 | 0 | 4 | 61-142 | 1 | 1 |

| ბომბარდირები | თ | ქ | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს.აფრ) | 4 | 67 | 2 | 15 | 9 | - |
| ფელიპე კონტეპომი (არგ) | 4 | 53 | 1 | 6 | 12 | - |
| ნიკ ევანსი (ზელ) | 3 | 50 | 2 | 20 | - | - |
| პიერ ჰოლა (ტონგა) | 4 | 44 | - | 7 | 10 | |
| ნიკი ლითლი (ფიჯი) | 3 | 42 | - | 9 | 8 | - |
| ჟან-ბატისტ ელისალდი (საფ) | 3 | 42 | 1 | 11 | 5 | - |
| ქრის პატერსონი (შოტლ) | 4 | 41 | 1 | 9 | 6 | - |
| ჯონი ვილკინსონი (ინგ) | 2 | 40 | - | 5 | 6 | 4 |
| მეტ გიტო (ავს) | 3 | 40 | 3 | 8 | 3 | - |
| დრიუ მიჩელი (ავს) | 4 | 35 | 7 | - | - | - |
| დავიდ ბორტოლუსი (იტა) | 4 | 32 | - | 4 | 8 | - |
| სტირლინგ მორტლოკი (ავს) | 2 | 32 | 1 | 9 | 3 | - |
| დან კარტერი (ზელ) | 2 | 32 | 1 | 9 | 3 | - |
| სტივენ ჯოუნზი (უელსი) | 4 | 31 | - | 11 | 3 | - |
| დაგ ჰაულიტი (ზელ) | 3 | 30 | 6 | - | - | - |
| შეინ ვილიამსი (უელსი) | 4 | 30 | 6 | - | - | - |
| ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ) | 4 | 30 | 6 | - | - | - |
| ლოკი კრიჩტონი (სამ) | 4 | 27 | - | 3 | 7 | - |
| მაიკ ჰერკასი (აშშ) | 4 | 26 | - | 4 | 6 | - |
| ვენსან კლერი (საფ) | 3 | 25 | 5 | - | - | - |
| ქრის ლეითემი (ავს) | 4 | 25 | 5 | - | - | - |
| ჯო როკოთოკო (ზელ) | 2 | 25 | 5 | - | - | - |
| ლიონელ ბოსი (საფ) | 3 | 24 | 1 | 5 | 3 | 0 |
| შოტარო ონიში (იაპონია) | 3 | 24 | - | 3 | 6 | - |
| ჯეიმზ ჰუკი (უელსი) | 4 | 23 | 1 | 3 | 4 | - |
| მერაბ კვირიკაშვილი (საქ) | 4 | 23 | - | 4 | 5 | - |
| გევინ ვილიამსი (სამოა) | 2 | 22 | 1 | 1 | 5 | - |
| ჯეიმზ პრიჩარდი (კან) | 4 | 21 | - | 3 | 5 | - |

### მელელოვეები

**7** - დრიუ მიჩელი (ავს)

**6** - ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ), დაგ ჰაულიტი (ზელ), შეინ ვილიამსი (უელ)

**5** - ვენსან კლერი (საფ), ჯო როკოთოკო (ზელ), ქრის ლეითემი (ავს)

**4** - პოლ საკი (ინგ), რორი ლემონი (შოტ), სიტივენი სივივატუ (ზელ)

**3** - ჟუან სმითი, ჟაკ ფური, ჯეიპი პიტერსენი (ს.აფრ), ლუკას ბორხესი (არგ), მარტინ ვილიამსი (უელ), ისაია ტოეავა, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, აარონ მეიჯერი, კონრად სმითი (ზელ), ალისტერ ჰოგი (შოტ), მეტ გიტო, როკი ელსომი (ავს), კელე ლეავერე, აკაპუსი ქერა (ფიჯი), მარიუს ტინკუ (რუმ), ლიონელ ნალე (საფ)

**2** - ბრაიან ოდრისკოლი (ირლ), მარტინ ქორი (ინგ), ალუნ-ვინ ჯოუნზი (უელ), ვილიმონი დელასაუ, კამელი რატუვოუ (ფიჯ), ენდრიუ ჰორი, ქრის მასოი, ნიკ ევანსი, ალი ვილიამსი (ზელ), ჯორჯ სმითი, ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, ადამ ფრაიერი (ავს), ჟულიენ ბონერი, ქრისტოფ დომინისი, სებასტიან შაბალი (საფ), ხუან ლეგისამონი, იგნასიო კორლეტო (არგ), კოსუკე ენდო, ლუკ თომპსონი (იაპ), რუან პინარი, პერსი მონტგომერი (ს.აფრ), ანდრეა მაზი (იტა), სუკანაივალუ ჰუფანგა, ვილიამი ვაკი (ტონ), ტაკუძვა ნგვენია, ლუის სტენფილი (აშშ)

**ჭადრაკი**

## ანანდი ახალი ჩემპიონია

XIII ტური. **კრამნიკი** (რუსეთი)-**გელფანდი** (ისრაელი) - 0.5:0.5; 1:0; **ლეკო** (უნგრეთი)-**მოროზევიჩი** (რუსეთი) 1:0; **გრიშჩუკი** (რუსეთი)-**ანანდი** (ინდოეთი) - 0.5:0.5; **არონიანი** (სომხეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) - 0.5:0.5.

ბოლო ტური. **არონიანი** (სომხეთი)-**კრამნიკი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **მოროზევიჩი** (რუსეთი)-**გელფანდი** (ისრაელი) - 0.5:0.5; **ლეკო** (უნგრეთი)-**ანანდი** (ინდოეთი) - 0.5:0.5; **სვიდლერი** (რუსეთი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) - 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: 1. **ანანდი** - 9 ქულა; 2. **კრამნიკი** - 8; 3. **გელფანდი** - 8; 4. **ლეკო** - 7.5; 5. **სვიდლერი** - 6.5; 6. **მოროზევიჩი** - 6; 7. **არონიანი** - 6; 8. **გრიშჩუკი** - 5.5.

**კალათბურთი**

## პრაისი მემფისის მწვრთნელი გახდა

"მემფის გრიზლისის" საწვრთნელ შტაბში მატებაა. ამიერიდან, ამ გუნდის კალათბურთელებს სროლაში "კლივლენდის" ყოფილი მცველი **მარკ პრაისი** გაავარჯიშებს.

ამ უკანასკნელის მწვრთნელად მიწვევა გასაგებია. პრაისი NBA-ის ისტორიაში პირველ ადგილს იკავებს საჯარიმო სროლების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლით.

## ოლიმპიაკოსმა უებერს დაუძახა

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა ტელეკომპანია ESPN-მა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ბერძნულმა გრანდმა "ოლიმპიაკოსმა" "დეტროიტ პისტონზის" მძიმე ფორვარდს, **კრის უებერს** მრავალმილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა. ვეტერანმა კალათბურთელმა უახლოეს ორ დღეში უნდა უთხრას საბოლოო პასუხი ბერძნულ მხარეს.

NBA-სთან დაკავშირებულმა ორმა წყარომ ESPN-ს აცნობა, რომ "ოლიმპიაკოსი" უებერს ორი წლით ეპატიჟება და ამ ხნის განმავლობაში, მას 12 მილიონ დოლარს გადაუხდის. თუ ამერიკელი ამ წინადადებას დათანხმდება, ევროპაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელის სტატუსს მიიღებს.

## სარკოზიმ პარკერი დააჯილდოვა

საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ** "სან ანტონიო სპურსის" ფრანგი გამთამაშებელი **ტონი პარკერი** საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა.

*"თქვენ საუკეთესოდ წარმოაჩენთ ჩვენს ქვეყანას და ამ ტიტულის ტარების ღირსი ხართ"*, - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

ცერემონიის დასრულების შემდეგ, პარკერმა სარკოზის "სან ანტონიოს" მაისურა გადასცა.

## მაკაბიში ბრაზილიელი ჩაირიცხა

თელ-ავივის "მაკაბიმ" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიელ მცველ **ალექს გარსიასთან**. "ყვითლების" მწვრთნელმა **ოდედ კატაშმა** ეს კალათბურთელი ამერიკის ჩემპიონატის დროს შეამჩნია. გარსია 27 წლისაა და მისი სიმაღლეა 189 სანტიმეტრი. ლას ვეგასში გამართულ პირველობაზე, ეს მცველი საშუალოდ 7 ქულასა და 1.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

ბრაზილიელს NBA-ში თამაშის ("ნიუ ორლეანი", "სან ანტონიო") მცირე გამოცდილება გააჩნია, ევროპაში კი, პირველად მოუწევს გამოსვლა.

## კლივლენდმა პავლოვიჩის შემცვლელი იპოვნა?

"კლივლენდ კავალიერსმა" მცველი **დევინ ბრაუნი** დაიმატა, რომელიც შარშან "ნიუ ორლეანის" (11.6 ქულა და 4.3 მოხსნა) შემადგენლობაში ირიცხებოდა.

როგორც ვარაუდობენ, 28 წლის კალათბურთელმა "კავალიერსის" რიგებში სერბი **საშა პავლოვიჩი** უნდა შეცვალოს. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ პავლოვიჩი ვერ მოელაპარაკა "კლივლენდს" ახალი კონტრაქტის თაობაზე და ამის გამო, კლუბის დატოვება აქვს განზრახული.

## ნეტსმა მცველი დაკარგა

"ნიუ ჯერსის" მცველი **მარკუს უილიამსი** დაახლოებით ექვსი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. "ნეტსის" ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშისას, უილიამსმა მარჯვენა ფეხის ძვალი მოიტეხა და როგორც ვარაუდობენ, მას რეგულარული ჩემპიონატის სტარტის გამოტოვება მოუწევს.

შარშან, მარკუსმა 79 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი 6.6 ქულასა და 3.3 შედეგიან გადაცემას შეადგენს.

**ჩოგბურთი**

## ივანოვიჩი მადრიდში წავა

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** ლუქსემბურგის ტურნირის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ, სეზონის შემაჯამებელ ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა. როგორც იცით, 2007 წლის დასკვნითი ტურნირი 6-11 ნოემბერს მადრიდში გაიმართება.

WTA-ს ჩემპიონთა რბოლაში დაგროვილი 2972 ქულის შემდეგ, ივანოვიჩი Sony Ericsson Championships-ის რიგით მეოთხე მონაწილე გახდა. უფრო ადრე, მადრიდში გამგზავრება **ჟუსტინ ანენმა** (ბელგია), **ელენა იანკოვიჩმა** (სერბეთი) და **სვეტლანა კუზნეცოვამ** (რუსეთი) გაინაღდეს.

## მერსედესი მამაკაცთა ტურს განუდგა

შაბათს, გერმანულმა კონცერნმა "მერსედეს-ბენცმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ აღარ აპირებს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) სპონსორობას.

მხარეებს შორის ურთიერთობა მომავალი წლის ბოლოს შეწყდება, როცა ამოიწურება 2009 წლის პირველ იანვრამდე გაფორმებული კონტრაქტი.

შეგახსენებთ, რომ "მერსედესი" 1996 წლიდან იყო ATP-ის მთავარი სპონსორი. როგორც კონცერნის წარმომადგენლები აცხადებენ, ამიერიდან, "მერსედესი" გოლფზე, ცხენოსნობასა და ფეხბურთზე გაამახვილებს ყურადღებას.

## კორეა წლეულს დაბრუნდება

დოპინგის მიღებაში მხილებული ცნობილი არგენტინელი ჩოგბურთელი **გილერმო კორეა**, რომელიც უკვე მეორე სეზონია არ ასპარეზობს ATP-ის ტურში, დისკვალიფიკაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, უკვე ამ წელს აპირებს კორტზე დაბრუნებას.

როგორც ჩოგბურთელის დროებითი მწვრთნელი **ალბერტო მანჩინი** ამტკიცებს, კორეა ინტენსიურად ვარჯიშობს და მზად არის კორტზე დასაბრუნებლად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. იაპონიის დიდი პრიზი

# ერთი ნაბიჯი ტიტულამდე



ჰემილტონი მეოთხე გამარჯვებას ზეიმობს

ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** გამარჯვებით დასრულდა ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მე-15 ეტაპი, იაპონიის დიდი პრიზი, რომელმაც სამეფო რბოლებს ბოლო 30 წელიწადში პირველად უმასპინძლა. რბოლაცა და საკვალიფიკაციო სესიაც წვიმის აკომპანიმენტით ჩატარდა, რის გამოც, რბოლა ერთგვარ ლატარეას დაემსგავსა.

წვიმის გამო, შეიქმნა იმის საშიშროება, რომ საკვალიფიკაციო სესია რბოლის წინ გადმოეტანათ. ამგვარი გადაწყვეტილება რბოლის ორგანიზატორებმა კვალიფიკაციისწინა მეორე თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ მიიღეს. ისინი იძულებულები იყვნენ, ეს პრაქტიკა ძლიერი წვიმის გამო გაეუქმებინათ და რომ არ გამოედარა, სათადარიგო გეგმის ამოქმედებაც მოუწევდათ.

რა თქმა უნდა, კვალიფიკაციაზე მთავარი მოვლენები მესამე სესიის მიწურულს განვითარდა. სესიის დრო რომ მიილია, საუკეთესო დრო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოს** ჰქონდა, მაგრამ ტრასაზე ჯერაც სწრაფ წრეზე მოძრაობდა ჰემილტონი, რომელმაც ბოლომ გადაკვეთა ფინიშის ხაზი და ესპანელ თანაგუნდელს 0.070 წამით აჯობა.

მოკლედ, ტრასაზე, რომელიც პირველად ხუთშაბათს იხილა, ჰემილტონმა ამ სეზონში და კარიერაშიც მეხუთე პოულ პოზიცია მოიპოვა. იმის გათვალისწინებით, რომ რბოლის დროს სინოპტიკოსები ძლიერ წვიმას წინასწარმეტყველებდნენ, პოული ჩემპიონატის ლიდერისთვის სერიოზული ფორა უნდა გამხდარიყო.

მესამე შედეგი "ფერარის" ფინელმა პილოტმა **კიმი რაიკონენმა** აჩვენა, ვინც იაპონიამდე ჯერაც ინარჩუნებდა ჩემპიონობის თეორიულ შანსს, რბოლის შემდეგ კი სანუკვარ მიზანს კიდევ უფრო დაშორდა, თუმცა გარკვეულ, მიზერულ შანსებს ჯერაც ინარჩუნებს.

მცირე სასწაული მოახდინა "ტორო როსოს" გერმანელმა პილოტმა **სებასტიან ფეტელმა**, ვინც კარიერაში პირველად შეძლო კვალიფიკაციის მესამე სესიაზე მონაწილეობა. სხვათა შორის, ფეტელმა რბოლის დროსაც ისახელა თავი, როცა ლიდერებმა ბოქსებს მიაშურეს და ის მცირე ხნით პელოტონს სათავეში ჩაუდგა.

სინოპტიკოსებს კი პროგნოზი გაუმართლდათ - რბოლის დაწყებამდეც კოკისპირულმა წვიმამ ტრასა გუბეებით გაავსო. ისე, სანამ რბოლა დაიწყებოდა, გუნდები სხვადასხვა წყაროებიდან აგროვებდენ ინფორმაციას ამინდის თაობაზე. არა, ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ კვირას იწვიმებდა, მაგრამ როდის, ამას ზუსტად ვერავინ ამბობდა.

რბოლის ორგანიზატორებმა ზედ რბოლის წინ დააზუსტეს ინფორმაცია ამინდის შესახებ და ეს ინფორმაცია გუნდებსაც აუწყეს. თან, ყველას ურჩიეს, რომ ბოლიდები ძლიერი წვიმის შესაფერისი საბურავებით ალეჭურვათ. მაგრამ, მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ინფორმაცია "ფერარის" არ მიუღია. შედეგად, ორივე წითელი ბოლიდი სტარტზე საშუალედო საწვიმარი საბურავით გავიდა, რაც მეტოქეებს დიდ უპირატესობას აძლევდა.

რა თქმა უნდა, "ფერარის" პერსონალი ჯერ კიდევ სტარტამდე მიხვდა, რომ ეს შეცდომა ძალიან ძვირი დაუჯდებოდა. მათაც სახელდახელო ტაქტიკეური მონახაზი შეადგინეს, რომელიც რბოლის დასაწყისშივე პირველ პიტსტოპს ითვალისწინებდა. ამ პიტსტოპის შემდეგ, ორივე "ფერარი" პელოტონი კუდში აღმოჩნდა.

რბოლის დაწყება პეისკარს ჩაბარდა, რომელმაც პელოტონი უსაფრთხო ტემპით 19 წრის განმავლობაში ატარა. სანამ ის საქმეს მორჩებოდა, "ფერარის" პილოტებმა ბოქსში მეორედ შესვლაც მოასწრეს. ყოველივეს მიუხედავად, რაიკონენმაც და მისმა ბრაზილიელმა თანაგუნდელმა **ფელიპე მასამაც** რბოლის ბოლოს საქულე ზონაში შეაღწიეს. უფრო მეტიც, ფინელმა პილოტმა კვარცხლბეკზე ასვლაც კი შეძლო.

პეისკარის გასვლის შემდეგ, ჰემილტონმა იოლად შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია. ხუთი წრის შემდეგ, ბოქსში იაპონელი **ტაკუმა სატო** შევიდა, რომლის "სუპერ აგურისაც" იქიდან გამოსვლისას, თან ცეცხლის ალიც გამოჰყვა. თუმცა, ცეცხლი მაშინვე ჩაქრა, როგორც კი ავზის გარეთ გადმოღვრილი საწვავი მთლიანად დაიწვა. სატო სერიოზულ ინციდენტსაც გადაურჩა და რბოლაც გააგრძელა.

27-ე წრეზე, ლიდერებიდან ბოქსებს პირველმა ალონსომ მიაკითხა. ერთი წრის შემდეგ, იგივე გზას ჰემილტონიც დაადგა. მაგრამ ტრასაზე დაბრუნებულებმა, შესაბამისად, მესამე და მერვე პოზიციები დაიკავეს. არადა, ბოქსში ორივემ თითქმის თანაბარი დრო დაჰყო.

შვიდი წრის შემდეგ, ინციდენტი ჰემილტონსაც შეემთხვა, რომლის ბოლიდსაც პოლონელ **რობერტ კუბიცას** "ბეემვე ზაუბერი" დაეჯახა. კუბიცამ შეუფერხებლად განაგრძო გზა, ჰემილტონს კი, ვინც დატრიალდა და ძლივს მოახერხა ტრასაზე დაბრუნება, ფინელმა **ჰეიკი კოვალაინენმაც** გაუარა.

ამ ინციდენტის პარალელურად, მსგავსი რამ შეემთხვა უკან მომავალ ალონსოსაც. მას ფეტელი დაეჯახა. მართალია, ორივე პილოტი ტრასაზე დარჩა, მაგრამ მოგვიანებით, ესპანელმა ასპარეზობა შეწყვიტა. ცოტა ხანში, ჰემილტონს კიდევ ორმა პილოტმა - **ჯანკარლო ფიზიკელამ** და ბრიტანელმა **დევიდ კულტჰარდმაც** გაუარა. მაგრამ ამათ პიტსტოპები ჰქონდათ მოსავლელი და როგორც კი ბოქსებს მიაშურეს, ჰემილტონმაც დაკარგული პოზიციები დაიბრუნა. მოგვიანებით, რბოლის სტიუარდებმა დაადგინეს, რომ ჰემილტონისა და კუბიცას ავარიაში დამნაშავე პოლონელი იყო, რის გამოც ის ბოქსში გასეირნებით დასაჯეს.

მას შემდეგ, რაც რეზინი ყველა პილოტმა გამოცვალა, ჰემილტონმა ლიდერობაც დაიბრუნა და აქედან მოყოლებული, წინ აღარავინ გაუშვია. ალონსომ კი მალე სხვისი "დახმარების" გარეშე დაამტვრია თავისი ბოლიდი. მისთვის რბოლა ფინიშამდე 27 წრით ადრე დასრულდა. შესაბამისად, ჩემპიონობის შანსიც მინიმუმზე დავიდა. იაპონიის შემდეგ, ის თანაგუნდელს 12 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტიტულის შესანარჩუნებლად, ალონსოს ორივე რბოლის მოგება სჭირდება. თანაც, ესეც ფუჭი იქნება, თუ ალონსო 9 ქულის აღებას შეძლებს.

ალონსოს ავარიის გამო, ტრასაზე ისევ პეისკარი გამოვიდა. ის რომ გავიდა, პელოტონი შემდეგი განლაგებით დატოვა: ჰემილტონი, კოვალაინენი, მასა, კულტჰარდი, რაიკონენი, ფიზიკელა, **ნიკ ჰაიდფელდი**, **რუბენს ბარიკელო** და ა.შ. ფინიშამდე 9 წრით ადრე, რაიკონენმა კულტჰარდს გაუარა და მასას დაედევნა, მაგრამ სანამ თანაგუნდელს დაეწეოდა, შეცდომა დაუშვა. ფინელმა ტრასაზე დაბრუნება სწრაფად შეძლო და ადგილი არ დაუკარგავს. თანაგუნდელმა კი პოზიცია ბოქსებში ზედმეტი (მეოთხე) ვიზიტით დაუთმო. ამის შემდეგ, რაიკონენმა კოვალაინენსაც შეუტია, მაგრამ კიდევ ერთხელ შეცდა, რის შემდეგაც შეტევა აღარ უცდია.

*"ჩემპიონატის დასაწყისში ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოთხი რბოლის მოგებას შევძლებდი და ტიტულისთვის ვიბრძოლებდი. მაშინაც კი, როცა პირველი პოული მოვიპოვე და პირველი რბოლა მოვიგე, არ მეგონა, თუ ასეთი კარგი სეზონი მექნებოდა. ეს ნამდვილი სასწაულია. მაგრამ ახლა ჩემს შანსებზე ფიქრს არ ვაპირებ. მთავარი მომდევნო რბოლაა, რომელზეც უფრო მობილიზებული გამოვალ, ვიდრე წინა რბოლებზე"*, - განაცხადა ჰემილტონმა, ვისაც ჩემპიონობამდე 9 ქულალა აშორებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**იაპონიის დიდი პრიზი**

ფუძი სპიდუეი (იაპონია). 305.721 კმ (4.563 კმ X 67 წრე)

| | |
|---|---|
| 1. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 2:00:34.579 |
| 2. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | +00:08.377 |
| 3. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 00:09.478 |
| 4. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 00:20.297 |
| 5. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 00:38.864 |
| 6. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 00:49.042 |
| 7. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი) | 00:49.285 |
| 8. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 01:00.129 |
| 9. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 01:20.622 |
| 10. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 01:28.342 |
| 11გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 1 წრე |
| 12. საკონ იამამოტო (იაპონია, სპაიკერ-ფერარი ) | 1 წრე |
| 13. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 1 წრე |
| 14გ. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი) | 2 წრე |
| 15გ. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 2 წრე |
| გ. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 12 წრე |
| გ. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 13 წრე |
| გ. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 18 წრე |
| გ. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო-ფერარი) | 21 წრე |
| გ. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 22 წრე |
| გ. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 26 წრე |
| გ. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 48 წრე |

(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)
უსწრაფესი წრე: ლუის ჰემილტონი - 1:28.193, 27-ე წრე

**პირადი კლასიფიკაცია**

1. ლუის ჰემილტონი 107; 2. ფერნანდო ალონსო 95; 3. კიმი რაიკონენი 90; 4. ფელიპე მასა 80; 5. ნიკ ჰაიდფელდი 56; 6. რობერტ კუბიცა 35; 7. ჰეიკი კოვალაინენი 30; 8. ჯანკარლო ფიზიკელა 21; 9. ნიკო როსბერგი 15; 10. ალექსანდერ ვურცი 13; 11. დევიდ კულტჰარდი 13; 12. მარკ უებერი 10; 13. იარნო ტრული 7; 14. რალფ შუმახერი 5; 15. ტაკუმა სატო 4; 16. ჯენსონ ბატონი 2; 17. ადრიან სუტილი 1; 18. სებასტიან ფეტელი 1

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. ფერარი 170 ქულა; 2. BMW ზაუბერი 92; 3. რენო 51; 4. უილიამს-ტოიოტა 28; 5. რედ ბულ-რენო 23; 6. ტოიოტა 12; 7. სუპერ აგური-ჰონდა 4; 8. ჰონდა 2; 9. სპაიკერ-ფერარი 1

ეროვნული ბიბლიოთეკა



კორეელებმა ჩემპიონი ვენუსი თავიანთ ეროვნულ სამოსში გამოაწყვეს

ტურნირები

# ივანოვიჩი მადრიდში ითამაშებს

უიმბლდონის ჩემპიონის, ამერიკელი **ვენუს უილიამსის** გამარჯვებით დასრულდა კორეის ღია პირველობა, რომლის ფინალშიც მან სამსეტიან პაექრობაში აჯობა რუს **მარია კირილენკოს**. ვენუსისთვის ეს მიმდინარე სეზონში მოგებული მესამე ტიტულია.

სეულის ტურნირის ფინალს ვენუსმა ისე მიაღწია, სეტი არ წაუგია. ფინალში კი კირილენკომ მეორე სეტში საკმაოდ იოლად მიაღწია უპირატესობას. თუმცა გადამწყვეტ სეტში კვლავ ამერიკელმა იგდო ხელთ უპირატესობა. მაგრამ 5:4-ზე, როცა მატჩზე აწოდებდა, მოულოდნელად, ზედიზედ სამი ქულა დათმო და სამი ბრეიკ პოინტის წინაშე აღმოჩნდა (0:40).

მაგრამ ამერიკელმა ჯერ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, შემდეგ კი მეტოქეს შეცდომების დაშვებაც აიძულა და ასე მიაღწია გამარჯვებას.

*"კირილენკომ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. საჭიროების შემთხვევაში, ის ადვილად ცვლიდა სათამაშო ტაქტიკას, რითაც ბევრ პრობლემას მიქმნიდა. საერთო ჯამში კი მეტად საინტერესო მატჩი გამოგვივიდა. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ საბოლოოდ, ჩემი გამძლეობის წყალობით, გამარჯვებას მივაღწიე"*, - ნამატჩევს განაცხადა ვენუსმა.

უილიამსმა შეხვედრის დასაწყისშივე შეძლო ბრეიკის აღება, მაგრამ რუსმა, ვინც თავიდან თამაში დაბნეულმა დაიწყო, მეოთხე სეტში, მეტოქის მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით, მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. უნდა ითქვას, რომ პირველ სეტში, ორივე მხრიდან საერთო ჯამში ექვსი ბრეიკი დაფიქსირდა.

ვენუსმა მეორე სეტის პირველი გეიმიც მოიგო, მაგრამ აქედან მოყოლებული, ზედიზედ ექვსი დათმო. ბოლო სეტში, ერთ მომენტში კირილენკოს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შეეძლო. ეს მეექვსე გეიმში მოხდა, როცა რუსს ბრეიკი ჰქონდა და თავად აწოდებდა. ვენუსმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი კიდევ ერთხელ გატეხა მეტოქე მისსავე მოწოდებაზე. აქ კი კირილენკომ, ვინც ამ ფინალამდე ზუსტად ერთი კვირის წინ კოლკატას (ყოფილი კალკუტა) ტურნირი მოიგო, იმარჯვა და ბრეიკი დაიბრუნა. თუმცა იქვე თავისი მოწოდება კიდევ ერთხელ დათმო და თამაშიც წააგო.

პარალელურად, ლუქსემბურგში ჩატარებული ტურნირი სერბი **ანა ივანოვიჩის** გამარჯვებით დასრულდა. ფინალში მას სამი სეტი დასჭირდა სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვას** დასამარცხებლად.

პირველი სეტი ჰანტუხოვამ მოიგო და ის მეორეშიც 3:0 დაწინაურდა, მაგრამ აქედან მოყოლებული, სერბმა ზედიზედ ექვსი გეიმის მოგება შეძლო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. ივნოვიჩმა გადამწყვეტი სეტიც მოიგო და კარიერაში მეხუთე, მიმდინარე სეზონში კი მესამე ტურნირის ჩემპიონი გახდა. რაც მთავარია, ლუქსემბურგში კარგი გამოსვლით, მან სეზონის დამამთავრებელ, მადრიდის ვტა-ს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა.

ივანოვიჩისთვის მიმდინარე სეზონი მეტად წარმატებულია. მოპოვებულ ტიტულებზე მეტად ფასობს ის ფაქტი, რომ მან დიდი სლემის ტურნირის (საფრანგეთის ღიას) ფინალში ითამაშა, მერე კი უიმბლდონის ნახევარფინალსაც მიაღწია, სადაც ვენუს უილიამსთან წააგო, ვინც შემდეგ ტურნირის ჩემპიონიც გახდა. შემდეგ, აშშ-ის ღიას მეოთხედფინალს მიაღწია და იქ კვლავ ვენუსთან დამარცხდა.

ინდოეთის ქალაქ მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) კი, იქაური ტურნირის ფინალში, ფრანგმა **რიშარ გასკემ** ორი სეტი იმყოფინა ბელგიელი **ოლივიე როხუსის** დასამარცხებლად და ამ სეზონში პირველად მოიგო ატპ-ს სერიის ტურნირი. აღსანიშნავია, რომ გასკემ კარიერაში პირველად მოიგო ღია ჰარდის ტურნირიც.

რაც შეეხება როხუსს, ამ სეზონში მან პირველად ითამაშა ატპ-ს ტურნირის ფინალში. პირველი სეტის იოლად დათმობის შემდეგ, მეორეში გამოცდილმა ბელგიელმა თავის მეტოქეს ბრძოლა გაუმართა. ჩოგბურთელებმა თითო ბრეიკი აიღეს, ექვსი გეიმის შემდეგ კი ანგარიში თანაბარი იყო და თითქოს, სეტის ბედი ტაიბრეიკზე უნდა გარკვეულიყო. მაგრამ მეშვიდე გეიმში ფრანგმა კიდევ ერთხელ შეძლო მეტოქის მოწოდების აღება და ამის შემდეგ, უპირატესობა აღარ დაუთმია.

## ATP

### კინგფიშერ ეარლაინზ ოუფენი

მუმბაი (ინდოეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი**

**1/2 ფინალი**

რიშარ გასკე (საფ, 1)-ფაბრის სანტორო (საფ, 5) 6:0, 6:3; ოლივიე როხუსი (ბელგ, 8)-რაინერ შუტლერი (გერ) 6:4, 6:4

**ფინალი**

რიშარ გასკე (საფ, 1)-ოლივიე როხუსი (ბელგ, 8) 6:3, 6:4

### ტაილანდის ღია

ბანგკოკი (ტაილანდი). ჭერქვეშა

**საპრიზო ფონდი: 550 000 დოლარი**

**1/2 ფინალი**

ბენიამინ ბეკერი (გერ)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 3) 3:6, 6:4, 6:4; დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 6)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 8) 7:6(4), 4:6, 6:4

**ფინალი**

დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 6)-ბენიამინ ბეკერი (გერ) 6:2, 6:1

## WTA

### ფორტისის ჩემპიონატი

ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი). ჭერქვეშა ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი**

**1/2 ფინალი**

ანა ივანოვიჩი (სერბ, 2)-ვერა ზვონარევა (რუს) 6:4, 6:2; დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 4)-მარიონ ბარტოლი (საფ, 5) 6:2, 6:2

**ფინალი**

ანა ივანოვიჩი (სერბ, 2)-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 4) 3:6, 6:4, 6:4

### გუანჯოუს საერთაშორისო

გუანჯოუ (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი**

**1/2 ფინალი**

ვირჟინი რასანო (საფ, 2)-დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ, 4) 3:6, 6:1, 6:1; ციპორა ობზილერი (ისრ)-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:1, 3:1 როდიონოვას ტრავმა

**ფინალი**

ვირჟინი რასანო (საფ, 2)-ციპორა ობზილერი (ისრ) 6:0, 6:3

### კორეის ღია

სეული (სამხ.კორეა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი**

**1/2 ფინალი**

ვენუს უილიამსი (აშშ, 1)-ფლავია პენეტა (იტა) 6:2, 6:2; მარია კირილენკო (საფ, 4)-ელენი დანიილიდუ (საბ, 5) 7:5, 6:0

**ფინალი**

ვენუს უილიამსი (აშშ, 1)-მარია კირილენკო (საფ, 4) 6:3, 1:6, 6:4

# TV სპორტი

## 1 ოქტომბერი. ორშაბათი

### I არხი

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მიდლსბრო.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ტოქ-შოუ - 2:1.
17:05 არგენტინის ჩემპიონატი.
18:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი.
08:45 სპორტული ისტორია.
09:00 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
11:03 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის წინ.
11:32 სპორტის სამყარო.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. ფინალი.
13:52 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი.
15:33 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-მანჩესტერ იუნაიტედი.
17:17 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. დნეპრი-არსენალი.
20:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
22:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა (LIVE).
00:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ატალანტა.
02:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის წინ.
04:28 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
06:31 სპორტდოსიე.

### EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
12:00 მძლეოსნობა. ოქროს გრან-პრი. შანხაი. ჩინეთი.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. ბრაზილია-გერმანია. ჩინეთი.
15:00 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალები. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ლუქსემბურგი.
17:15 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. შტუტგარტი. გერმანია.
18:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. ბრაზილია-გერმანია. ჩინეთი.
19:45 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 მულტისპორტი.
21:30 სნუკერი. დიდების დარბაზი.
22:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. კანადა.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:00 მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:30 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჩინეთი-ცსკა (რუსეთი) (LIVE).
12:15 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ფლენსბურგი (გერმანია)-სიუდადი (ესპანეთი).
13:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ბენეტონი (იტალია)-სიდნეი (ავსტრალია) (LIVE).
13:45 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჩინეთი-ცსკა (რუსეთი).
17:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ვალენსია. გერმანია.
17:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ვალენსია. გერმანია.
18:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეიკიავიკი (ისლანდია)-გუმერსბახი (გერმანია).
19:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლუბინი (პოლონეთი)-დრამენი (ნორვეგია).
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჩინეთი-ცსკა (რუსეთი).
23:00 მულტისპორტი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეიკიავიკი (ისლანდია)-გუმერსბახი (გერმანია).
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ჩილე

| | |
|---|---|
| პუერტო მონტი-კოლო კოლო | 0:2 |
| ო'ჰიგინსი-კოკიმბო | 2:1 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. კონსეპსიონი | 0:2 |
| ლა სერენა-პალესტინო | 1:0 |
| დ. კონსეპსიონი-ანტოფაგასტა | 1:1 |
| ევერტონი-ლოტა | 4:2 |
| უაჩიპატო- უნ. კატოლიკა | 0:0 |
| კობრელოა-მელიპილია | 5:1 |
| აუდაქსი-ნუბლენსე | გვ. დასრულდა |
| უნ. ჩილე-უონდერერსი | გვ. დასრულდა |

### ურუგვაი

| | |
|---|---|
| დეფენსორი-სერო | 4:0 |
| ფენიქსი-პენიაროლი | 0:0 |
| ხუვენტუდი-ტაკუარემბო | 2:0 |
| მირამარი-რამპლა | 0:2 |
| ბელა ვისტა-ლივერპული | 3:5 |
| სენტრალი-ნასიონალი | 1:1 |
| უონდერერსი-დანუბიო | 3:1 |
| რივერ პლეიტი-პროგრესო | 6:0 |

### მექსიკა

| | |
|---|---|
| ტეკოსი-მორელია | 3:2 |
| ხაგუარესი-ს. ლაგუნა | 2:2 |
| მონტერეი-სან ლუისი | 2:3 |
| გვადალახარა-ვერაკრუსი | 3:1 |
| პაჩუკა-ნეკაქსა | 1:1 |
| ატლანტე-ტოლუკა | 2:0 |
| პუებლა-ტიგრესი | 3:0 |
| პუმასი-ატლასი | 3:2 |
| ამერიკა-კრუს ასული | გვ. დასრულდა |

### აშშ

| | |
|---|---|
| დი სი იუნაიტედი-ტორონტო | 4:1 |
| ნიუ ინგლენდი-კოლორადო | 1:0 |
| ნიუ იორკი-სოლტ ლეიკი | 2:2 |
| ჩივასი-ჩიკაგო | 1:1 |
| დალასი-ჰიუსტონი | 0:3 |
| კოლამბუს-ლ-ანჯელეს | გვ. დასრულდა |

### იაპონია

| | |
|---|---|
| ნაგოია-კაშივა | 2:0 |
| ივატა-იოკოჰამა | 3:0 |
| კობე-შიმიცუ | 1:0 |
| იოკოჰამა მარინოსი-ომიია | 0:2 |
| გამბა-ოიტა | 1:0 |
| ჰიროშიმა-კაშიმა | 0:1 |
| კავასაკი-კოფუ | 1:1 |
| ურავა-ნიიგატა | 1:0 |
| იჩიჰარა-ტოკიო | 3:2 |

## კალათბურთი

### მსოფლიო ჩემპიონატი

#### ქალები

| | |
|---|---|
| იტალია-ესპანეთი | 64:79 |
| რუსეთი-სერბეთი | 65:67 |
| საფრანგეთი-ბელარუსი | 72:60 |
| გერმანია-თურქეთი | 63:76 |
| ჩეხეთი-ლიტვა | 75:67 |
| ბელგია-ლატვია | 66:69 |

### ესპანეთი

#### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ბილბაო-ტაუგრესი | 73:85 |

### იტალია

| | |
|---|---|
| დ'ორლანდო-ვირტუსი | 84:88 |
| მილანი-ნაპოლი | 69:60 |
| აველინო-მონტეგრანარო | 68:76 |
| ბიელა-კანტუ | 77:90 |
| კლიმამიო-ტერამო | 70:68 |
| რომა-ვარეზე | 84:79 (ო) |
| სკაფატი-სკავოლინი | 92:75 |
| სნაიდერო-მონტეპასკი | 52:73 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| დიჟონი-ლე მანი | 74:77 |
| კლერმონი-ნანსი | 66:80 |
| პსჟ-შოლე | 66:65 |
| სტრასბური-ვილერბანი | 78:84 |
| ტულონი-ჰავრი | 76:85 |
| შალონი (ს)-ვიში | 77:57 |
| გრავლენი-ორლეანეზი | 52:71 |

## ფრენბურთი

### ევროპის ჩემპიონატი. ქალები

#### 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| რუსეთი-იტალია | 0:3 |
| პოლონეთი-სერბეთი | 0:3 |

#### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| რუსეთი-პოლონეთი | 3:1 |

#### ფინალი

| | |
|---|---|
| იტალია-სერბეთი | 3:0 |

## ჰოკეი

### NHL

| | |
|---|---|
| ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 4:1 |

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ვიტიაზი-ცსკა | 3:4 |
| ამური-ტორპედო | 1:6 |
| მეტალურგი (ნ)-ტრაქტორი | 4:4 |
| ავანგარდი-ს. იულაევი | 1:1 |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | 2:0 |
| ლოკომოტივი-აკ ბარსი | 4:3 |
| სევერსტალი-ნეფტეხიმიკი | 3:2 |
| სპარტაკი-ლადა | 3:2 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| კიოლნი-შტრაუბინგი | 2:1 |
| ჰანოვერი-აისბარენი | 1:2 |
| დუისბურგი-აუგსბურგი | 5:3 |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 4:4 |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 4:6 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 2:4 |
| ფრანკფურტი-ვოლფსბურგი | 5:4 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| პოპრადი-სლოვანი | 3:1 |
| ჟილინა-ნიტრა | 5:0 |
| მიკულაში-სკალიცა | 4:2 |
| ზვოლენი-კეჟმაროკი | 8:2 |
| მარტინი-კოშიცე | 2:5 |
| ტრენჩინი-სლოვაკეთი (ახ) | 5:3 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| კიეკო-ილვესი | 2:3 |
| ჰიფკ-ლუკო | 0:1 |
| კაიპა-იოკერიტი | 1:2 |
| კერპეტი-პელიკანსი | 3:6 |
| ტაპარა-ჰპკ | 3:2 |
| ესეტი-საიპა | 2:1 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სლავია-პარდუბიცე | 7:3 |
| ქლინი-კარლოვი ვარი | 3:3 |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 4:2 |
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 1:2 |
| სპარტა-კლადნო | 2:1 |
| პლზენი-ლიტვინოვი | 5:5 |
| სლოვანი-ზნოიმო | 2:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბაზელი-ციურიხი | 5:3 |
| ფრიბურგი-დავოსი | 1:0 |
| სერვეტი-ამბრი | 5:0 |
| რაპერსვილი-ბერნი | 4:5 |
| ლუგანო-კლოტენი | 4:4 |
| ცუგი-ლანგნაუ | 1:3 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ჰვ 71-იურგორდენი | 4:4 |
| ფერიესტადი-მორა | 7:3 |
| მოდო-ტიმრა | 1:4 |
| სიოდერტალე-ბრიუნასი | 2:1 |
| ლინჩოპინგი-ლულეა | 3:1 |
| აიკ-ფრიოლუნდა | 3:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. მუმბაი

| | |
|---|---|
| გასკე-ო. როხუსი | 6:3, 6:4 |

### ATP. ბანგკოკი

| | |
|---|---|
| ტურსუნოვი-ბეკერი | 6:2, 6:1 |

### WTA. ლუქსემბურგი

| | |
|---|---|
| ივანოვიჩი-ჰანტუხოვა | 3:6, 6:4, 6:4 |

### WTA. სეული

| | |
|---|---|
| ვ. უილიამსი-კირილენკო | 6:3, 1:6, 6:4 |

### WTA. გუანჯოუ

| | |
|---|---|
| ობზილერი-რაზანო | 0:6, 3:6 |



კამალერიმ სეზონის პირველი შაიბა გაიტანა

NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სიბნელეში დაწყებული სეზონი

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 კამალერი-1 (ვიშნოვსკი-1, ფროლოვი-1), 2:0 რ. ბლეიკი-1 (კოპიტარი-1, დ. ბრაუნი-1), 3:0 კამალერი-2 (პრისინგი-1, კოპიტარი-2), 3:1 რაიანი-1 (პრონგერი-1, ბოშემენი-1), 4:1 ჰანძუში-1 (ო'სალივანი-1).

უცნაურად დაიწყო ჰოკეის ეროვნული ლიგის მორიგი სეზონი. ორი კალიფორნიული გუნდი, სტენლის თასის მფლობელი "ანაჰაიმ დაქსი" და "ლოს ანჯელეს კინგზი" ლონდონში, "O2 არენაზე" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ეს არის მეოთხე შემთხვევა, როცა რეგულარული ჩემპიონატი ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს გაიხსნა. სამჯერ ეს იაპონიაში მოხდა (1997, 1998, 2000), ევროპამ კი, პირველად უმასპინძლა სეზონის სტარტს.

უცნაური დასაწყისი მხოლოდ ამით არ იყო განპირობებული. მატჩის წინ, ამერიკისა და ბრიტანეთის ჰიმნების შესრულებისას, ტრადიციულად, შუქი ჩამქრალი იყო. ოფიციალური ცერემონიალი დასრულდა, მაგრამ შუქი მაინც არ აინთო. ჰოკეისტებმა სიბნელეში მოთელვა გააგრძელეს, შემდეგ კი, მათ უთხრეს, რომ გასახდელებში დაბრუნებულიყვნენ. გაუგებრობა 16 წუთის შემდეგ მოგვარდა და მატჩიც დაიწყო.

სტენლის თასის მფლობელებმა მძლავრად დაიწყეს და მალე ანგარიშის გახსნის რეალური შანსიც მიიღეს - მსაჯმა მეტოქის ორი ჰოკეისტი 2-წუთიანი ჯარიმით დასაჯა, მაგრამ "იხვებმა" ვერ შეძლეს ორი ზედმეტი მოთამაშის რეალიზება. ამ მონაკვეთში შესანიშნავად ითამაშა "მეფეების" დებიუტანტმა მეკარემ, **ჯონათან ბერნიემ**, რომელმაც საბოლოოდ, 26 დარტყმა მოიგერია.

სულ მალე კი, რიცხობრივი უპირატესობა "ლოს ანჯელესმა" მიიღო და რეგულარული ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორი **მაიკლ კამალერი** შეიქმნა.

"ანაჰაიმი" საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა. სავარაუდოდ, ალარ გააგრძელებენ კარიერას ვეტერანები - **სკოტ ნიდერმაიერი** და **ტეემუ სელიანე**. მათ გარდა, ტრავმების გამო არ უთამაშიათ ძირითად მეკარეს, **ჟან-სებასტინ ჟიგერს**, მცველ **მატიო შნაიდერსა** და ფორვარდ **სამუელ პალსონს**.

ჟიგერის არყოფნაში, თავი ვერაფრით გამოიჩინა მისმა რუსმა შემცვლელმა **ილია ბრიზგალოვმა**, რომელმაც კამალერის გოლის შემდეგ, კიდევ სამი შაიბა გაუშვა. სავარაუდოდ, ჟიგერი მალე გამოჯანმრთელდება და უკვე ამერიკაში შეუერთდება თავის გუნდს.

"O2 არენაზე" ამ გუნდების მეორე მატჩი გუშინ უნდა გამართულიყო. ამჯერად, ნომინალური მასპინძლის როლში "ანაჰაიმი" იქნება, ისე კი, ლონდონის ეს სტადიონი "ლოს ანჯელეს კინგზის" მეპატრონის, **ფილიპ ანშუტცის** კუთვნილებაა.

შესძლოა, "ანაჰაიმის" წაგება ბევრს სენსაციად მოეჩვენოს, მაგრამ აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეს გუნდები შარშანდელ სეზონში რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და "კინგზმა" 4 შეხვედრის მოგება მოახერხა.

## მფრინავების ახალბედა მკაცრად დაისაჯა

ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 20-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა "ფილადელფია ფლაიერზის" ახალბედა თავდამსხმელი **სტივ დაუნი**. ამგვარი მკაცრი სასჯელი "ოტავა სენატორზთან" საკონტროლო მატჩის დროს მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა. დაუნიმ **დინ მაკამონდის** წინააღმდეგ ბინძური ძალისმიერი ილეთი გამოიყენა, რის გამოც, "ოტავას" ფორვარდმა ტვინის შერყევა მიიღო.

*"დაუნის მოქმედება შეგნებული და ძალიან სახიფათო იყო. ჩვენს ლიგაში ასეთი რამის დაშვება არ შეიძლება"*, - აღნიშნა NHL-ის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ **კოლინ კემპბელმა**.

ხანგრძლივობის მხრივ, ეს ლიგის ისტორიაში მეოთხე სასჯელია. "რეკორდი" "აილენდერსის" ფორვარდ **კრის საიმონს** ეკუთვნის, რომელმაც ამა წლის მარტში, "რეინჯერსის" თავდამსხმელ **რაიან ჰოლვეგს** ყვანჯი სახეში ჩაარტყა და ამის გამო, 25 მატჩით დაისაჯა.

დისკვალიფიკაციის პერიოდში "ფილედელფიას" 20 წლის დებიუტანტი ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) ითამაშებს. გარდა ამისა, დაუნის 63 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდაც მოუწევს.

## სოპელმა ჩიკაგო აირჩია

"ვანკუვერ კენაქსის" მცველი **ბრენტ სოპელი** "ჩიკაგო ბლეკ ჰოქსში" გააგრძელებს კარიერას. ახალი სეზონის წინ, 30 წლის ჰოკეისტი "დეტროიტ რედ უინგზის" ბანაკში ემზადებოდა (5 საკონტროლო მატჩში მან 1 გოლი და 1 პასი მიითავალა), მაგრამ "ჩიკაგოსთან" გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ გამჟღავნებულა.

1995 წელს, "ვანკუვერის" მიერ დრაფტზე არჩეულმა სოპელმა, გასული სეზონი "ლოს ანჯელესში" დაიწყო, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას "კენაქსში" გადავიდა. 64 მატჩში ამ მცველმა 5 გოლი გაიტანა და 23 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. მისი კარიერული მონაგარი კი, 434 მატჩს, 39 გოლსა და 181 ქულას ითვლის.

## კალგარიმ მარკ სმიტი გაიფორმა

"კალგარი ფლეიმზმა" კონტრაქტი გააფორმა ცენტრალურ თავდამსხმელ **მარკ სმიტთან**. ეს ჰოკეისტი ექვსი სეზონი "სან ხოსე შარქსში" თამაშობდა, ამ ზაფხულს კი, თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. სმიტი "რეინჯერსის" შემადგენლობაში ვარჯიშობდა, მაგრამ ნიუიორკული კლუბისგან შეთავაზება არ მიუღია.

სეზონის წინ. ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი

# დიდი სამეულის დომინაციის მოლოდინში

**ოტავა**

**2006-07-ის შედეგი:** 48 მოგება, 25 წაგება, 9 ფრე, IV ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** დაცვიდან შეტევაში უსწრაფესი გადასვლა და შაიბის იდეალური კონტროლი.

**ძლიერი მხარე:** გამოცდილი დაცვა, 3 სუპერვარსკვლავი შეტევაში, მოტივაცია.

**სუსტი მხარე:** დიდი სამეულის (**დენი ჰიტლი-დანიელ ალფრედსონი-ჯეისონ სპეცა**) გარდა შეტევაში ბევრს ვერავის გამოვარჩევთ.

**MVP: დენი ჰიტლი.**

**ვერ გაამართლებს: ბრაიან მაკგრეტენი.**

**იმედი: ილია ზუბოვი.**

**დენი ჰიტლი** ზედიზედ მესამედ 50 და მეტი შაიბის გატანას ეცდება, მას კი გვერდით უჭკვიანესი **დანიელ ალფრედსონი** და უნივერსალი **ჯეისონ სპეცა** ეყოლება. მიუხედავად იმისა, რომ **მაიკ ფიშერი** და **დინ მაკკამონდი** სეზონს ტრავმირებულები ხვდებიან, პირველი ორი თვე "სენატორებმა" დიდი სამეულით უპრობლემოდ უნდა გასტანონ, მერე და მერე კი ოპტიმალური შემადგენლობით ჩემპიონობის ფავორიტებშიც შევლენ. "ოტავასა" და საერთოდ, მთელს ლიგაში ბევრს საუბრობენ 20 წლის **ილია ზუბოვზე**, თუმცა მან ჯერ ძირითადში ადგილი და სოლიდური სათამაშო დრო უნდა მოიპოვოს. არასტაბილურია ძირითადი მეკარე **რეი ემერი**, სხვა მხრივ კი "ოტავას" არანაირი პრობლემა არ აქვს.

**ბაფალო**

**2006-07-ის შედეგი:** 53 მოგება, 22 წაგება, 7 ფრე, I ადგილი აღმოსავლეთში.

**თამაშის სტილი:** დაცვიდან შეტევაში უსწრაფესი გადასვლა, სპეცბრიგადების იდეალურად ვარირება.

**ძლიერი მხარე:** სისწრაფე ფრთებზე, მეკარეები, მთავარი მწვრთნელი **ლინდი რაფი**.

**სუსტი მხარე:** ძლიერი ცენტრფორვარდის ნაკლებობა.

**MVP: რაიან მილერი.**

**ვერ გაამართლებს: ტიმ კონოლი.**

**იმედი: ნატან პეტჩი.**

"ბაფალო" აღმოსავლეთის რეგულარულის მოქმედი ჩემპიონია, მაგრამ გუნდმა ორი ვარსკვლავი, ფორვარდები **დანიელ ბრირი** და **კრის დრური** დაკარგა. მათი შეცვლა წარმოუდგენელია, თუმცა უჭკვიანესი სპეციალისტი **ლინდი რაფი** "სეიბრზსს" სეზონის მსვლელობისას გადააწყობს და პლეიოფში გასვლა პრობლემა არ უნდა იყოს. ამასთან ერთად, "ბაფალოს" ჰყავს კონფერენციისა და მთლიანად ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე **რაიან მილერი**. თუ 26 წლის ფორვარდი **ტიმ კონოლი** სეზონს ტრავმების გარეშე ჩაატარებს, მაშინ თავისუფლად შეეძლება 70-80 ქულის მოხვეჭა. პლეიოფი გარანტირებულია, მერე კი - ვნახოთ.

**ბოსტონი**

**2006-07-ის შედეგი:** 35 მოგება, 41 წაგება, 6 ფრე, XIII ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** აგრესიული გუნდური თამაში და ჩეკერების სხვებზე ხშირად გამოყენება.

**ძლიერი მხარე:** ცენტრფორვარდების იმპროვიზაცია, სწრაფი და მებრძოლი ფრთები.

**სუსტი მხარე:** დაცვა, სპეცბრიგადები.

**MVP: ზდენო ხარა.**

**ვერ გაამართლებს: მენი ფერნანდესი.**

**იმედი: დევიდ კრეიჩი.**

**ზდენო ხარამ** 2006 წლის რეგულარულის დაწყებამდე გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც 37.5 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. "ოტავაში" ვარსკვლავად ქცეულ მცველს გაცილებით მეტი მოეთხოვება. ხარა ვერც შეტევაში ერთვებოდა დროულად და დაცვაშიც უამრავი ლაფსუსი ჰქონდა. გარდა ამისა, "ბოსტონში" ბევრი რამ **მარკ სავარსა** და 33 წლის მეკარე **მენი ფერნანდესზე** იქნება დამოკიდებული. ეს უკანასკნელი "მინესოტაში" ყოფნისას ძირითადიდან უპრობლემოდ აგდებდა **დუეინ როლოსონს** და თუ "ბოსტონშიც" იყოჩაღებს, "ბრიუინზის" საქმეები კარგად წავა.

**ტორონტო**

**2006-07-ის შედეგი:** 40 მოგება, 31 წაგება, 11 ფრე, IX ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** ნეიტრალური ზონიდან შეტევაში მასირებული გადასვლა.

**ძლიერი მხარე:** გამოცდილი დაცვა, პოტენციურად, პირველი ათეულის შეტევა.

**სუსტი მხარე:** ცენტრფორვარდები, უმცირესობაში თამაში.

**MVP: ჯეისონ ბლეიკი ან მატს სუნდინი.**

**ვერ გაამართლებს: კაილ უელვუდი.**

**იმედი: ანტონ სტრალმანი.**

**მატს სუნდინი** გუნდის სახე და "ნეკერჩხლის ფოთლების" ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა, თუმცა დამდეგ სეზონში ყველაზე პროდუქტიული მაინც **ჯეისონ ბლეიკი** უნდა იყოს. პროგრესირებადი ფრთა წლეულსაც სპეცბრიგადების ყველაზე სახიფათო და საიმედო წევრი იქნება, ხოლო თუ ახალგაზრდა შვედი **ანტონ სტრალმანი** მოლოდინს გაამართლებს, სუნდინს ღირსეული შემცვლელი (მასშტაბითა და პერსპექტივით) ეყოლება. **კაილ უელვუდმა** წინა სეზონში 33 მატჩი ორი ურთულესი ტრავმის გამო გამოტოვა და წელსაც ნაოპერაციები ხვდება რეგულარულს. მასზე დაყრდნობა კვლავ სარისკო იქნება.

**მონრეალი**

**2006-07-ის შედეგი:** 42 მოგება, 34 წაგება, 6 ფრე, X ადგილი აღმოსავლეთში

**თამაშის სტილი:** დაცვა, დაცვა და კიდევ ერთხელ დაცვა.

**ძლიერი მხარე:** მეკარეები, ფრთები.

**სუსტი მხარე:** გუნდი ლიდერის გარეშე, თანაბარი შემადგენლობებით თამაში.

**MVP: მაიკლ რაიდერი.**

**ვერ გაამართლებს: ალექსეი კოვალიოვი.**

**იმედი: კერი პრაისი.**

კაცს ასეთი ნიჭი ჰქონდეს და მას სანახევროდაც ვერ იყენებდეს, საცოდაობაა. **ალექსეი კოვალიოვი** პოტენციალით იქნებ ლიგის ხუთ საუკეთესო მოთამაშეშიც შედიოდეს, მაგრამ რეალურად პირველ 30-ეულსაც ვერ უახლოვდება. რუსი ვეტერანი მხოლოდ სპეცბრიგადებში ავლენს თავის პოტენციალს, 5/5 თამაშში კი სჯობს, ყინულზე არ იყოს. "მონრეალის" ყველაზე სტაბილური ფორვარდი **მაიკლ რაიდერია**, რომელმაც ზედიზედ ორ რეგულარულში 30 და მეტი შაიბა შეაგდო. **რომან ჰამრლიკი შელდონ სურეის** ადგილზე, ანუ საუკეთესო დამცველად უნდა დადგეს, მაგრამ უმრავლესობასა და უმცირესობაში სურეი რომანზე გაცილებით საიმედოა. "ედმონტონში" გაშვებულ შელდონს "კანადიენსი" მაგრად მოისაკლისებს.

**ზურაბ თალაკვაძე**




ტორონტოს უცვლელი კაპიტანი მატს სუნდინი

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა